ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიგა დალაქიშვილი

თანამედროვე გეოეკონომიკური პარადიგმა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (საქართველოს მაგალითი)

საზოგადოებრივი გეორგრაფია

ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გიორგი კვინიკაძე

თბილისი

2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.’’

გიგა დალაქიშვილი

Statement

”As the author of the presented Master's Thesis, I declare that the thesis represents my original work and does not contain the materials already published, accepted for publication or presented for defense by other authors, that are not mentioned in the thesis or quoted according to the relevant rules.’’

Giga Dalalakishvili

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინაში გეოეკონომიკური პარადიგმების შესახებ არსებული თეორიული მოსაზრებების გადამოწმების საფუძველზე იკვლევს საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეოეკონომიკურ მდგენელს.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი ემპირიული ხასიათისაა, თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლის (Case-study) მეთოდია გამოყენებული. გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში გამოყენებულია მეორადი წყაროების ანალიზი და ტრადიციული საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კვლევის (შედარებითი, სტატისტიკური, ისტორიული, გეოინფორმაციული) მეთოდები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ნაკლებად ითვალისწინებს თანამედროვე გეოეკონომიკურ პარადიგმას, უფრო ხშირად კი იყენებს მოძველებულ კლასიკურ ეკონომიკურ თეორიებს.

წინამდებარე კვლევის შედეგები საკუთარ მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ზოგადად საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შესახებ არსებულ აკადემიურ დებატებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველო, გეოეკონომიკა, სტრატეგია, უსაფრთხოება, ლუტვაკი.

Annotation

On the basis of verifying the existing theoretical opinions regarding the geo-economical paradigms in the scientific discipline of the social geography the present Master's Thesis explores the geo-economical component of the economical development of Georgia.

Methodologically, the thesis is of the empirical character, and is considered in the category of the qualitative studies by a basic methodological approach and there is used the case-study method. Besides the abovementioned general methodological grounds, in the process of data collection and analysis there is used the analysis of the secondary sources and the methods of traditional social-geographical research (comparative, statistical, historical, geo-informational).

As a result of the study it was established that the economical foreign policy of Georgia lessly considers the modern geo-economical paradigm, and more often uses the outdated classical economical theories.

The results of the present study will contribute its own modest part generally into the existing academic debates regarding the foreign economical strategy of Georgia.

The key words: Georgia, Geo-Economy, Safety Strategy, Luttwak.

შინაარსი

შესავალი 6

თავი I. გეოეკონომიკის არსის თეორიული გააზრება

1.1. რა არის გეოეკონომიკა 8

1.2. გეოეკონომიკური აზროვნება XIX საუკუნეში ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზი ფრიდრიხ ლისტის მიხედვით 15

1.3. „გეოეკონომიკა“ სხვადასხვა თეორიებში 26

თავი II. ახალი და უახლესი გეოეკონომიკა

2.1. ახალი გეოეკონომიკური აზროვნება (ცივი ომის მაგალითი) 34

2.2. რონალდ რეიგანის მმართველობის პერიოდის გეოეკონომიკა 36

2.3. გეოეკონომიკის დამკვიდრება 41

თავი III. საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობა

3.1. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების გეოეკონომიკური პრობლემები 61

3.2. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შედარებითი ანალიზი 74

3.3. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გეოეკონომიკურ რაკუსში 79

3.4. საქართველოს ძირითადი გამოწვევები - გეოეკონომიკური უსაფრთხოება

..... 105
დასკვნა 114
გამოყენებული ლიტერატურა..... 119
დანართები 124

შესავალი

როგორ განვითარდა გეოკონომიკური აზროვნება, რას წარმოადგენს თანამედროვე გეოეკონომიკური პარადიგმა და რა პრობლემებია მისი საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიაში გამოყნების. ეს იმ კითხვების ჩამონათვალია, რომლის გარშემოც მრავალი დისკუსიაა გამართული მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების საზოგადოებრივი გეოგრაფიის სკოლებში. ნაშრომის მიზანია საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დისუსიებში.

მიზეზი იმისა თუ რატომ შევარჩიეთ ეს თემა იმაში მდგომარეობს, რომ გეოეკონომიკა ცოდნის შედარებით ახალი დარგია, რომლის კავშირი საზოგადოებრივ გეოგრაფიასთან უდავოა და საჭიროებს ახალ თეორიულ კვლევებს (გავიხსენოთ პოლ კრუგმანის მაგალითი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის შესახებ), რომლის სიმწირე საქართველოში სრულიად აშკარაა, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი გეოგრაფიის ქართული სკოლის შემდგომ წინსვლაზე

კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ისეთი კონკრეტულ-მეთოდოლოგიური ტექნიკები როგორიცაა:

- პირველადი წყაროების ანალიზი. საგარეო და ეკონომიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების კონტენტ ანალიზი ასევე სხვა კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები;
- მეორადი წყაროების ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. იგულისხმება როგორც თეორიული სახის ლიტერატურა, ასევე კვლევები უშუალოდ რეგიონთან დაკავშირებით;

ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის სტრუქტურა გარკვეულ ლოგიკას ეფუძვნება. პირველ ნაწილში მოცემულია გეოეკონომიკის არსი აზროვნების საწყისები და მისი მოკლე ანთლოგია, ცოდნის ამ ახლი დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათი. მეორე ნაწილში შესწავლილია ახალი და უახლესი გეოეკონომიკის საკითხები. ნაშრომის მესამე ნაწილი მთლიანად მიძღვნილია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის და მისი ადგილის განსაზღვრისადმი მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში.

თავი 1. გეოეკონომიკის არსის თეორიული გააზრება

1.1 რა არის გეოეკონომიკა

დღეს ქართველი მეცნიერები გლობალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მაღალ ინტერესს გამოხატავენ, რაც გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ცვლილებების შედეგად წარმოიშვა. თანამედროვე მრავალპოლარული სამყარო მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეუქცევადი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული მოვლენაა, რომელიც გლობალურ და რეგიონალურ დონეზე ერთდროულად ვითარდება.

ამ ფონზე გეოპოლიტიკის „ეკონომიზაციის“ მუდმივი პროცესი მიმდინარეობს, რაც ზრდის გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების მოქნილობას, მათ დინამიკას. ამ პროცესს გეოეკონომიკა ეწოდება. თუმცა კვლავ არ არის კონსესუსი ტერმინ „გეო-ეკონომიკასთან“ დაკავშირებით. თითქმის ყველა მკვლევარს, რომელიც ამ თემაზე

მუშაობდა, ტერმინი „გეოეკონომიკა“ თავისებური ინტერპრეტაციით ესმოდა. ეს ყოველივე ართულებდა საერთო ფორმულირების ჩამოყალიბებას. ეს გასაკვირი არაა, რადგან გეოეკონომიკის განმარტება (ისევე, როგორც გეოპოლიტიკის შემთხვევაში) დამოკიდებულია დროსა და სივრცეზე (ამ კონტექსტში გეოეკონომიკას აქვს დადებითი თანხვედრა ტერმინთან საზოგადოებრივი გეოგრაფია). მიიჩნევა, რომ თუ მკვლევარმა არ იცის კვლევის ობიექტი, გეოეკონომიკის განმარტება მიიღებს აბსტრაქტულ ფორმას (როგორც ტერმინი "გლობალიზაციის" შემთხვევაში).

ნეოლოგიზმი "გეოეკონომიკა" არ არის ახალი. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელმა მეცნიერმა ჯორჯ თ. რენერმა პირველად გამოიყენა ტერმინი "გეოეკონომიკა" 1942 წელს (Kvinikadze,2017). ათწლეულების შემდეგ, კიდევ ერთი ამერიკელი მეცნიერმა ედვარდ ლუტვაკმა კი ეს ტერმინი მეცნიერულ ბრუნვაში დაამკვიდრა სტატიაში "გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკამდე: კონფლიქტის ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა", რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს. მისი შეხედულებით მსოფლიო შედიოდა რა ახალ გეოეკონომიკურ ეპოქაში ხდებოდა ნაციონალური და საერთაშორისო საქონლის და მომსახურების მოპოვების, გამოყენების და გადანაწილების მოედანი.

დროთა განმავლობაში ეს პოსტულატები განიცდიან ევოლუციას. დღემდე, გეოეკონომიკის მრავალრიცხოვანი განსხვავებული განმარტებები არსებობს, რომლებიც ლუტვაკის მიერ თავდაპირველად ჩამოყალიბებულთან საკმაოდ დაშორებულია.

დღევანდელ დღეს ქვეყნები განსხვავდებიან წარსულში არსებულისგან, რადგანაც ისინი არ იყენებენ სამხედრო ძალებს, როგორც ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საშუალებას. დასავლეთის განვითარებული ერები მძიმე დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგანან, რაც საშუალებას არ აძლევთ მათ აწარმოონ ფართომასშტაბიანი სამხედრო ომები. ამ პირობებში განვითარებული ბაზრის ქვეყნებს გააჩნიათ ორი გზა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ან განახორციელონ ინვესტიციები საკუთარ წარმოებასა და ტექნოლოგიებში ან გამოყენონ ისეთი ტექნოლოგიები რომლებიც პოტენციურ კონკურენტებს არ მისცემს საშუალებას გააუმჯობესონ თავიანთი ტექნოლოგიები და განავითარონ ეკონომიკა.

ცხადია, რომ "გეოეკონომიკის" ცნება ყველაზე ხშირად ასოცირდება ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა: ეკონომიკური გეოგრაფია, ეკონომიკა, რეგიონალური ეკონომიკა, პოლიტიკური ეკონომიკა, გეოპოლიტიკური ეკონომიკა.

თანამედროვე თეორიული და ემპირიული კვლევა გეოეკონომიკის სფეროში საკმაოდ მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი ავტორების მიერ არის წარმოდგენილი, შესაბამისად სხვადასხვა წყარო და ავტორი სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას. მაგალითად:

მერიამ-ვებსტერი: 1. საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების კომბინაცია (შეისწავლება ვაჭრობის გეოგრაფიაში); 2. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც ხელმძღვანელობს გეოეკონომიკა (გაურკვეველი განმარტებაა. იხ: merriam-webster.com); ვიკიპედია: ფართოდ, გეოეკონომიკა არის სწავლება სივრცითი, დროითი (ეკონომიკური გეოგრაფია), ეკონომიკისა და რესურსების პოლიტიკურ ასპექტების (პოლიტიკური ეკონომიია.იხ: en.wikipedia.org) ; ლექსიკონი: შიდა და საერთაშორისო ეკონომიკური გეოგრაფიის გავლენის შესწავლა ან პროგრამა (რეგიონული ეკონომიკა ან ეკონომიკური გეოგრაფია. იხ: dictionary.com); თავისუფალი ლექსიკონი: 1. პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობების შესწავლა, განსაკუთრებით საერთაშორისო მასშტაბით (გეოპოლიტიკური ეკონომიკა); 2. საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების კომბინაცია, რომელიც დაკავშირებულია ერის ან რეგიონის გავლენასთან (გეოპოლიტიკური ეკონომიკა. იხ: thefreedictionary.com); ოქსფორდის ლექსიკონი: 1. მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციებისა და პირობების შესწავლა და მათი დაკავშირება; ეკონომიკა განიხილება ფართო გლობალური მასშტაბით (ისწავლება ეკონომიკურ გეოგრაფიაში); 2. გლობალური პერსპექტივაში (გეოპოლიტიკური ეკონომიკა) განიხილება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და პირობები (გეოპოლიტიკური ეკონომიკა. იხ: en.oxforddictionaries.com). შენი ლექსიკონი: 1. ეკონომიკა ისეთ გეოგრაფიულ პირობებთან ურთიერთობაში, როგორიცაა ადგილმდებარეობა და ბუნებრივი რესურსები (ეკონომიკური გეოგრაფია); 2. ერებს შორის ეკონომიკური მეტოქეობის მდგომარეობა (ეკონომიკაში იხ: yourdictionary.com); მაკმილანის ლექსიკონი: სწავლება იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ერთმანეთზე სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკები (საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. იხ: macmillandictionary.com).

ყველაზე ხშირად ეკონომიკური ინსტრუმენტები გამოიყენება გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. სხვა განმარტებებს თუ გადავხედავთ ისინი ხაზს უსვამენ თუ

როგორ აისახება გეოპოლიტიკური სიძლიერე ეკონომიკურ შედეგებზე. ზოგადად, გეოეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და სტრატეგიის ურთიერთქმედება. ასევე მიიჩნევა, რომ ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება ჩინეთის ეკონომიკური ზრდის აღსაწერად, რომელიც სულ უფრო მეტად იყენებს ეკონომიკური იარაღის ძალას. მნიშვნელოვანია ორი სხვა ფაქტორიც: სახელმწიფო კაპიტალიზმის აღორძინება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნებს აქვთ უფრო მეტი ეკონომიკური რესურსი მათ განკარგულებაში. გლობალური სავაჭრო კავშირები და ფინანსური ბაზრების ღრმა ინტეგრაცია გეოეკონომიკურ ინსტრუმენტებს უფრო ძლიერს ხდის.

ლუტვაკის აზრით, „გეოეკონომიკა საუკეთესო ტერმინია რითაც შეგვიძლია დავაკავშიროთ კონფლიქტის ლოგიკა ვაჭრობის მეთოდებთან“. (Luttwak,1990, გვ.17-24). გეოეკონომიკის ეს განმარტება განასხვავებს მას სხვა დისციპლინებისგან. ის არის ახალი სიტყვა ძველ მეტოქეობაზე სახელმწიფოებს შორის. ამგვარი კონკურენციის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება მრეწველობაში ცეცხლსასროლი იარაღის ექვივალენტია, პროდუქტის განვითარება, რომელსაც მხარს უჭერს მთავრობის სუბსიდიები, ომის წარმოების ტოლფასია და სახელმწიფო დახმარებით უცხოურ ბაზრებზე შეღწევადობა სხვა ქვეყნებში სამხედრო ბაზების არსებობას და დიპლომატიურ გავლენებს უტოლდება (Luttwak,1990, გვ 17-24).

ლუტვაკის მიხედვით, პოსტ-ბიპოლარული მსოფლიოს პირობებში დაპირისპირება ცალკეულ ქვეყნებს შორის არსად არ წასულა და მხოლოდ ახალი ფორმები შეიძინა. უხეში სამხედრო მეთოდების გამოყენება მსოფლიო პოლიტიკის პერიფერიაზე გადავიდა და აღარ არის დამახასიათებელი განვითარებული ქვეყნებისთვის. მიუხედავად ამისა, განვითარებული ქვეყნები კვლავაც განაგრძობენ "საბრძოლო ოპერაციებს", სადაც გეოეკონომიკური მეთოდების ფართო არსენალი გამოიყენება. მეორე მხრივ, დღევანდელ დღეს ქვეყნები უფრო მეტად გეოპოლიტიკურ საბრძოლო მოქმედებებს ეკონომიკური საშუალებებით ახორციელებენ. ეკონომიკა, რომელიც მართავს ყველაფერს ვაჭრობითა და ინვესტიციებით დაწყებული ენერგეტიკითა და სავალუტო

კურსებით დამთავრებული, ხელსაყრელი იარაღია დიპლომატიური მოკავშირეების მოსაპოვებლად და მოწინააღმდეგეების დასასჯელად.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს სამხედრო ძალები აღარ არიან დომინანტური საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა იერარქია განისაზღვრება არა სამხედრო ძალით, არამედ ეკონომიკური სიძლიერით. დღეს, ჩვენ ვხედავთ, რომ გეოპოლიტიკა შეიცვალა გეოეკონომიკით. ეს მოსაზრება გაზიარებულია სხვა მეცნიერების მხრიდან. მაგალითად, მარკ ლეონარდის აზრით, "დღეს მთავარი ბრძოლის ველი უფრო ეკონომიკაა, ვიდრე სამხედრო; სანქციები სამხედრო შეტევების ადგილს იკავებს, კონკურენტული სავაჭრო რეჟიმები ცვლიან სამხედრო ალიანსებს; სავალუტო ომები კი უფრო გავრცელებულია, ვიდრე ტერიტორიის ოკუპაცია; ისეთი რესურსების ფასებით მანიპულირება, როგორიცაა ნავთობი, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჩვეულებრივი შეიარაღებული შეჯიბრი" (Leonard, 2015, გვ 4).

გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, გეოეკონომიკა იყენებს ეკონომიკურ მეთოდებს, ისევე, როგორც გეოსტრატეგია სამხედროს. გეოეკონომიკა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ლოგიკაზე, ამასთან იგი დამოკიდებულია გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის თეორიაზე და უფრო ფართო გაგებით, მთელი კონფლიქტური სიტუაციების პრაქტიკაზე. განსხვავებას ამ ორ დისციპლინას შორის გულისხმობს სპეციალურ „გრამატიკას“ კონკრეტული საშუალებების გამოყენების. ასე რომ, კარლ კლაუსევიცის აზრით, "გრამატიკა" იცვლება, რადგან იგი ასახავს გამოყენებული საშუალებების თავისებურებას.

მთავარი განსხვავება გეოეკონომიკასა და გეოსტრატეგიას შორის მდგომარეობს იმაში, რომ, მაგალითად, სტრატეგია, პირველ რიგში, არის შთაგონებული პოლიტიკით და იყენებს მნიშვნელობებს, რომელიც განსხვავდება მისი მიზნებისგან (სადაც მიზანი პოლიტიკური ხასიათისაა). აქედან გამომდინარე, გეოსტრატეგია მნიშვნელოვანია პოლიტიკური და არა სამხედრო გამარჯვებისთვის. გეოეკონომიკის მიერ გატარებული ეკონომიკური მიზნები სტრუქტურულად არის დაახლოებული სახელმწიფო საბოლოო პოლიტიკურ მისწრაფებებთან (სიმდიდრის დაგროვება და კეთილდღეობა არა მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მიზნებსაც წამოდგენს). პოლიტიკის სამყაროში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა: კერძო ინტერესები საერთო

ინტერესებს დომინირებს, რადგან საერთო ინტერესები მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაშია. მოკლევადიანი პროექტები დომინირებს გრძელვადიანს. მმართველი ელიტები და ბიუროკრატია აძლიერებენ თავიანთ შიდა ხელისუფლებას, რასაც ხსნიან საერთაშორისო კონკურენციით და ეკონომიკური მტრის არსებობით (Kvinikadze, 2017, 5-6).

პოლიტიკური ელიტები ლეგიტიმაციას და კონსენსუსს აღწევენ. თუ რომელიმე სახელმწიფო ახორციელებს აგრესიულ ეკონომიკურ ქმედებას, სხვები ადეკვატურად რეაგირებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უნდა შეეძლოთ ამის გაკეთება, რათა განახორციელონ ზომიერი კურსი.

ნებისმიერი ქვეყნის განვითარება და რა თქმა უნდა, ძლიერება დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე განათლებულ, ყველაზე განვითარებულ ნაწილზე, ხშირად უწოდებენ ელიტას. თუ არსებობს რეალური ელიტა ქვეყანაში, რომელიც არის დამოკიდებული გეოეკონომიკურ საქმიანობაზე (მაგ. ზრუნვა ქვეყნის იმიჯზე, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, საკუთარი მწარმოებლებისთვის უცხოური ბაზრების გაწმენდა, გეოეკონომიკური ომების თავიდან აცილება და ა.შ.), მათ ქვეყანა ეხმარება შედარებით მარტივად გაუმკლავდნენ კომპლექსურ ეკონომიკურ გამოწვევებს.

ასეთი ღონისძიებები იმ მოსამზადებელ ღონისძიებათა კატეგორიაშია, რომლებიც, ჩვეულებრივ გეოეკონომიკური ომის ზღვარზე მყოფი ქვეყნების მიერ ხორციელდება. ეს ღონისძიებები უკავშირდება "ერის მომზადებას საერთო ომისთვის" (ისევე, როგორც ეს მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა). ამას გარდა, სახელმწიფოები საკუთარი ეკონომიკის განვითარებას უწყობენ ხელს და ამგვარად გამოიყენებენ თავიანთ გეოეკონომიკურ ძალას გლობალურ არენაზე თავდასხმისა და თავდაცვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ისინი მხოლოდ ერთ მიზანს ასრულებენ - მათ კონკურენტებზე უპირატესობის მიღება ნებისმიერი საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ომებისგან განსხვავებით, გეოეკონომიკური მეტოქეობა არ აპირებს ოპონენტის ეკონომიკის შესუსტებას. მისი მიზანია გააძლიეროს საკუთარი ეკონომიკა და გაზარდოს თავისი კონკურენტუნარიანობა. გეოეკონომიკური კონკურენცია განსხვავდება ნორმალური ვაჭრობისგან, რადგან იგი არ შეესაბამება გლობალურ ვაჭრობაში მოქმედ წესებს. ყველა სახელმწიფო ცდილობს განახორციელოს

ის კანონები, რომლებიც მისთვის სასარგებლოა და სხვებს საკუთარი წესები უკარნახოს. ლუტვაკი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მეტოქეობის ინტერპრეტაციას "კონკურენციას" უწოდებს, რომლიც მიზნად ისახავს გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას და გეოეკონომიკური ზრდისთვის პირობების შექმნას. ლუტავკის განცხადებით, გეოეკონომიკური მეტოქეობა შეიძლება გახდეს საერთო საფრთხე გლობალური და ეროვნული ეკონომიკური სისტემებისთვის. მას შეუძლია ახალი აზრი მისცეს ეროვნულ სახელმწიფოებს, ვინაიდან მას შეუძლია აწარმოოს ომები თანამედროვე სახელმწიფოს შესაქმნელად, რაც დამახასიათებელი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისთვის (Luttwak, 1993, 35-43).

ლუტვაკი თვლის, რომ გეოეკონომიკურ მეტოქეობას შეუძლია საფრთხე შეუქმნას გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო იძენს ახალ ფუნქციას, განახორციელოს საომარი მოქმედებები ეკონომიკური საშუალებებით.

ცნობილია, რომ მერკანტილიზმი გეოპოლიტიკისთვის დამახასიათებელია და გლობალურ ვაჭრობას ზიანს აყენებს, ვინაიდან გეოპოლიტიკა ყოველთვის სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ატარებს, ხოლო გეოეკონომიკა ყოველთვის ორიენტირებულია სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე გლობალური ბაზრის მთლიანობის დარღვევის გარეშე. ეს ხელს უწყობს სიმდიდრის ზრდას და ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობას, რომელიც მიზნად ისახავს ხელში ჩაიგდოს ამ სიმდიდრის საუკეთესო ნაწილი. გეოეკონომიკური მეტოქეობა სარგებლობს ისეთი არასატარიფო მეთოდით, რაც მათი არსით თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის წესებს დაამყარებს გლობალურ და მრავალეროვან დონეზე. ეს ზუსტად ისაა, რასაც ლუტვაკი ფიქრობდა, როდესაც აცხადებეს, რომ "გეოეკონომიკაში დომინირებს შეტევითი იარაღი" (Luttwak, 1993, 19-20).

სახელმწიფო ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს სხვა სახელმწიფოების არაპროპორციული ძალაუფლების ჩამოყალიბება და გაზარდოს ურთიერთობები, საიდანაც ისინი თავად მიიღებენ არაპროპორციულ ძალაუფლებას. ქვეყნები თავიანთ ეროვნულ საწარმოებთან ერთად არიან ჩართულნი გარე ბაზრების დაპყრობის პოლიტიკაში. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოები, რომლებიც დიდად არიან

დამოკიდებული საერთაშორისო სავაჭრო, საინვესტიციო და ფინანსურ ბაზრებზე ცდილობენ გამოიყენონ გარე ძალები თავიანთი უპირატესობის მისაღწევად. თუმცა, სახელმწიფოებს აქვთ უფრო მეტი კონტროლი შიდა ბაზარზე, ვიდრე გარე ბაზარზე, განსაკუთრებით თუ ისინი ეკონომიკურად სუსტი არიან, მათ უნდა ქონდეთ საკუთარი საწარმოო შესაძლებლობების იმედი. სახელმწიფოები ცდილობენ გამოიყენოს გარე ძალები თავიანთ სასარგებლოთ.

გეოეკონომიკური ძალაუფლების ხასიათი განისაზღვრება სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობებით. როგორც ლუტვაკი შენიშნავს, პოლიტიკურ სივრცე პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს ქვეყნებს იკავებენ, ეკონომიკური სივრცე კი მხოლოდ მცირე სეგმენტის დაკავებას ახერხებს. ის გულისხმობს, რომ გეოეკონომიკურად აქტიურ სახელმწიფოებისა და კერძო ეკონომისტების თანაარსებობის ფორმები განსხვავდება: ის არის ინტენსიური ზოგიერთ შემთხვევებში და ზოგიერთ შემთხვევაში კი დისტანცირებულია. ზოგჯერ სახელმწიფოები „გიდობას“ უწევენ მსხვილ კომპანიებს საკუთარი გეო-ეკონომიკური მიზნებისთვის მისაღწევად, ზოგჯერ კი პირიქით კომპანიები ცდილობენ პოლიტიკოსებით ან ბიუროკრატებით მანიპულირებას (Luttwak,1990).

პასკალ ლორო განსაზღვრავს გეოეკონომიკას, როგორც ეროვნული სტრატეგიის ანალიზს რომლის საბოლოო მიზანი არა ტერიტორიის კონტროლი, არამედ ტექნოლოგიური და კომერციული უზენაესობის მიღწევაა. ეს განმარტება ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა გავლენას ახდენს საბაზრო სტრუქტურებზე და სახელმწიფოები ცდილობენ განმეორებითი ტენდენციების გამოსწორებას საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად (Lorot,2000).

ამ თვალსაზრისის, გეოეკონომიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს (ელიტის და ბიუროკრატიის) უნარი უფრო ეკონომიკურად გამოიყენოს მეთოდები ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად და გლობალური და რეგიონალურ ბაზრებზე ფართოდ გაუხსნას გზა მას (Kvinikadze, 2017,9). თუმცა, გეოეკონომიკური აზროვნება არახალია და მისი ფესვები, უპირველეს ყოვლისა, ევროპის პოლიტეკონომიის კლასიკოსთა შრომებში უნდა ვეძებოთ.

1.2 გეოეკონომიკური აზროვნება XIX საუკუნეში
ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზი ფრიდრიხ ლისტის მიხედვით

გეოეკონომიკა არა ამ სახელწოდებით, მაგრამ ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს. ამგვარი მკვლევარის საუკეთესო მაგალითი ფრიდრიხ ლისტია, რომელმაც თავისი ნაშრომებით გეოეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო ბაზა შექმნა. მეცნიერი გვთავაზობს არა „თეორიულად მართებულ“ აბსტრაქტულ რეცეპტებს, არამედ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ გზებს. ლისტის შრომები პრაქტიკაზე ორიენტირებულია და იმავდროულად, ღრმა სისტემურ ხასიათს ატარებს. ეს არ არის ადამ სმითის, დავიდ რიკარდოს, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ან კარლ მარქსის აბსტრაქტულ-დოგმატური სისტემურობა.

თეორია შეიძლება ლიგიკურად არაწინააღმდეგობრივი, დასრულებული, მაგრამ პრაქტიკაში გამოუსადეგარი იყოს. ასეთია ლისტის, როგორც თეორეტიკოსის, ხედვა. ის აკრიტიკებს სმითს ისე, რომ არ ეხება მისი თეორიის კონცეპტუალურ სტრუქტურას. ამ კრიტიკის გამო მას კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ლისტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არა მოწინააღმდეგედ, უფრო მის რეფორმატორია. ეს სხვადასხვა რამ არის. მას უბრალოდ სურდა შეევსო ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა კლასიკოსთა თეორიებში. ეს ხარვეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოვლინდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები საკუთარ თეორიებს უნივერსალურად თვლიდნენ და არ ითვალისწინებდნენ ცალკეული ქვეყნების განვითარების ნიუანსებს ანუ გეოგრაფიას (კვინიკაძე, 2016).

ლისტი საუბრობს პრაქტიკაზე, რომელსაც ემსახურება თეორია. მაგალითად, დავები პროტექციონისტებს და თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებს შორის ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხანია მიმდინარეობს. ის ალბათ მუდმივად გაგრძელდება, რადგან ის ინტერესთა დაპირისპირებაა. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მათი შეხედულებები ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციაა, რომ პროტექციონიზმს მივყავართ ეკონომიკის სტაგნაციამდე, ხოლო თავისუფალ ვაჭრობას მის აყვავებამდე.

სინამდვილეში ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხია, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. გარკვეულ პირობებში შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ თავისუფალ ვაჭრობას, სხვა პირობებში კი - ეროვნული მეწარმის დაცვას. ყოველ შემთხვევაში ამ პირობებიდან აბსტრაგირება საკითხის განხილვას მის პრაქტიკულ მნიშვნელობას აკარგვინებს (კვინიკაძე, 2016).

რიკარდომ შეძლო თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობის დამტკიცება. რიკარდოს მთავრი აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სპეციალიზაცია ქვეყნებს აძლევს მაქსიმუმის მიღების შანსს, რომელიც მას შეუძლია მიიღოს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან. პროტექციონიზმი კი არღვევს ამ სიტუაციას და, შესაბამისად, ქვეყნები იღებენ იმაზე ნაკლებს, რაც მათ შეუძლიათ მიიღონ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული ქვეყნისათვის თავისუფალი ვაჭრობა არის მაქსიმალური მოგების მთავარი პირობა. ის დღესაც წარმოადგენს ფრიტრედერთა მთავარ, და ერთი შეხედვით, უტყუარ არგუმენტს. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. კერძოდ, რიკარდო ამტკიცებს, რომ ვაჭრობის თავისუფლება ყველასათვის ხელსაყრელია შექმნილ ეკონომიკურ პირობებში. ლისტის მოღვაწეობის პერიოდში ეს პირობები ასეთი იყო: XIX საუკუნეში სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური დონე ინგლისში უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიაში ან საფრანგეთში. ამ უკანასკნელთათვის ხელსაყრელია აწარმოონ ხორბალი და გაანადგურონ საკუთარი მრეწველობა. ყიდიან რა ხორბალს, მის სანაცვლოდ ინგლისიდან იღებენ იმაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე მათ შეუძლიათ მისი წარმოება. ეს პირდაპირი სარგებელია, მაგრამ ამ პირდაპირმა სარგებელმა ისინი შეიძლება მუდმივი ჩამორჩენილობისათვის გაწიროს და, აი რატომ: ცნობილია, რომ ლისტის მოღვაწეობის პერიოდში გერმანია და საფრანგეთი ინგლისს სამრეწველო განვითარების დონით ოცი წლით მაინც ჩამორჩებოდნენ. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში კი ეს ჩამორჩენა სამუდამო იქნებოდა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ლისტმა პირველად გაახმოვანა იდეა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტიანობის, არამედ მისი ხანგრძლივი და ირიბი შედეგების თვალსაზრისითაც. მოგვიანებით ალფრედ მარშალმა ამ ირიბ შედეგებს

„ირიბი ეკონომია“ (External economies) უწოდა (Marshall, 1920). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლიონელ ჩარლზ რობინსი წერს: „ა. მარშლამდე დიდი ხნით ადრე მსგავსი ეფექტები ლისტის იმ კვლევების ფოკუსში იმყოფებოდა, რომელიც ეხებოდა მწარმოებელი ძალების განვითარების საკითხებს... მის თეზისში არის ჭეშმარიტების მარცვალი: “კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მრეწველობის გარკვეული დარგის სტიმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს საწარმოო პოტენციალის ზრდა, რომელიც არ იზომება მხოლოდ კონკრეტული პროდუქციის ღირებულებით ან კაპიტალის ზრდით” (Robbins,1968,116).

ამ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნაში თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერები უფრო მეტად აქტიურობდენ. მაგალითად, გერმანიაში ფრიტრედერობას მხარს უჭერდა პრუსიის იუნკერობა (მიწისმფლობელები), რომლებიც საკუთარი ხორბლის ექსპორტს იაფი ინგლისური სამრეწველო პროდუქციის სანაცვლოდ აწარმოებდნენ, ხოლო პროტექციონიზმის მომხრედ მრეწველები გამოდიოდნენ. ამ მოცემულობაში ლისტმა გაბედულად გაილაშქრა მიწათმფლობელთა წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ მხოლოდ პროტექციონიზმს შეუძლია არა მარტო გერმანიის ჩამორჩენილობის დაძლევა, არამედ ისეთ სახელმწიფოსთან კონკურენციაში გამარჯვებაც, როგორიც ინგლისია.

ლისტის იდეები მეტნაკლებად მისაღებია ყველა ჩამორჩენილი ქვეყნისათვის. ამ ქვეყნებისათვის მიუღებელი ხდება ის დოგმატური თეორიული სქემები, რომელთაც მათ სთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერები. ამ ტიპის ქვეყნებს განვითარებისათვის სჭირდებათ სპეციალური ღონისძიებების სისტემა, სადაც ერთ-ერთი აუცილებლად პროტექციონიზმია.

მისმა იდეებმა დასაბუთება პოვა პრაქტიკაშიც. მაგალითად, სწორედ პროტექციონიზმის წყალობით გერმანიამ XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში სერიოზული ეკონომიკური ნახტომის განხორციელება შეძლო. სწორედ პროტექციონიზმს უნდა უმადლოდეს იაპონია, რომ მან შეძლო ეკონომიკური საოცრების რეალიზება, რითაც იაპონიის ეკონომიკამ მნიშვნელოვნად გაიმყარა საკუთარი პოზიციები მსოფლიოში. როცა ეწევი და ასწრებ უკვე ხდები თავისუფალი ვაჭრობის მომხრე. დღეს იგივე

გერმანია, საფრანგეთი და ნაწილობრივ იაპონია უკვე ასეთი იდეოლოგიის მატარებელნი არიან, რომ არაფერი ვთქვათ ინგლისზე.

კაპიტალის ბუნება, როგორც ცნობილია, კოსმოპოლიტურია, ვინაიდან მისთვის სულერთია სად და როგორ მიიღებს მოგებას. მთავარია, რაც შეიძლება მეტი მოგება იყოს. თუ არის მოგება, მაშინ სულერთია კოტრდება თუ, პირიქით ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის ქვეყანა. თუ, ვთქვათ, ეკონომიკური გაკოტრების რეჟიმში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებაში ერთდროულად ექვსი წარმომადგენელია, უცებ აღმოჩნდება, რომ ისინი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში არიან მოხვედრილნი. ეს კი ნიშნავს, რომ მმართველ ელიტას აწყობს არსებული სიტუაცია. ქვეყნის გაკოტრება არ აწყობს მხოლოდ საშუალო კლასს, რომელიც ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად ზარალდება. ამ დროს სასურველია მოიძებნოს ისეთი გამოსავალი, როცა საზოგადოების ყველა ფენა მეტნაკლებად კმაყოფილი დარჩება. ბუნებრივია, რომ, თუ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერები მდიდრდებიან, მაშინ ეს ხდება ღარიბი ქვეყნის ხარჯზე. ლისტი სმითს აკრიტიკებს არა არსებითად თეორიის გამო, არამედ მიუთითებს, რომ მისი თეორია კოსმოპოლიტურია რომ ის, როგორც უკვე ავღნიშნეთ, არ ინტერესდება სივრცობრივი რეალიებით (გეოგრაფიით), ანუ არ ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ეროვნულ თავისებურებებს. ქვეყნებისათვის დოგმატური, საერთო ეკონომიკური კანონების თავსმოხვევა საბოლოო ჯამში ხელსაყრელია ყველაზე უკეთ განვითარებული ქვეყნისათვის. აღნიშნულის საპირისპიროდ ლისტმა ახალი პრაქტიკული მოთხოვნა წაუყენა კლასიკურ პოლიტეკონომიურ მეცნიერებას. კერძოდ, ის თვლის, რომ ეკონომიკური თეორიები არ შეიძლება იყოს უნივერსალური (ცხოვრების სქემისაგან მოწყვეტილი), არამედ ის არის კონკრეტულ-ისტორიული მეცნიერება კონკრეტული ინტერესების და კონკრეტული პრაქტიკის შესახებ.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ლისტის კვლევები ეფუძნება ერის ბუნებას, რომელიც შუამავალ რგოლს წარმოადგენს პიროვნებასა და კაცობრიობას შორის. ის უპირისპირებს ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული ცალკეული სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესებს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ინტერესებს და გვთავაზობს მათი უზრუნველყოფის ოპტიმალურ საშუალებებს ანუ საუბრობს ეკონომიკურ ნაციონალიზმზე.

ზოგადად ნაციონალიზმს ხშირად აქვს არა ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური (ბიოლოგიური ნაციონალიზმი - კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბუნების ახსნა მხოლოდ მისი ბიოლოგიური საწყისით ხდება) ბუნება, რომელიც ლისტისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია. ამ კონცეფციის წარმომადგენლები ცდილობენ საზღვარი გაავლონ საზოგადოების ცალკეულ ფენებს შორის „ეროვნული“ ნიშნით. ბიოლოგიური ნაციონალიზმი ანაწევრებს ქვეყანას და ერთმანეთთან აპირისპირებს მის მოსახლეობას, ყალიბდება სოციალური აპარტეიდი ანუ რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით გამორჩეული მოქალაქეებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთა, რთულდება ეკონომიკური ურთიერთობები. აღნიშნულის საპირისპიროდ, ლისტი გვთავაზობს „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ ცნებას, რომელიც ეკონომიკური კონცეფციაა, რომელიც ქვეყნის შიდა ეკონომიკის შენარჩუნება-გადარჩენას ქადაგებს. მისი აზრით, ის ახდენს ერის კონსოლიდაციას საერთო ეკონომიკური ინტერესების გარშემო და, იმავდროულად, შლის ბიოლოგიურ და კულტურულ გამყოფებს.

ვინაიდან ლისტი ჩამორჩენილი ქვეყნების ერთგვარი ქომაგია, ის ქმნის დამწევი განვითარების თეორიას. (Catching up development) „დამწევი განვითარება ზოგადად მსოფლიო ავანგარდის ქვეყნებისაგან იმ ქვეყნების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენის დაძლევას გულისხმობს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ისტორიული პროცესის რაღაც ეტაპზე განუვითარებელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ზოგიერთ დამწევი განვითარების ქვეყანებში მათი დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია ტოტალიტარული რეჟიმების - კომუნიზმისა და ფაშიზმის ჩამოყალიბებით დამთავრდა“ (მექვაბიშვილი, 2012,25-26). ამდენად, ლისტის იდეები აქტუალურია ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, ისევე როგორც სმითი და რიკარდო მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი ქვეყნებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფ. ლისტი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. ამიტომ თავისუფალი ვაჭრობა, იმის მიუხედავად, რომ უზრუნველყოფს რაღაც აბსტრაქტულ ხანმოკლე სარგებელს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის, იმავდროულად, ხელს

უშლის დამწევი ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას. რიკარდოს „ გაცვლითი ღირებულების“ საპირწონედ ლისტი ქმნის საგარეო ვაჭრობის საკუთარ თეორიას, რომელსაც ის „საწარმოო ძალთა“ თეორიას უწოდებს. ფ.ლისტი საწარმოო ძალებში მოიაზრებს საზოგადოებრივი პირობების ერთობლიობას, რომლის გარეშე შეუძლებელია „ერის სიმდიდრის“ შექმნა. ამ აზრით, ფ. ლისტი გაცილებით ღრმა ანალიტიკოსად გვევლინება, ვიდრე კ. მარქსი, რომელიც საწარმოო ძალებში მხოლოდ შრომის იარაღების და საშუალებების სამუშაო ძალასთან შერწყმის ერთობლიობას ხედავდა (კვინიკაძე,2016).

საწარმოო ძალები, ლისტის გაგებით, ერის სიმდიდრის წყაროა. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მის განვითარებაზე და არა ხანმოკლე ეკონომიკურ სარგებელზე. ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ დარგების განვითარება, სადაც დანახარჯები ჯერ კიდევ მაღალია, ვიდრე უცხოეთში. განავითარო და მოახდინო ინვესტირება, ეს არის დანახარჯების შემცირების ერთადერთი გზა პერსპექტივაში. ღირებულებების ეს დანაკარგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერის „სამრეწველო აღზრდის“ ფასი. ამ შემთხვევაში მიზანი სწორადაა ფორმულირებული - ერის „სამრეწველო აღზრდა“, ჩამორჩენის დაძლევა და დიდი მოგების მოტანა მომავალში (List, 1841). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გარკვეული აზრით, ფ.ლისტი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის ფუძემდებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ლისტი ამტკიცებს, რომ ნაციის ჭეშმარიტი სიმდიდრე და კეთილდღეობა განპირობებულია არა გაცვლითი ფასეულობის რაოდენობით, არამედ საწარმოო ძალების განვითარების ხარისხით. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური ძლიერება. პოლიტიკოსების ამოცანაა გააერთიანონ, ცივილიზებული გახადონ ერები, უზრუნველყონ მათი არსებობა და მდგრადობა. ერის „სამრეწველო აღზრდა“ კი მატერიალური ფასეულობების უშუალო წარმოებაზე უფრო მნიშვნელოვანია (List, 1841). პროტექციონიზმი კი ლისტისათვის სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, როგორ მოხდება მათი იმ დარგებში მოზიდვა, რომლებიც ვერ უძლებენ

ძლიერი სახელმწიფოს (ფ.ლისტის შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო ინგლისია) კონკურენციას? როდისაა ერი უფრო მდიდარი და ძლიერი, რაც უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს ეწევა, რაც უფრო მეტი ნედლეულის იმპორტს ახორციელებს და რაც მეტ ტროპიკულ პროდუქტებს მოიხმარს თუ მაშინ, როცა საკუთარი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყანა სპეციალიზდება საწვავის და ნედლეულის ექსპორტზე. ლისტის აზრით, ამ უკანასკნელს მივყავართ მუდმივი ჩამორჩენილობისა და სიღატაკისაკენ. მაშასადამე, საჭიროა საპირისპირო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას (List, 1841).

ამდენად, ლისტმა პირველმა მიანიშნა საბაზრო მოდელის შესატყვისობაზე კონკრეტულ ისტორიულ გარემოებასთან, რითაც მთელი პრობლემატიკა სამეცნიერო სფეროდან კონკრეტული პოლიტიკის ტერიტორიაზე გადაიყვანა. მან საკითხი შემდეგნაირად დასვა: ჩვენ არ უნდა ვწყვეტდეთ „ბაზარი თუ ბაზრის გარეშე“, „ვაჭრობის თავისუფლება თუ თავისუფლების უქონლობა“. ჩვენ უნდა გავარკვიოთ ის, თუ რა გზით უნდა განვავითაროთ საბაზრო ურთიერთობები კონკრეტულ ქვეყანაში ისე, რომ ბაზრის განვითარების თვალსაზრისით უფრო განვითარებულ სამყაროსთან კონტაქტისას არ დაიკარგოს პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკური სუვერენიტეტი, ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ ურთულეს საკითხს ლისტმა თვითონვე გასცა პასუხი. ეს პასუხი იყო ავტარქია, რომელიც ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით არის თვითკმარი და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების პოლიტიკა (www.merriam-webster.com). მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის სახელმწიფო და ერი უნდა ფლობდეს მაქსიმალურად შესაძლო ტერიტორიას, რომელიც გაერთიანებულია საერთო ეკონომიკური სტრუქტურით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ეკონომიკური სუვერენიტეტის საწყისი ფაზის მიღწევა. ამ მიზნის მისაღწევად ის გამოვიდა წინადადებით, რომ მომხდარიყო ავსტრიის, გერმანული სამეფო-სამთავროების და პრუსიის გაერთიანება „ერთ საბაჟო“ კავშირში, რომლის ჩარჩოებშიც ინტენსიურად განვითარდებოდა ინტეგრაციული პროცესები და საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ თავისუფალ ვაჭრობაზე შეზღუდვები კავშირის შიგნით მინიმალური ყოფილიყო ან სრულიად გაუქმებულიყო.

ექსპორტის საკითხი უკიდურესად ლიბერალიზირებული და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი, ხოლო იმპორტი, პირიქით, საბაჟო კავშირში შემავალი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს უნდა დაქვემდებარებოდა (List, 1841).

ლისტის აზრით, სამრეწველო განვითარების პროცესში ერების ეკონომიკურ განვითარებაში დისპროპორციების აღმოფხვრამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარებას. მართლაც, მსოფლიოში დღეს არსებული უსაფრთხოების სისტემა შესაძლებელი გახდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების დაახლოებით, რამაც პოტენციური გლობალური ომი საყოველთაო თვითმკვლელობად, ფაქტობრივად, უაზრობად აქცია. ცენტრალური საკითხი, რომელსაც ლისტი აყენებს, არის ის, თუ როგორი საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ წავა მსოფლიო - გლობალური სისტემისკენ, სადაც სისტემას ყავს ერთი მმართველი (ანუ მაშინდელი ბრიტანეთი), თუ თანაბარუფლებიანი ერების სისტემისაკენ? დღეს ამ პრობლემის აქცენტი რამდენადმე შეცვლილია, თუმცა პრობლემა დარჩა.

რაც შეეხება ლისტის სხვა იდეების შემოწმებას ისტორიულ - ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებაში, აქ საინტერესოა შემდეგი დეტალი. კერძოდ, როცა ლისტი ამუშავებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საკუთარ კონცეფციას, მაშინ თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური ლიდერები (აშშ, გერმანია, იაპონია) მხოლოდ იწყებდნენ ეკონომიკურ აღმასვლას. მოდით აქ დავსვათ მთავარი კითხვა- მათი აღმასვლა ა.სმითის და დ. რიკარდოს (აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ექსპლუატაციის ხარჯზე) თუ ფ. ლისტის (კომპლექსური განვითარების ხარჯზე) მიხედვით განხორციელდა? ეკონომიკური ისტორია მოწმობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა დაგვიანებით მოხდა (ინგლისთან შედარებით), მათ ლიდერებში გადაინაცვლეს არა სპეციალიზაციის, არამედ კომპლექსური განვითარების ხარჯზე.

XIX საუკუნის ბოლო მესამედში მაშინდელ ლიდერ ქვეყნებს (უპირველეს ყოვლისა, ინგლისი და საფრანგეთი) ძალიან მიუახლოვდა ახალი ლიდერი, გერმანია. ამ ქვეყანაში ძლიერი განვითარება პოვა მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე დარგებმა,

რომლებიც ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაჩქარებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია დარგთაშორისი ბალანსის დარღვევა, რაც ცალსახად წარმოადგენდა იმ მსხვერპლს, რომელიც საზოგადოებამ გაიღო ცივილიზაციის სიკეთეებზე ხელმისაწვდომობისათვის. კონფლიქტი თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების ეროვნულ ინტერესებს შორის ძალიან კარგად ჩანს იაპონიის მაგალითზე. იაპონიაში ტოკუგავას სეგუნატის რეჟიმის კრახი მეტწილად იმან განაპირობა, რომ 1850-იან წლებში ამერიკული და ინგლისური წარმოების იაფი სამრეწველო პროდუქციის შესატანად იაპონიამ იძულებით გააღო ქვეყანა, რამაც დაბალი საბაჟო ტარიფების პირობებში გამოიწვია ქალაქის ხელოსნების და მეწარმეების მასობრივი გაკოტრება, რასაც მოყვა რევოლუცია და ხელისუფლების სათავეში მეიძის რეჟიმი მოვიდა. განახლებულმა იაპონიის სახელმწიფომ 1868-1912 წლებში, ერთი მხრივ, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ძაიბუცუსთან (ასე ეწოდებოდა ზოგადად იაპონიის წამყვან ბიზნესკონგლომერატებს), რომელებიც უზარმაზარ საოჯახო ბიზნესიმპერიას წარმოადგენდნენ და, ფაქტობრივად განკარგავდნენ იაპონიის ეკონომიკას (ჰეივუდი, 2004); მეორე მხრივ, საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი იაპონიის მთავრობამ მიმართა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე, რამაც უკვე XX საუკუნის დასაწყისში საბოლოო ჯამში უზრუნველყო იაპონიის ეკონომიკის შედარებით მაღალი კონკურენტუნარიანობა.

1860-იან წლებში, მსგავსი რამ ხდებოდა გერმანიაში მისი გაერთიანების შემდგომ. მთავრობის პატრონტაჟით, ფაქტობრივად, 20 წელიწადში, ამ ქვეყანაში ინდუსტრიის მთელი რიგი დარგები აღმოცენდნენ. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ორივე ქვეყანა გადავიდა ეკონომიკური განვითარების სმითის და რიკარდოს მოდელზე. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო არა ის, რომ ამ ქვეყნებმა უარი თქვეს ეკონომიკის რეგულირების ძველ მეთოდებზე, არამედ ის, რომ მათ უბრალოდ ფიზიკურად არ გააჩნდათ ეკონომიკის ბევრი დარგი (განსაკუთრებით იაპონიას). ომის შემდგომი კრიზისის დაძლევისთანავე გერმანიაც და იაპონიაც ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ კომპლექსური განვითარების პოლიტიკას. მაგალითად, ცნობილია, რომ 1970-1980-იან წლებში იაპონიის მთავრობამ

დიდი ინვესტიცია განახორციელა ნედლეულის წარმოების განვითარებასა და ნახევარფაბრიკატების გამოშვებისათვის საკუთარ საზღვრებს მიღმა, რაც, მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად ჯდება კომპლექსური განვითარების სტრატეგიის ჩარჩოებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, ერთი მხრივ, აშშ-ის დიდი წვლილი იაპონიის და დასავლეთ გერმანიის ეკონომიკების განვითარებაში. ასევე ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ წლებში მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალი კონკურენცია იყო.

აშშ-ის ეკონომიკის ისტორია ლისტის იდეების შემოწმების თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა, რამდენადაც 1865 წლამდე ფაქტობრივად არსებობდა ორი „ამერიკა“ (Латов, 2004). ჩრდილოეთის შტატები ეკონომიკას ანვითარებდნენ ფ. ლისტის თეორიის მიხედვით, სამხრეთის შტატები დ. რიკარდოსა და ა. სმითის თეორიის საფუძველზე ვითარდებოდნენ, სპეციალიზდებოდნენ რა სოფლის მეურნეობაზე, კონკრეტულად კი ბამბის წარმოებაზე. რამდენადაც ქვეყანა პოლიტიკურად ერთიანი იყო, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მუდმივად მიმდინარეობდა დაპირისპირება საბაჟო ტარიფებთან დაკავშირებით: სამხრეთი მოითხოვდა თავისუფალ ვაჭრობას, ხოლო ჩრდილოეთი - პროტექციონიზმის დაცვას. დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილოეთის შტატების პოლიტიკოსები ცდილობდნენ პროტექციონისტული კანონების მიღებას. ნაპოლეონის ომების შემდგომ აშშ-მა დაიწყო თავისი მრეწველობის დაცვა ბრიტანეთისაგან, მაღალი პროტექციონისტული ტარიფების შემოღებით. 1832 წელს პირველად გაჩნდა ამერიკელი ერის გახლეჩვის რეალური საფრთხე: სამხრეთ კოროლინის შტატის მთავრობამ თავის მთელ ტერიტორიაზე გააუქმა პროტექციონისტული ტარიფები და დაიმუქრა, რომ, თუ მთავრობა მიმართავდა იძულებით ზომებს, ეს შტატი გავიდოდა კავშირის შემადგენლობიდან. ეს კონფლიქტი დროებით ჩაცხრა, როცა პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი (ის სამხრეთ კოროლინაში იყო დაბადებული) დათანხმდა ტარიფების დაწევას. ფ. ლისტი ამ მოვლენების და აშშ-ის ირგვლივ გამართული დებატების დროს აშშ მოღვაწეობდა და ამ ქვეყნის გამოცდილებამ ის დაარწმუნა საკუთარი შეხედულებების მართებულობაში. კერძოდ, ეროვნული მრეწველობის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობაში. ლისტი მიანიშნებდა, რომ, როცა აშშ-ის კონგრესი დაბლა სწევდა იმპორტის გადასახადს, ეს ამერიკის

საზოგადოებისათვის ნიშნავდა ეროვნული წარმოების შემცირებას ყველა დარგში, ასევე ეცემოდა სასოფლო პროდუქციის და მიწის ფასი, რამდენადაც სოფლის მეურნეობაში კონკურენცია ძლიერდებოდა (List, 1841).

ამ დროს ეკონომიკის კლასიკოსები თვლიდნენ, რომ ჩრდილოეთი ამერიკა გამოირჩევა მიწების სიუხვით და ნაყოფიერების მაღალი დონით, ამიტომ სოფლის მეურნეობა მისი სპეციალიზაციის სფერო უნდა ყოფილიყო. თუმცა, თვით პრაქტიკამ უარყო ეს მტკიცებულებები. კერძოდ, 1860-იან წლებში შეიქმნა სიტუაცია, როცა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კომპრომისის მიღწევის არანაირი შანსი აღარ არსებობდა. რადიკალმა რესპუბლიკელებმა აბრაჰამ ლინკოლნის ადმინისტრაციიდან საბაჟო ტარიფის დონე კვლავ გაზარდეს (ეს მოხდა 1861 წლის მარტში). სწორედ ამ დროს იწყება სამოქალაქო ომი აშშ-ში (1861-1865წწ.). ეს ომი, რომელიც ჩრდილოეთის ინდუსტრიულ და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის გაჩაღდა, წარმოადგენდა ომს არა იმდენად მონობის წინააღმდეგ (რასაც მოითხოვდნენ ჩრდილოელები), რამდენადაც ეს იყო ბრძოლა პროტექციონისტული ბარიერების გაუქმებისათვის (რასაც ითხოვდნენ სამხრეთელები). ომის შედეგი კი ის გახდა, რომ აშშ-მა ტარიფები საკმაოდ გაზარდა, რომელიც ომის შემდგომაც მოქმედებდა, რამდენადაც ამ ომში ჩრდილოელმა პროტექციონისტებმა გაიმარჯვეს სამხრეთელ ფრეტრედერებზე. თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაზე აშშ გადავიდა მხოლოდ XX საუკუნეში, როცა ის დაეწია და გაასწრო დიდ ბრიტანეთს. როგორც დავინახეთ, ახალი ლიდერი ქვეყნების ეკონომიკური ისტორია მათი განვითარების საწყის ეტაპზე გარკვეულწილად ადასტურებს ლისტის და არა მისი ოპონენტების პოზიციას.

იმის მიუხედავად, რომ კარლ მარქსი არ დავობდა ლისტთან (რომლის მიზეზი იყო ის, რომ ეს უკანასკნელი არ ეხებოდა ექსპლუატაციის, დამატებითი ღირებულების და სხვა, მათგან წარმოებულ საკითხებს, ვინაიდან ის იკვლევდა წარმოების გაზრდის საკითხებს იმის მიუხედავად თუ როგორ მოხდებოდა შემდგომ ნაწარმის განაწილება) იგი ფ. ენგელსთან ერთად, როგორც ცნობილია, აგიტაციას უწევდა ფრეტრედერობას, ანუ გარკვეული აზრით მაინც მის წინააღმდეგ გამოდიოდენ. აღნიშნულმა საბჭოთა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტებს გაუჩინა მიზეზი მიენიშნებინათ მის სიმპათიებზე

აზნაურებისა და მონარქის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი „გაახსენდათ“, რომ ეს მეცნიერი ყბადაღებული „ლებენსრაუმის“ (სასიცოცხლო სივრცის) თეორიის წინამორბედიც იყო. ყველა განხილული თეორიული დებულებები შემდგომში აისახა სხვადასხვა თეორიებში.

1.3 გეოეკონომიკა სხვადასხვა თეორიებში

1977 წელს რობერტ კოენმა და ჯოზეფ ნაიმ გამოაქვეყნეს ნაშრომი „Power and Inerdependance“ („ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“), რომელიც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს, როგორც უნიტარული აქტორის როლის თანდათანობით დაღმასვლას გვამცნობს. ამ ევოლუციის განსასაზღვრელად ისინი „ტრანსნაციონალური პოლიტიკის“ ან „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების“ კონცეფციებს გვთავაზობენ. ამ ავტორების კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მოდელი საერთაშორისო ფენომენების ანალიზისთვის გამოიყენება, რომელიც სამ ამოსავალ ჰიპოთეზას გვთავაზობს, სახელმწიფოს გარდა სხვა მრავალი აქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელდობრ, ტრანსნაციონალური კომპანიები, ისევე როგორც საერთაშორისო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) და ზეწოლის ჯგუფები. „ეროვნული ინტერესის“ განმარტება პრობლემატურია, რადგან თავად სახელმწიფოთა შიგნით საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია კონფლიქტების საგანია იმ ჯგუფების არსებობის გამო, რომელთა ინტერესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვევა; ამ შემთხვევაში, სამხედრო ძალა ქმედით ინსტრუმენტს არ წარმოადგენს. არსებობს მრავალი საერთაშორისო ფაქტი, რომელიც ამგვარი მოდელით შეიძლება შევისწავლოთ, ეკონომიკური ფენომენებით დაწყებული. აღნიშნული ნაშრომი ქვეყნდება იმ დროს, როდესაც ძალზე მჭიდრო კავშირები ნაციონალურ ეკონომიკებს შორის იმგვარი სიცხადით წარმოჩნდება, რომ არ არსებობს დასაბუთების საჭიროება ამ რეალობის ასაღიარებლად. ის ბიძგს აძლევს კვლევებს, რომლებიც ორი მიმართულებით ვითარდება: რეჟიმების ანალიზი – ან საერთაშორისო

შეთანხმებები, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას არეგულირებს. ლიბერალური სულისკვეთების ტრანსნაციონალური ანალიზი, რომელიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესებს მოიცავს. მეორე ორიენტაცია 1980-იან წლებში გარკვეული წარმატებით სარგებლობს ანგლოსაქსურ სამყაროში. ის ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობების გრავიტაციის ცენტრის გადაადგილებას არასახელმწიფო აქტორებისა და მრავალი ტრანსნაციონალური ქსელებისკენ ნაციონალურ საზოგადოებებს შორის. ამგვარი მიდგომა წარმოდგენილია ჯეიმს როზენაუს ნაშრომში: „Turbulence in World Politics“ („ტურბულენტობა პოლიტიკურ სამყაროში“ 1990) ტურბულენტობის ცნება მეტეოროლოგიიდანაა ნასესხები და მიზნად ისახავს ერთბაშად მიმდინარე უწესრიგო მოვლენების ხაზგასმას, რომლებიც ორი „მსოფლიოს“ სუპერპოზიციითაა გამოწვეული, – სახელმწიფოთშორისი, მისთვის დამახასიათებელი კონკურენტული ლოგიკით და „მულტიცენტრული“, რომელშიც „სუვერენიტეტის გარეთ“ მყოფი აქტორებია მომრავლებული. ამ უკანასკნელთა სიჭარბე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიციულ კონცეფციას, რომელიც ანარქიის პრობლემატიკაზეა ფოკუსირებული. ავტორი ცდილობს ამგვარი დიალექტიკით შემოყვანილი მსოფლიო წესრიგის რყევების გათვალისწინებას და სამ ურთიერთდამოკიდებულ „პარამეტრს“ აანალიზებს, რომელიც ინდივიდუალურს, სტრუქტურულსა და ურთიერთობითს წარმოადგენს. მისი აზრით, ინდივიდუალურმა პარამეტრმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით და ლოიალურობის გრძნობების ეროზიას წარმოაჩენს ტრადიციული ერთობების მიმართ. სახელდობრ, სახელმწიფოსადმი – ხელისუფლების ორგანოებისადმი ნაკლები დაქვემდებარება, ინტერესის გაზრდა და ემოციური დამოკიდებულება საერთაშორისო პოლიტიკიდან მომდინარე საკითხების მიმართ. რაც შეეხება სტრუქტურულ პარამეტრს, ის ბევრ სფეროში მრავალი ტრანსნაციონალური აქტორის გამოჩენით და მთავრობების შესაბამისი კომპეტენციების შემცირებით აღინიშნა. დაბოლოს, ურთიერთობითმა პარამეტრმა ძირეული ცვლილებები განიცადა, რომელიც ლოიალურობის რეორიენტაციაში გამოიხატა, სახელმწიფოზე მეტად შეზღუდული ჯგუფებისკენ. ამ

ნაშრომს შეიძლება კლასიკური ლიბერალიზმის მახეში აღმოჩენა ვუსაყვედუროთ, პოლიტიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კონცეფციასთან მიმხრობით, რომელიც უგულებელყოფს, როგორც ძალაუფლებისა და ჰეგემონიის კავშირების ანალიზს, ისე ტრანსნაციონალური სივრცის წინსვლაზე დამყარებული ეკონომიკური და პოლიტიკური დომინანტობის მექანიზმებს. აღნიშნულ პერსპექტივაში არსებობს საერთაშორისო ასპარეზის ყველა აქტორის ერთ სიბრტყეში მოთავსების მცდელობა, ინდივიდების ჩათვლით და განსხვავება არ კეთდება ამ უკანასკნელთა მიზნებსა და უნარებს შორის, რომელთა მობილიზებაც მათ შეუძლიათ. ამავე დროს, როზენაუს მიერ შემოთავაზებული ინდივიდის წარმოდგენები შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს კალიფორნიისთვის, მაგრამ აშკარად არა კაცობრიობის უმრავლესობისთვის. როზენაუს ასევე შეიძლება შევეკამათოთ იმასთან დაკავშირებით, რომ არასამთავრობო ხასიათის ტრანსნაციონალური ფენომენები სახელმწიფოების ზეგავლენის ქვეშ რჩებიან და ძლიერ სახელმწიფოთა საქმიანობის გავლენას განიცდიან. საქონელბრუნვისა და მომსახურების გაცვლის ნაკადი, კაპიტალის ბრუნვა, სამეცნიერო და ტექნიკური წინსვლა, მატერიალური განვითარების ყველა მახასიათებელი, რომლებიც გლობალიზაციასთანაა დაკავშირებული, განსაზღვრული პოლიტიკური არჩევანიდან მომდინარეობს, რომელიც სახელმწიფოთა მიერაა მხარდაჭერილი ან მიღებული, განსაკუთრებით კი ძლიერ სახელმწიფოთა მიერ. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოები აბსტრაქტული ინსტანციები არ არიან, რომლებიც გვერდს უვლიან სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას, ღირებულებების განსხვავებულობასა და რესურსების მისაწვდომობასთან დაკავშირებულ დისპუტებს. ხშირ შემთხვევაში, ამ სახელმწიფოების შიგნით ხელისუფლება მმართველი ელიტების მიერაა მონოპოლიზებული, რომლებიც სოციალური კლასების ან პრივილეგირებული ჯგუფების პირველობას იცავენ. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა ასევე უნდა მოიცავდეს იმ სოციალური ძალების სოციოლოგიურ ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოებს ან ნაციონალურ ერთობებს შორის ურთიერთობებზე.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ქვედისციპლინად ჩამოყალიბება უკავშირდება ბრიტანელი სიუზან სტრეინჯის ნოვატორულ ნაშრომებს. 1970-იანი

წლებიდან იგი გამოსცემს სტატიების სერიას, რომლებშიც საერთაშორისო სტრუქტურებში ძალაუფლების რეკონცეპტუალიზაციის აუცილებლობაა ხაზგასმული, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკურ და ფინანსურ აქტორთა მზარდი გავლენა და მისი შედეგი სახელმწიფო სუვერენიტეტსა და სამთავრობათშორისო რეგულაციაზე. 1988 წელს იგი აქვეყნებს მნიშვნელოვან ნაშრომს „States and Markets“ („სახელმწიფოები და ბაზრები“), რომელშიც ავტორი ძალაუფლების სტრუქტურულ კონცეფციას იცავს. ამ უკანასკნელს იგი განსაზღვრავს, როგორც აქტორის მიერ იმგვარი გარემოს ჩამოყალიბების უნარს, რომელშიც სხვა აქტორები იძულებულნი არიან იმოქმედონ. ეს ძალაუფლება საერთაშორისო სისტემის ოთხ ურთიერთდაკავშირებულ სტრუქტურაში ხორციელდება, რომელსაც უსაფრთხოება, წარმოება, ფინანსები და ცოდნა წარმოადგენს. თუკი ამ ჰიპოთეზას დავეთანხმებით, მისგან მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისთვის. პირველ რიგში, სახელმწიფოთა ძლიერება შეფასებული უნდა იქნეს არა სამხედრო შესაძლებლობებით, როგორც ამას კლასიკური რეალიზმის ანალიზი გვთავაზობს, არამედ იმ პოზიციასთან მიმართებაში, რომელიც მათ ამ სხვადასხვა სტრუქტურებში უკავიათ. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ არასახელმწიფო აქტორები ასევე აქტიურები არიან აღნიშნულ სტრუქტურებში ისე, რომ იქ მოწინავე ადგილიც კი უკავიათ. აღნიშნული განსაკუთრებით სამ სფეროს ეხება, – უსაფრთხოების სფეროს გარდა, რომელშიც კერძო აგენტებს ხელთ უპყრიათ იმგვარი ძალაუფლება, რომ ისინი საგრძნობლად ზღუდავენ სახელმწიფოთა მანევრირების უნარს, სახელდობრ, სოციალურ, საფინანსო და ფისკალური სფეროს რეგულაციაში. მესამე, მართებულია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ეს სტრუქტურები ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას, რაც სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ანალიზს ართულებს. დაბოლოს, თავად უსაფრთხოების სტრუქტურა აღარ წარმოჩნდება სახელმწიფოთა ერთადერთ კომპეტენციას, რამდენადაც ისინი ორგანიზებულ დანაშაულს უნდა დაუპირისპირდნენ. ამგვარად, ამ ანალიზში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციამ, ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის გავლენით, კომუნიკაციის სფეროში ტექნოლოგიების განვითარებითა და ინფორმაციის გაშუქებით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ტრადიციული მიზნები შეცვალა. ამ პერსპექტივაში, საერთაშორისო

კონფლიქტების არე აღარ ეხება მხოლოდ ტერიტორიულ ექსპანსიას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იმპერიალისტურ ეპოქაში ან ცივი ომის იდეოლოგიის განვითარების პერიოდში; ის დიდ უპირატესობას ანიჭებს მატერიალური რესურსების გადანაწილებას, რაც მთავრობებს ეკონომიკური აღმავლობისა და საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევის საშუალებას აძლევს. სწორედ ამ მიზეზით მთავრობებმა მუდმივად ერთობლივად უნდა იმოქმედონ და მოლაპარაკებები აწარმოონ ტრანსნაციონალურ ფირმებთან, რომელთა ინვესტიციები მათთვის აუცილებელია. ამ კუთხით, ეს საწარმოები აღქმული უნდა იქნეს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის სრულუფლებიანი აქტორები. სტრეინჯის ანალიზი ამერიკული ჰეგემონიის დაღმასვლის თეზისს უარყოფს. იგი გვიჩვენებს, რომ აშშ უსაფრთხოების სტრუქტურაზე დომინირებს და, ამგვარად, ხელთ აქვს საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნების ან შეცვლის ძალაუფლება. ის ასევე ფინანსურ სტრუქტურებს აკონტროლებს, რაც მას კაპიტალის მოდინების ხასიათისა და ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობას აძლევს. აშშ გადამწყვეტ გავლენას ახდენს წარმოების სტრუქტურაზე. დაბოლოს, ის ცოდნის სტრუქტურას განკარგავს, რადგან ძირითადი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ისევე როგორც დომინანტური იდეები და რწმენები მისი კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებიდან ან საკომუნიკაციო ქსელებიდან მომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრეინჯი ასკვნის, რომ მსოფლიო ეკონომიკური უწესრიგობის მიზეზს ამერიკული ადმინისტრაციების გადამეტებები წარმოადგენს საკუთარი ჰეგემონიის განხორციელებისას, როდესაც ისინი მოგებას ცალმხრივი წესით ცდილობენ და სრულიად არ აწუხებთ ის ნეგატიური შედეგები, რაც ამ პოლიტიკამ შეიძლება იურისდიქციის გარეთ გამოიწვიოს. ამავე დროს, სტრეინჯი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ბაზრების სასარგებლოდ სახელმწიფოთა ძალაუფლების დათმობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საფინანსო სექტორში და ასევე, კერძო აქტორების სასარგებლოდ, რომლებიც მულტინაციონალურ ბანკებსა და ინსტიტუციურ ინვესტორებს წარმოადგენენ. აღნიშნული ფენომენის ანალიზს იგი მრავალ ნაშრომს უძღვნის (განსაკუთრებით საინტერესოა „The Retreat of the State“,1996 და „Mad Maney“,1998). ამ ნაშრომებში ავტორი აანალიზებს სახელმწიფოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ამ უკანასკნელთა მიუღებლობას, რამაც შესაძლებელი გახადა

აღნიშნული ბაზრების გაძლიერება. ამის ყველაზე აშკარა მაგალითებია: კრედიტების გაცემის შეზღუდვის გაუქმება, სავალუტო კურსზე კონტროლის მოხსნა, საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების ლიბერალიზაცია, საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების შესუსტება. თუკი არის სფეროები, რომლებშიც სახელმწიფოებს კვლავაც აქვთ ძალაუფლება ან ამ უკანასკნელს კერძო აქტორებთან ერთად ინაწილებენ – სიფრთხილის წესები, რომლებიც ე. წ. ხელახალი რეგლამენტაციის პროცესის ჩარჩოში იქნა დადგენილი კრედიტის რისკებისგან ბანკების დასაცავად დიდწილად მათგან დამოუკიდებლად ხორციელდება; მაგალითად, მეორადი ბაზრები ან რაც უფრო სერიოზულია, არალეგალური ფინანსები. რადგან საკრედიტო ინსტიტუტები რისკებს იღებენ, რასაც სისტემური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ე. ი. სისტემის საერთო კრიზისი, სტრეინჯი მიიჩნევს, რომ წმინდა წყლის სიგიჟეა, – სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ნაშრომის სახელწოდება, ფინანსური ბაზრებისთვის სახელმწიფოს და საერთაშორისო ინსტიტუტების კონტროლის გვერდის ავლის შესაძლებლობის მიცემა. თუმცა, საბაზრო ეკონომიკის მქონე სამრეწველო ქვეყნების ზოგადი ტენდენცია მდგომარეობს უფრო მეტად ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებაში. სახელმწიფოების მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა მიზნად ისახავს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას: რამდენადაც მდიდარი სახელმწიფოები თავად არიან ფასიანი ქაღალდების ძირითადი გამომშვებნი ფინანსურ ბაზრებზე და თავიანთი საწარმოები ამ უკანასკნელთ მიმართავენ დაფინანსების საჭიროებებისთვის, სახელმწიფო ხელისუფლება პირველ რიგში, ცდილობს ამ ფასიანი ქაღალდების სიმყარის გაძლიერებას აშკარა მინიშნებებით, რომ ის არ მიმართავს ინფლაციის ხერხს საკუთარი ვალის გასაუფასურებლად. სწორედ აქედან მომდინარეობს ცენტრალური ბანკებისთვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭება და „კონკურენტუნარიანი სახელმწიფოების“ გამოჩენა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ლიბერალიზაციის მეშვეობით უცხოური კაპიტალის მოსაზიდად (Cerny, 1990). ასეთი პრაქტიკა ეფუძნება პოსტულატს, რომლის თანახმად, საერთაშორისო ფინანსების ფუნქციაა „დაგროვილი კაპიტალის ტრანსფერი იქ, სადაც მისი დამატებითი მოგება ყველაზე მაღალია და სადაც ის ყველაზე ეფექტური ფორმით შეიძლება გამოიყენონ“(Gilpin, 1987, გვ. 306). მსგავსი პოზიცია უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ

ეკონომიკურ აგენტთა მოლოდინები რაციონალური არასდროს იქნება ინფორმაციის უკმარისობის გამო. ამავე დროს, ეს მოლოდინები შეიძლება ირაციონალური აღმოჩნდეს, როგორც კი ისინი სიხარბისა და შიშის გრძნობებითაა მოტივირებული, რასაც სტრეინჯი ძალზე მართებულად აღნიშნავს (1998 წ., გვ. 139). ამგვარად, კაპიტალი ქვეყანაში შეიძლება სწრაფად და მასობრივად შემოვიდეს და ამგვარადვე გავიდეს აქტივების გაზრდით ან შემცირებით, რაც არანაირად არ ასახავს ეკონომიკის „საფუძვლებს". ეყრდნობიან რა კაპიტალის ბაზრებს ეკონომიკური საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მზარდი პროპორციით დასაფინანსებლად, სამრეწველო ქვეყნები დათანხმდნენ კერძო კრედიტორების დამოკიდებულების ქვეშ ყოფნას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტებისგანაა შემდგარი. აღნიშნულის შედეგია ის, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად ამ სახელმწიფოებმა დასაქმებაზე მეტად ფასების სტაბილურობაზე უნდა იზრუნონ. სტრეინჯის მიერ პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის კავშირების პრობლემატიზაცია, ზოგიერთების აზრით, ეკლეკტიკური და გადაჭარბებულია. ავტორის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობებში სტრუქტურული ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებით მზარდ ინტერესს იწვევს ანგლოსაქსურ სამყაროში. სთრეინჯის ნაშრომებში ხაზგასმულია ბაზრების როლი ძალთა თანაფარდობაში, რომელიც საერთაშორისო ასპარეზს აყალიბებს. იმავდროულად, აქცენტი კეთდება პოლიტიკური საფუძვლებისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობაზე, რომლებიც ეკონომიკურ აქტორთა ექსპანსიას უწყობს ხელს. სახელმწიფო აუცილებელ წესრიგს ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის; სანაცვლოდ, ბაზრები სახელმწიფოებს იმ რესურსებს აძლევენ, რომლებიც მათ საერთაშორისო ასპარეზზე დასამკვიდრებლად და იქ თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად ესაჭიროებათ. თუკი ამ დიალექტიკურ მიდგომას მივყვებით, ეკონომიკა არ უნდა იქნეს აღქმული თავისი სოციალურ-პოლიტიკური გარემოსგან ან ყოველგვარი ინსტიტუციური კონტექსტიდან იზოლირებულ სფეროდ. მისი ფუნქციონირების კანონები არაა უნივერსალური, რადგან საზოგადოებებს შეუძლიათ ძალზე განსხვავებული ფორმების დამკვიდრება წარმოებისა და ვაჭრობის სამართავად ან რესურსების სიმწირესთან გასამკლავებლად. კაპიტალისტური

ეკონომიკის სფერო პირველ ყოვლისა, მოიცავს დიდ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, ძლიერ კომერციულ ბანკებს და ასევე პროფკავშირებსა და მომხმარებელთა გაერთიანებებს, აქტორებს, რომლებიც სხვადასხვა სახით და დონით ზემოქმედებას ახდენენ მთავრობებზე იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა მათი ინტერესები დაიცვან ნაციონალურ დონეზე და მრავალმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოში. ეს სფერო მთავრობების პოლიტიკითაა განსაზღვრული, კერძოდ კი ძლიერი სახელმწიფოების მთავრობების პოლიტიკით. ამ მხრივ, ინსტიტუტები, გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მართლაც, ეკონომიკურ აქტორთა ქცევა დამოკიდებულია, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის მმართველ წესებსა და პრაქტიკაზე, ისე ფულადი სახსრების ნაკადზე. ეს ინსტიტუტები სახელმწიფოთა შიგნით და საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოში ყალიბდებიან, კომპლექსურ გარემოში, რომელშიც აქტორები ერთმანეთს უპირისპირდებიან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული კონცეფციების სახელით, ასევე არაერთგვაროვანი ინტერესების დასაცავად.

თავი 2. ახალი და უახლესი გეოეკონომიკა

2.1. ახალი გეოეკონომიკური აზროვნება (ცივი ომის პერიოდის მაგალითი)

„ცივ ომში" აშშ-ის და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება მიმდინარეობდა რა ბირთვული იარაღის გამოყენების შიშის ატმოსფეროში, ამ ორი ზესახელმწიფოს

სამხედრო შეჯახება ორივე მხარისათვის დაუშვებლად მიიჩნეოდა. ამ ფაქტორის გამო „ცივი ომის“ არსს ორი სისტემის ეკონომიკური და პოლიტიკური დაპირისპირება წარმოადგენდა, რომელიც გარკვეულწილად იყო „ომი ქანცის გაწყვეტამდე“. გამალებული შეიარაღება, სისტემათა შეჯიბრი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის დეტალურადაა შესწავლილი, მაგრამ იმ პარადოქსული ეკონომიკური სვლების მეცნიერული ანალიზი, რომელსაც აშშ იყენებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკური მიდგომის ლიდერი აშშ გახდა. ანტიჰიტლერული სამოკავშირეო კოალიციის ფონზე დაიბადა „ერთიანი მსოფლიოს“ ახალი გეოეკონომიკური დოქტრინა (თანამედროვე გაგებით), რომლის ავტორები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები: ჯორჯ ფროსთ ქენანი და უილიამ ქლეიითონი. მათ დაამუშავეს „შეკავების კონცეფციის“ ის ძირითადი დებულებები, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ჩართვას ახალ მსოფლიო წესრიგში. ქენანის (ის იმ დროს აშშ-ის ელჩის მოადგილე იყო საბჭოთა კავშირში) აქტიური მონაწილეობით დამუშავებულ ე.წ. მარშალის გეგმაში, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო „ევროპის აღორძინების პროგრამა“ (European Recovery Program-ERP- აშშ-ის ადმინისტრაციამ ე.წ. მარშალის გეგმის ფარგლებში ევროპის ქვეყნების აღორძინებისთვის 13 მილიარდ დოლარამდე გამოყო, რაც მაშინდელი კურსით უზარმაზარი თანხა იყო), გათვალისწინებული იყო ეკონომიკური დახმარების გამოყოფა საბჭოთა კავშირისათვის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნის მეტი ეკონომიკური გახსნილობის და საბაზრო ურთიერთობის განვითარებისათვის. გეოპოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილმა იმდროინდელმა საბჭოთა იმპერიის მმართველმა ელიტამ მაშინ უარი თქვა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. ამ უარით საბჭოთა კავშირმა დაუშვა დიდი სტრატეგიული შეცდომა, როცა მომავალი სტრატეგია წარმართა „წარმოების სწორხაზოვანი ლოგიკით“ და არა „სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკით“. შედეგი კარგადაა ცნობილი (კვინიკაძე, 2016).

ქენანი ფაქტიურად იმ ახალი ამერიკული გეოპოლიტიკის (გეოეკონომიკის) ერთ-ერთი ინიციატორი იყო (Kennan,1946). ქენანის თეზისის ძირითადი გეოეკონომიკური ხასიათი

იმაში მდგომარეობდა, რომ მან ამერიკის უსაფრთხოებისათვის მსოფლიოს ოთხი სტრატეგიული ცენტრის (ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი) გამოყოფას საფუძვლად ომის წარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პოტენციალის არსებობა დაუდო.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკონომიკური ძლიერების გეოპოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა „ცივი ომის“ პერიოდში. აღნიშნული გეოეკონომიკური სტრატეგია დაედო საფუძვლად ახალი „სასიცოცხლო ინტერესებების ზონის“ თეორიას. ჯ. ფ. ქენანი ფიქრობდა, რომ ეკონომიკური კონკურენცია არის არა ომი, არმედ ის არის ინტერესებისათვის ურთიერთმეტოქეობა.

ამ თეორიული აზრის წარმატებით განვითარების მიუხედავად, რეალობა აჩვენებს, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახსნა მხოლოდ ეკონომიკის ან ფინანსების პოზიციებიდან არ შეიძლება.

აღნიშნულ პერიოდში გეოპოლიტიკა კომპრომეტირებული აღმოჩნდა იმის გამო, რომ მან მოახდინა აგრესიის წახალისება. ამ მოცემულობაში აუცილებელი გახდა ძველი თეორიების გადახედვა ახალი რეალიების გათვალისწინებით. რასაც შეეცადა კიდეც გეოეკონომიკა, რომელმაც თავისებურად ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკის ორი ძირითადი საკითხი. კერძოდ, რას წარმოადგენს ძლიერება (ეს ცნება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რესურსების, შესაძლებლობებისა და გავლენის ხარისხი) და სად და როგორ მატერიალიზდება ის. გასული საუკუნის მიწურულს მას დაემატა კიდევ ერთი. კერძოდ, გამოიკვეთა დიდი ინტერესი ძლიერებას, სივრცესა და ეკონომიკას შორის კავშირების შესწავლისადმი, რაც ნიშნავდა გეოეკონომიკის მოდაში შემოსვლას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი მოდა თავისი ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნის ამსახველია.

ამ წლებში პოლ მაიკლ კენედი, ედვარდ ლუტვაკი, (მაგალითად, Kennedy, 1987; Luttwak,1984) და ბევრი სხვა მეცნიერი ვარაუდობდნენ, რომ მოხდებოდა ძალთა გადანაცვლება სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სფეროში, ანუ უშვებდნენ იმის შესაძლებლობას, რომ განვითარებულიყო ახალი ტიპის კონფლიქტის ესკალაცია -

გეოეკონომიკური კოლიზია (ეკონომიკურ სუბიექტთა ინტერესების შეჯახება), რომელიც წარმოიშობოდა ახალი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი: „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“,(Luttwak,1984) სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მართვის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც საბჭოთა იმპერიის დაშლისათვის შემდგომ კარგად გამოიყენა აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და მისმა ინტელექტუალების ჯგუფმა. გეოეკონომიკური აზროვნების კულმინაციას სწორედ რეიგანის მმართველობის პერიოდი წარმოადგენდა, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე გეოეკონომიკას.

2.2 რონალდ რეიგანის მმართველობის პერიოდის გეოეკონომიკა

ამ პერიოდში აშშ-მა შეიმუშავა და განახორციელა სსრკ-ის დაშლის სისტემური სტრატეგია. ამ სტრატეგიით რ. რეიგანის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირს დაარტყა ყველაზე მტკივნეულ ადგილებში. ასეთი ადგილები იყო: ეკონომიკა, სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, ქვეყნის ეთნიკური სიჭრელე და სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატი. ამ შემთხვევაში ყურადღებას გეოეკონომიკურ ფაქტორზე გავამახვილებთ.

პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთანავე რეიგანმა გაახმოვანა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და წამოაყენა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნა ეკონომიკას, სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებს და ძირითადად აისახა თეთრი სახლის სამ დოკუმენტში; 1981 წელს მისი არტიკულაცია მოხდა „ეკონომიკური აღორძინების პროგრამაში“, ხოლო 1982 წელს „პრეზიდენტის ეკონომიკურ მოხსენებაში“(Blanchard,1987). ეს დოკუმენტები დაეფუძნა სეის თეორიას, რომელსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ბაზრის კანონსაც უწოდებენ (ეს არის თეორია, რომლის მიხედვითაც მიმდინარე შემოსავლები ვერ იქნება მოხმარების განმსაზღვრელი დომინირებადი ფაქტორი, რომ „მიწოდება წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას“. ეს

თეორია კლასიკური ეკონომიკური თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს). ამ თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა 4 ძირითადი სამოქმედო პრინციპი, რომელიც შემდგომ „რეიგანომიკის“ სახელით გახდა ცნობილი. ეს პრინციპები იყო: სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ფედერალური საშემოსავლო გადასახადების შემცირება, სახელმწიფო რეგულაციების შემცირება და ფულის მასის მიწოდებაზე კონტროლის გამკაცრება ინფლაციის შემცირების მიზნით (Niskanen,1992).

სტრატეგიის მეორე ეკონომიკური შემადგენელი მიმართული იყო სსრკ-ის ფინანსურ-ეკონომიკური ძლიერების დასუსტებისაკენ, რომლის რეალიზაციის დროს გამოყენებულ იქნა გეოეკონომიკური მეთოდები. კერძოდ, აშშ-მა შეამცირა იმ მყარი ვალუტის შემოდინება, რომელსაც საბჭოთა იმპერია იღებდა უცხოურ ბაზრებზე ნახშირწყალბადის რესურსების გაყიდვით. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ამ რესურსზე ფასების დაწევით. მეორე მხრივ, აშშ-მა უკიდურესად შეზღუდა მაღალტექნოლოგიური საქონლისა და მაღალი ტექნოლოგიების მიწოდება, რომელზეც სსრკ-ში ძალზედ დიდი მოთხოვნა იყო. კერძოდ, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ამოქმედდა მრავალმხრივი საექსპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის (Coordinating Committee for Multilateral Export Controls) შეზღუდვები (ეს კომიტეტი შეიქმნა ჯერ კიდევ 1949 წელს სსრკ-ის და ვარშავის ბლოკის ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტზე კონტროლის მიზნით და უფრო მეტად ცნობილია CoCom-ის სახელწოდებით).

ორგანიზაციის მიზნების რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის პირობებში. 1982 წლის 19 იანვარს გაიმართა CoCom-ის საიდუმლო შეხვედრა, სადაც აშშ-მა გაახმოვანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკურ ღონისძიებათა პაკეტი. უპირველეს ყოვლისა, ეს მოსკოვისათვის სტრატეგიული ტექნოლოგიების (ახალი თაობის კომპიუტერები, ელექტრონული მოწყობილობები, ნახევარგამტარები, მეტალურგიული ტექნოლოგიები) მიყიდვას კრძალავდა. ამის გარდა, იზღუდებოდა დასავლეთის კომპანიების მიერ საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. მეორე მხრივ, აშშ-ის წინადადებით ყველა კონტრაქტი, რომელიც 100 მილიონ დოლარს აღემატებოდა, ავტომატურად უნდა წარდგენილიყო CoCom-ში, რათა თავიდან

ყოფილიყო აცილებული საიდუმლო ტექნოლოგიების შესაძლო გადაცემა. აღნიშნული მოსკოვთან დადებულ ყველა ევროპულ სავაჭრო შეთანხმებაზე, ვაშინგტონს ფაქტობრივად ვეტოს დადების უფლებას აძლევდა. მესამე მხრივ, შეიქმნა იმ ტექნოლოგიებისა და საქონლის მკაცრად გასაიდუმლოებული სია, რომლებიც ემბარგოს დაექვემდებარნენ. რა თქმა უნდა, ყველა ევროპული ქვეყანა მყისიერად არ დაეთანხმა ამ წინადადებებს, მაგრამ ამერიკელებმა მაინც მოახერხეს ყველა იდეის გატანა და მისი შემდგომი რეალიზაცია (კვინიკაძე,2016).

ამ დროს ტექნოლოგიების საკითხი ძალზედ მწვავედ იდგა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა დაიწყო უდიდესი გაზსადენის - „ურენგოი-6"-ის მშენებლობა, რომლითაც საბჭოთა კავშირის გაზსადენი უნდა მიერთებოდა დასავლეთ გერმანიის გაზის სისტემას, რომელიც შემდეგ საფრანგეთის და იტალიის გაზის სიტემებთან ერთდებოდა.

საბჭოთა კავშირისათვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი პროექტი. მშენებლობის ხარჯების ზრდა და შეფერხება ამერიკელებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, რომლის რეალიზება არც ისე მარტივი ჩანდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ევროპა ძალიან იყო დაინტერესებული ამ მშენებლობით. საქმე ამ შემთხვევაში არა იმდენად გაზში იყო, რამდენადაც მის ფასში. მოსკოვის მიერ შეთავაზებულ იქნა უპრეცედენტო პირობები - ფიქსირებული ფასები 25 წლით. ამის სანაცვლოდ საბჭოთა ხელისუფლება იმედოვნებდა დასავლეთის ბანკების მონაწილეობას მოწყობილობების შესყიდვასა და თვით მშენებლობის პროცესში. ამასთან, დასავლეთის საწარმოებმა გაზის მიწოდების სანაცვლოდ მოსკოვს შესთავაზეს მაღალი კლასის მოწყობილობები. მსგავსი ეკონომიკური იდილია, რასაკვირველია, არ შედიოდა ვაშინგტონის ინტერესებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-მა მოახერხა არა მხოლოდ პრობლემის დაძლევა, არამედ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კავშირის მთელ ეკონომიკურ კომპლექსს, ვინაიდან გაზსადენზე მომხდარი ძლიერი აფეთქების გამო საბჭოთა კავშირის ზარალმა 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რის გამოც მან უარი თქვა მშენებლობის გაგრძელებაზე (Reed,2004).

1981 წლის 29 დეკემბერს ვაშინგტონმა ოფიციალურად გამოუცხადა ემბარგო საბჭოთა გაზსადენის მშენებლობას (ზუსტად 16 დღის შემდეგ პოლონეთში სამხედრო

მდგომარეობის შემოღებიდან). ამ გადაწყვეტილებამ დარტყმა მიაყენა აშშ-ის 60-მდე კომპანიას. ასევე შეაჩერა გაზის საბადოების საძიებო სამუშაოები სახალინზე იაპონიის მონაწილეობით. უკვე 1982 წელს ამ სტრატეგიას შეუერთდნენ CoCom-ის ქვეყნებიც, 1986 წლისათვის კი ტექნოლოგიურმა ბლოკადამ თავის პიკს მიაღწია.

მთლიანობაში სავაჭრო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური სანქციებით გასული საუკუნის 1980-იან წლებში აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად, სსრკ-ის ეკონომიკას ყოველწლიურად იმდენ ზარალს აყენებდა, რაც მატერიალურ ეკვივალენტში თითქმის 2,5 ჯერ მეტი იყო, იმ ზარალთან შედარებით, რომელიც სსრკ-მა განიცადა მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

პარალელურად, ვაშინგტონი ამზადებდა გაცილებით ძლიერ დარტყმას სხვა მიმართულებითაც. ეს იყო ვაშინგტონის მიერ მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება სსრკ-ში მყარი ვალუტის შედინების მკვეთრად შემცირების მიზნით, რასაც ახორციელებდა ნავთობზე ფასების პერმანენტული შემცირების გზით (საუდის არაბეთთან მჭიდრო თანამშრომლობით). მეორე მხრივ კი ამცირებდა საბჭოთა გაზის მიწოდებას დასავლეთის ქვეყნებში. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში სსრკ-ში უცხოეთიდან შედინებული მყარი ვალუტის 60-80% მოდიოდა ნავთობის ექსპორტზე. ამდენად, სსრკ-ის შემოსავლების ფორმირება ძლიერ იყო დამოკიდებული მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე.

პროცესი ამით არ დამთავრებულა. 1985 წელს საუდის არაბეთმა კიდევ უფრო შეამცირა ნავთობის ფასი. რითაც მან ერთი მხრივ, გააკოტრა აშშ-ის უმსხვილესი კომპანია Synfuels Corporation-ი (ეს კომპანია ალტერნატიული ბიოსაწვავის შექმნის უახლეს ტექნოლოგიებზე მუშაობდა) და მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი. ამის შემდეგ სრულიად ნათელი გახდა ეკონომიკური იარაღის გამოყენების ეფექტურობა გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე. ამ პერიოდიდან გეოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრა ეკონომიკური მეთოდებით საკმაოდ ეფექტური სტრატეგია ხდება და მისი გამოყენება დღესაც წარმატებით გრძელდება.

ამდენად, სსრკ ყოველწლიურად მხოლოდ ნავთობიდან კარგავდა 10 მილიარდ დოლარს, რაც საექსპორტო ოპერაციებიდან მიღებული მყარი ვალუტის ნახევარს

შეადგენდა. ამ მოცემულობაში სსრკ-ის ხელისუფლებამ გადადგა საკმაოდ საეჭვო ნაბიჯი. კერძოდ, მან გააორმაგა ოქროს გაყიდვები. მაგრამ აქაც დაასწრო აშშ-მა, რომელმაც მოახდინა დოლარის ხელოვნური გაიაფება, რაც სსრკ-ს კიდევ 2 მილიონ დოლარს აკარგვინებდა წელიწადში. საბჭოთა ეკონომიკის ექსტენსიური ორგანიზაციის პირობებში ასეთი მდგომარეობა კატასტროფის ტოლფასი იყო (Terra America,2012).

წიგნში „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“ ლუტვაკი აღნიშნავს, რომ მისი გათვლებით სსრკ-ის მთლიანი შიდა პროდექტის დაახლოებით 15% იხარჯებოდა შეიარაღებული ძალების შენახვაზე (მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და მილიციის ჩაუთვლელად), კიდევ 14% იხარჯებოდა კუბის და მისი მსგავსი ოდიოზური ქვეყნების დახმარებებზე. მთლიანად საბჭოთა იმპერიის შენახვისათვის იხარჯებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი 4-6%-ს შეადგენდა. თუმცა, ე. ლუტვაკი თვლის, რომ სამხედრო ძლიერებაში საკუთარი მთლიანი შიდა პროდუქტის კონვერტაციის უნარით სსრკ უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ნატო, იმის მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელში შემავალი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 5-ჯერ უფრო მეტი იყო. საბჭოთა კავშირზე გამარჯვება მასზე თავსმოხვეულ გამალებულ შეიარაღებაში ჩაბმით საკმაოდ ძნელი იქნებოდა, მაგრამ მასზე გამარჯვების მოპოვება დიდი სტრატეგიის დონეზე შესაძლებელი აღმოჩნდა (Luttwak,1984).

კიდევ ერთი მსხვილი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც დაგეგმა აშშ-მა, მდგომარეობდა შემდეგში: მან დაიწყო სსრკ-ის მიმართ მეგობრულად განწყობილი ქვეყნების შევიწროვება. გარდა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისა, სსრკ აფართოებდა თავის ყოფნას აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში. საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფი ამ უზარმაზარი სივრცის მიმართ აშშ აწარმოებდა ეკონომიკური ხასიათის საომარ მოქმედებას. ყველაფერი მიმდინარეობდა სტანდარტული სქემით. იმ ქვეყნებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი საგარეო ვალი ჰქონდათ, აშშ სთავაზობდა სტაბილიზაციის პროგრამას, რომლის დროსაც მოვალის წამყვანი ინსტიტუტები ექცეოდნენ დასავლური კაპიტალის კონტროლის ქვეშ. ეს კი მტკივნეულ და ძლიერ დარტყმას აყენებდა სსრკ-ის ეკონომიკას. თუმცა, არსებობდა სსრკ-ის დაშლის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც

არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ეკონომიკურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ხელისუფლების ცენტრალიზაციას და მთავრობის არაკომპეტენტურობას ეკონომიკის საკითხებში. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატა, რომ ქვეყანაში ყოველდღიური მომხმარების საქონელზე გაჩნდა მწვავე დეფიციტი, ცალკეული კოლონიების (ე.წ მოკავშირე რესპუბლიკების) ცხოვრების დონეებში წარმოიქმნა დიდი დისპროპორციები, გაჩნდა სოციალისტური ეკონომიკისადმი უნდობლობა, ასაკით და მენტალურად დაბერებული აღმოჩნდა სახელისუფლებო აპარატი, ავღანეთში დაწყებულმა ომმა შთანთქა დიდი მატერიალური და ფინანსური რესურსები, საბჭოთა კოლონიებში დაიწყო და თანდათან გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამრიგად, დასავლეთის ეკონომიკური სანქციების დიდი ეფექტის მიუხედავად, მათი მიჩნევა სსრკ-ის დაშლის ერთადერთ მიზეზად, ვფიქრობ, არაობიექტური იქნება. საბჭოთა იმპერიამ რიგი ფაქტორების ზემოქმედებით შიგნიდანაც განიცადა რღვევა. როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ეკონომიკური ომი, რომელსაც ეწეოდა აშშ საბჭოთა ბოროტების წინააღმდეგ, უზარმაზარი იმპერიის დაშლის ერთ-ერთ მთავარ და არა გადამწყვეტ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ პერიოდში გეოეკონომიკამ დახვეწა ის გეოეკონომიკური სტრატეგიები და ტაქტიკა, რომელიც საფუძვლად დაედო პოსტბიპოლარული სამყაროს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას. სწორედ სსრკ-ს დაშლამ მოახდინა გეოეკონომიკის ფორმირებისათვის საფუძვლების შექმნის პროვოცირება და მისი დამკვიდრება.

2.3 გეოეკონომიკის დამკვიდრება

XX საუკუნის მიწურულს დასავლეთის სამეცნიერო სივრცეში გაჩნდა კვლევის ისეთი მეთოდოლოგიის დამუშავების მოთხოვნილება, რომელიც ფაქტებს შორის ურთიერთქმედებას იმგვარ კონტექსტში განიხილავდა, როცა ზოგიერთი მათგანი არ

არის ინტეგრირებული და არც შეიძლება ინტეგრირებულნი იყვნენ ეკონომიკურ პარადიგმაში, ხოლო მეორენი არ არიან ინტეგრირებულნი, და არც შეიძლება ინტეგრირებულნი იქნან პოლიტიკურ პარადიგმაში. აღნიშნული პრობლემის შემდგომმა კვლევებმა გააჩინა გეოეკონომიკის თანამედროვე კონცეფცია, რომელიც ფორმულირებულ იქნა ე. ლუტვაკის მიერ (Luttwak,1990).

კონცეფციის აღმოცენება განაპირობა იმ სიტუაციამ, რომელიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლას მსოფლიო არენაზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალთა გადაჯგუფება მოჰყვა; გაიზარდა არასახელმწიფოებრივი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და მათი როლი; ჩამოყალიბდა ახალი თაობის კონფლიქტები (გეოეკონომიკური ომები); უსწრაფესად განვითარდა კომუნიკაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; ეკონომიკურმა გლობალიზაციამ შეცვალა ტრადიციული წარმოდგენები სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს საზღვრების შესახებ; დღეს მეტწილად საქმე გვაქვს „ვირტუალურ“ და „მობილურ“ სივრცესთან, რომლის საზღვრები უწყვეტ რეჟიმში გადაადგილდება. ამ გზით ხდება სივრცის „განთავისუფლება“ ტერიტორიული საზღვრებიდან და ტრადიციული გეოპოლიტიკის ფიზიკური მახასიათებლებიდან; აშშ დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, ანუ დადგა ერთპოლარულობის მომენტი და ჩამოყალიბდა მოცემულობა, რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის გამოდიოდნენ „ძალთა ბალანსის” დოქტრინის მომხრეები (Krauthammer, 1990/1991).

თანამედროვე პერიოდის ფუნდამენტური განსხვავება წინა თავში განხილულ ისტორიის მონაკვეთთან შედარებით ისაა, რომ სახელმწიფოები დღეს გაცილებით აგრესიულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ და მუდმივად ითვალისწინებენ ეროვნულ ინტერესებს. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემცირდა და დღეს პოლიტიკური ლიდერები ეკონომიკურ ძლიერებას სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევენ. ამ მოცემულობაში სახელმწიფოები ატარებენ ისეთ სამრეწველო და კომერციულ პოლიტიკას, რომელიც კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. ამჟამად, მსგავსი პოლიტიკის წარმოება თითქმის მთავარ გეოეკონომიკურ სტრატეგიად ითვლება. ამ

სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში კი იყენებენ საშუალებებს, რომელსაც ე.ნ. ლუტვაკი „გეოეკონომიკურ იარაღს“ უწოდებს.

შეგვიძლია კი აქედან გამომდინარე ვივარაუდოთ, რომ მსოფლიო რეგრესირდება მერკანტილიზმის ახალ ეპოქაში? რა თქმა უნდა, არა. საქმე იმაშია, რომ მერკანტილიზმის მთავარ მიზანს ქვეყანაში შემოტანილი დოვლათის ფულადი კაპიტალის სახით დაგროვება წარმოადგენს, ხოლო გეოეკონომიკა კი მოწოდებულია შექმნას დასაქმების საუკეთესო პირობები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. ამასთან, წარსულში კომერციული უთანხმოება შეიძლებოდა სამხედრო კონფრონტაციებში გადაზრდილიყო, რაც ხშირ შემთხვევაში ომით მთავრდებოდა. მერკანტილიზმი წარმოადგენდა სუბორდინირებულ მოდალობას, სადაც ორმხრივ დაპირისპირებაში წაგებულის მხრიდან სამხედრო მეთოდებით პასუხის გაცემა იყო მიღებული.(Luttwak,1990).

კითხვაზე, რატომ აღმოცენდა გეოეკონომიკა, როგორც ახალი ცოდნის დარგი, სწორედ XX საუკუნის ბოლოს, ფრანგი მეცნიერი მორო დე ფარჟი(Моро Дефарж, 1996,104, 105) ასახელებს სამ მიზეზს: „1. ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება და ნაკადების შექმნა; 2. „რკინის ფარდის“ დაშვება და კომუნისტური ექსპერიმენტების კრახი; 3. მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ახალი მოთამაშეების გაჩენა“. მოკლედ განვიხილოდ თითოეული მათგანი.

1.ტელეკომუნიკაციების განვითარებამ და ნაკადების ინტენსიფიკაციამ, კერძოდ, “არამატერიალურმა” დინებებმა (ინფორმაციის ნაკადები, კაპიტალის გადაადგილება) შექმნა მოცემულობა, სადაც სივრცე და დრო ადრინდელივით უკვე აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს.

2. XX ს. განმალობაში დიდი იდეოლოგიური კონფლიქტები (ლიბერალიზმს, ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის 1918-დან 1945 წლამდე, ლიბერალურ დემოკრატიასა და კომუნიზმს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 1989 წლამდე) ხელს უწყობდნენ იმას, რომ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ელემენტები (შეიარაღებული ძალები, ბირთვული არსენალი და მათი მატარებელი) გადაქცეულიყვნენ სახელმწიფოს ძლიერების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. XXI ს. დასაწყისში იმის თქმა, თითქოს იდეოლოგიური ხასიათის კონფლიქტებმა დასრულებული სახე მიიღო, არ

შეიძლება. კვლავ რჩება დასავლეთის მორალური ფასეულობის მატარებელთა შეჯახების რისკი განსაკუთრებით რუსულ ნეოიმპერიალიზმთან, ისლამურ - ფუნდამენტალიზმთან, ჩინურ „კომუნიზმთან“, ისევე როგორც დემოკრატიის პრინციპების დამცველებსა და ნაციონალისტებს შორის.

3. სუვერენული სახელმწიფოები არასოდეს ყოფილან ერთადერთი მოთამაშეები. ყველა დროში ცალკეული პიროვნებები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობები, არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (თუნდაც ეკლესია) ასევე ახდენდნენ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე. შემდგომ მათ დაემატა მძლავრი ტრანსნაციონალირი კომპანიები და ბანკები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ერთგვარ ლოკომოტივებად იქცნენ და უკვე სერიოზულ გავლენას ახდენენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე (ციტ:კვინიკაძე,2008,118).

ზოგადად, პოსტბიპოლარული მსოფლიო დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს შორის შეიძლება გამოიყოს: 1. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი სხვადასხვა სფეროებში; 2. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის წამყვანი დარგების ორიენტაცია არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნულ, რამდენადაც გლობალურ ბაზრებზე; 3. ქვეყნების უმეტესობა საკუთარ მომავალს და გადარჩენას უკავშირებს გლობალურ ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვების უნარს.

თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თავისებურება ისიცაა, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ინტეგრაცია ერთიან გეოეკონომიკურ სისტემაში. თუმცა, განვითარების დონეების მიხედვით მათ შორის შესამჩნევი განსხვავებები შეინიშნება. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ როგორც პოზიტიურ, ასვე ნეგატიურ ფაქტორებს. ეს კი იმით დასტურდება, რომ ხდება წარმოების გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვინაიდან მათ შორის არსებობს განსხვავება სამუშაო ძალის ღირებულებასა და სოციალური დაცვის დონეებში (National Bureau of Economic Reserch, 2002). იმავდროულად, სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას კანონმდებლობით არეგულირონ საზღვრების რეჟიმი. ვიდრე იარსებებს სუვერენული სახელმწიფო, დარჩება საზღვრებიც, თუნდაც მათი

გადაკვეთა არ იყოს დაკავშირებული მნიშვნელოვან სიძნელეებთან (ევროპული ინტეგრაციის პრაქტიკა აღნიშნულს ადასტურებს).

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპის თანამეგობრობა დაკავებულია თავისი საერთო საზღვრის მოწყობით, რაც გამოიხატა ერთიან საბაჟო ტარიფებში ევროკავშირის მასშტაბით. ევროკავშირი გულისხმობს ერთიანი ევროპული საზღვრის ფორმირებას (The Treaty of Maastricht,1992). თუმცა, გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას ჯერჯერობით არ ძალუძს საზღვრების წაშლა იმ სფეროებში, სადაც პოლიტიკა და ეკონომიკა ჯერჯერობით უძლურია. მხედველობაში მიიღება კულტურული და რელიგიური საზღვრები (კვინიკაძე,2008). ამ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა შეეთავსოს ერთმანეთს ბაზრის, თავისუფლების და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას? ეს ერთ-ერთი იმ კითხვათაგანია, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს გეოეკონომიკამ.

ეს უკანასკნელი ძლიერების ცნებას საერთაშორისო ნაკადებზე კონტროლის დამყარებასთან აიგივებს. გეოეკონომიკური ძლიერება მომდინარეობს უნარიდან, შექმნა საერთაშორისო ქსელი (სავაჭრო გზები, ინფორმაციის ან გამოსახულების გადაცემის არხები), გამოიყენო იგი და მიიღო მისგან მოგება. ამასთან, ძლიერებას ფლობს ის, ვისაც საერთაშორისო ქსელში სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს და ფლობს თავისი უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენების ტალანტს. სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება (რომელიც საშუალებას იძლევა თავს მოახვიოს საკუთარი ნება, დაემუქროს და მიაყენოს დარტყმა სამხედრო ძალის გამოყენებით) განსხვავდება იმ ძლიერებისაგან, რომელსაც იძლევა საერთაშორისო ნაკადებზე კონტროლი (ეკონომიკური ზეწოლა, მეტოქის გადმობირება და ა.შ.). ამასთან, სამხედრო-პოლიტიკურისაგან განსხვავებით, გეოეკონომიკური ძლიერება საშუალებას იძლევა პრობლემის გადაჭრა მიღწეულ იქნეს შედარებით რბილი მეთოდებით, ცალკეული შემთხვევების გარდა. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა ამარტივებს ძლიერების ტრადიციულ კრიტერიუმებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალ პირობებში ძლიერება ნიშნავს წესრიგის დამყარების უნარს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს გეოეკონომიკის აღმოცენების სხვა ვერსიები. მაგალითად, რუს მეცნიერ ერნესტ კოჩეტოვის მიხედვით, გამოყოფილია ის ოთხი ძირითადი პირობა, რომელმაც განაპირობა თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური პანორამის ფორმირება: 1. გლობალიზაციის პროცესი თანდათანობით შლის საზღვარს საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის; 2. აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი; 3. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დინამიკური ფუნქციონირება აყალიბებს ეკონომიკურ „რეგლამენტს“ - ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების წესების ერთობლიობას; 4. მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკების საგარეო ეკონომიკური კავშირების ისეთი მოდელების შექმნა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკური კავშირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე (Кочетов,2006).

გეოეკონომიკის ფორმირება - განვითარების ჩამოთვლილ ფაქტორთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, რომელიც განპირობებულია:

- პოლიტიკური მიზნების მიღწევაში უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით;
- ეკონომიკურ საკითხებში დიპლომატიური კორპუსის კომპეტენტურობის ზრდით.

გეოეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი დამკვიდრება პოსტბიპოლარულ მსოფლიოში გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის გააქტიურებამ. სწორედ ამ პროცესმა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ცვლილების სერიოზული პროვოცირება, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია: ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს შორის აქტიურად მიმდინარე შრომის გლობალურ დანაწილებასთან; ეროვნული ეკონომიკების გასვლასთან სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის გამყოფ ხაზებს ასუსტებს. შედეგად ვიღებთ მოცემულობას, სადაც დრო, სივრცე და ბაზარი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან პირდაპირ კორელაციაში აღარაა. რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემა - „ბაზარი - სახელმწიფო“ ნაცვლდება სისტემით - „ბევრი სახელმწიფო - ერთი ბაზარი“. ამგვარი სისტემის ძირითადი ნიშნები, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება

ეროვნულზე მაღლა საერთაშორისო წესებისა და ეკონომიკური კანონების დაყენებაში. საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ იცვლება სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები, არამედ იმაზეც, რომ ხშირად გეოეკონომიკური პროცესები ვითარდება სახელმწიფოს საზღვრებს ზევით ან/და ცალკეული სახელმწიფოების კანონებს მიღმა.

მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება, რომელიც დღეს ფასდება არა იმით, თუ რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ან რამდენად დიდია სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ ეკონომიკური ზრდის პარამეტრებით და იმ წარმატებებით, რომელსაც ქვეყანა აღწევს გასაღების ბაზრებზე. ამდენად, მოხდა გეოპოლიტიკის საფუძვლების ცვლილება - საბუნებისმეტყველო გეოგრაფია და ტრადიციული დეტერმინიზმი ძნელად, მაგრამ მაინც უთმობს ადგილს გეოეკონომიკას.

გეოპოლიტიკაში ახალი იდეების განვითარება უკავშირდება ამერიკელი გეოგრაფის საულ კოენის სახელს. მან ნაშრომში „გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები „ცივი ომის“ შემდგომ ერაში“ (Cohen,1991), შემოიტანა მსოფლიოს გაცილებით რთული გეოპოლიტიკური სტრუქტურები და წარმოდგენები. მის მიერ გამოყოფილი მსოფლიოს გეოპოლიტიკური ორგანიზაციის სამი დონე გარკვეულად ითვალისწინებს ახალ გეოეკონომიკურ რეალობებს. ს. კოენს გამოყოფილი აქვს:

- გეოსტრატეგიული რეგიონები (სავაჭრო-ზღვისპირა და ევრაზიული კონტინენტური);
- გეოპოლიტიკური რეგიონი (სავაჭრო-ზღვისპირაში გამოყო 5 ასეთი რეგიონი - ზღვისპირა ევროპა და მაღრიბი, აფრიკა საჰარის სამხრეთით, ჩრდილოეთი ამერიკა და კარიბის აუზი, სამხრეთი ამერიკა, კუნძულოვანი აზია და ოკეანეთი. ორი გეოპოლიტიკური რეგიონი გამოყოფილი იქნა ევრაზიულ-კონტინენტურში. კერძოდ, აღმოსავლეთი აზია, ჰართლენდი და აღმოსავლეთი ევროპა);
- ერი-სახელმწიფო.

როგორც ვხედავთ, ბიპოლარულობის პერიოდის გეოპოლიტიკური კონკურენცია, რომელიც სტრუქტურირდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, უკვე აღარ არსებობს. სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ სამხედრო ხელისუფლება დარჩა

ორპოლარული, ხოლო ეკონომიკური გახდა მრავალპოლარული. ამის მიუხედავად ფაქტია, რომ ერთი მხრივ, შესუსტდა ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ მეტოქეობას აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის (ამ პირობებს განსაზღვრავდა ის, რომ, საბჭოთა საფრთხიდან გამომდინარე, ევროპა და იაპონია აშშ-ის სტრატეგიულ გარანტიებს საჭიროებდა), რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ მსოფლიო გადავიდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალ რეჟიმში. მეორე მხრივ, მინიმუმამდეა დაყვანილი ის პირობები, რომელიც ხელს უწყობდა სამხედრო სახის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას მესამე სამყაროში, რომლის ინიცირებასაც ორპოლუსიანი მსოფლიო ახდენდა. თუმცა, როგორც უკვე დავრწმუნდით, ორპოლუსიანობის დროს ასეთი სიტუაცია არ გადიოდა გარკვეულ საზღვრებს გარეთ. სხვა შემთხვევაში მას შეეძლო გამოეწვია ორი ზესახელმწიფოს ჩარევა, რომლებიც, თავის მხრივ, უფრთხოდნენ პირდაპირ დაპირისპირებას, რომელიც შეიძლებოდა ბირთვულ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. ამასთან, თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა ემსახურებოდა სამხედრო ძალებს, ამჟამად მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა. სამხედრო ძალები არსებობენ არა იმისათვის, რომ დაიცვას სახელმწიფო პირდაპირი თავდასხმისაგან, არამედ უფრო იმიტომ, რომ შეამციროს პოლიტიკური რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან და სავაჭრო ურთიერთობებთან, წესრიგის დამყარებასთან და საერთაშორისო სტაბილურობასთან.

ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები, ბუნებრივია, დაინტერესებულნი არიან „status quo"-ს შენარჩუნებით, ვინაიდან ისინი კარნახობენ თამაშის იმ წესებს, რომლებიც ასახავენ, აფიქსირებენ და ამტკიცებენ არსებულ ძალთა ბალანსს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ჩიხში მოაქცია ბევრი ამერიკელი სამხედრო სტრატეგი და პოლიტიკოსი. ბოროტების იმპერიასთან საბრძოლველად მობილიზებული იყო მნიშვნელოვანი ფინანსური, ორგანიზაციული, საკადრო და ინტელექტუალური რესურსები. ასე რომ, ამ იმპერიის დაშლამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა თვით აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეებს, სპეცსამსახურებს, ინტელექტუალურ კადრებს. განსაკუთრებით კი მსოფლიოში უძლიერეს აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს,

რომელიც ამერიკის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო და არის. აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსში და სხვა ინსტიტუციებში დასაქმებული მრავალი ადამიანი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული იყვნენ სსრკ-დან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზებასთან, პრაქტიკულად უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის კომერციული კომპანიები, რომლებიც შეკვეთებს იმ სახელმწიფო სტრუქტურებიდან იღებდნენ, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ საბჭოთა იმპერიისგან მომავალი საფრთხეების თავიდან აცილებით. ამ მოცემულობაში პროცესები ორი მიმართულებით განვითარდა. ერთი მხრივ, კომპანიებმა გააჩაღეს მკაცრი კონკურენტული ბრძოლა საბიუჯეტო დაფინანსების მკვეთრად შემცირების გამო. მეორე მხრივ, დაიწყო ლობისტური ჯგუფების კონსოლიდაციის პროცესი ადამიანთა იმ ჯგუფის ინტერესთა დაცვის მიზნით, რომლებიც აღნიშნული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამ მოცემულობაში ამერიკელმა სტრატეგებმა დაიწყეს დაგროვილი ცოდნის გამოყენების ახალი სფეროების ძიება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნატოს სამხედრო ოპერაციები იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთში, და ა.შ. ეს არის ამერიკის ახალი სტრატეგია. ამერიკელი სამხედროები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი გამოყენების ახალი სფეროა იძულებითი მშვიდობის დამყარება აგრესიულად განწყობილ იმ ქვეყნებში, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ გლობალური მშვიდობისათვის. ამერიკის არმია დღეს ებრძვის არა ბოროტების იმპერიას, არამედ მსოფლიოში გაბნეულ ავტორიტარიზმის კერებს. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა დაყოლიება იმაზე, რომ თავისი ფული გაიღონ რაღაც ეფემერულ უსამართლობასთან ბრძოლისათვის, საკმაოდ ძნელი გახდა, მაშინ ამერიკელმა სტრატეგებმა ძებნა დაუწყეს მასობრივი განადგურების იარაღს (ერაყი), მსოფლიო ტერორიზმის ბუდეს (ავღანეთი) და ბირთვულ იარაღს (ირანი).

ე. ლუტვაკმა მყისიერი რეაგირება მოახდინა ახალ რეალობაზე. თუ თვალს მივადევნებთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებს და სტატიებს, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი სამ დიდ ბლოკში შეიძლება გავაერთიანოთ:

1. სახელმწიფოს სტრატეგიის განვითარების ახალი მიდგომები, მისი ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის ფორმები. ამ ცვლილებების შედეგების ასახვა ხალხის ცხოვრებაზე და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირების მომავალი;

2. ომის ახალი ფორმები, რომელიც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება;

3. საერთაშორისო სიტუაციის ის ახალი კონტურები, რომლებშიც განვითარდება დიდი სტრატეგიის ახალი ფაზა (ძირითადი მოთამაშეები, ძალთა განაწილება, ობიექტური და სუბიექტური პრობლემების კომპლექსი).

როგორც ვხედავთ, ის არ გამოეკიდა წარსულს და დაიწყო საკუთარი ქვეყნისათვის ახალი მიზნისა და სტრატეგიის განსაზღვრაზე ფიქრი. ეს მიზნები ჩამოყალიბებულ იქნა იმ მთავარი პრობლემის ფიქსაციის ლოგიკით, რომელსაც შეეჯახა აშშ ახალ მოცემულობაში: „როგორ შევაჩეროთ აშშ-ის გადაქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად, ანუ როგორ მოვიგოთ გეოპოლიტიკური ომი ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებისათვის“ (Luttwak,1993).

1990-ანი წლების ძირითად ტენდენციას ლუტვაკი განსაზღვრავს, როგორც გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე გადასვლას. ეს პროცესი, მისი აზრით, წარმოადგენს ახალ რეალობას და სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ახალ ლოგიკას. მანვე იწინასწარმეტყველა გეოეკონომიკური ომების მოახლოება. ეს წინასწარმეტყველება მართლაც გამართლდა, ვინაიდან უკვე 1990-ანი წლების დასაწყისშივე მსოფლიო შეძრა სავალუტო და სავაჭრო ომების მთელმა სერიამ.

აღნიშნულის მიუხედავად, ლუტვაკის ამ მოსაზრებებს გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებმაც მწვავედ გააკრიტიკეს მისი პოზიცია ამერიკის პოტენციურ ეკონომიკურ მეტოქეებთან (ევროპა და იაპონია) დაკავშირებით. რაიმონდ ვერნონი აკრიტიკებდა რა ლუტვაკის სენსაციურ ტონს, მიუთითებდა, რომ მისი მოსაზრებები ძლიერ გადაჭარბებულია და არსებულ მდგომარეობას დამახინჯებულად გადმოსცემს.

„ცივი ომის“ დასრულები შემდეგ, ამერიკელი ინტელექტუალების ნაწილმა ყურადღება გაამახვილა საკუთარ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმს არცთუ ცოტა ხარვეზი აქვს. ეს იყო კიდევ ერთი პრობლემა,

რომელზედაც მწვავე რეაგირება მოახდინა ლუტვაკმა თავის ნაშრომებში: „ამერიკის ოცნება საფრთხეშია“ და „ტურბოკაპიტალიზმი“.

ლუტვაკის აზრით, სამხედრო ძლიერებამ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა არა მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ-ჩრდილოეთის ურთიერთობებში, ანუ პოსტინდუსტრიულ და ნაწილობრივ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ლუტვაკის აზრით, ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ამჟამინდელი ეკონომიკური შეჯიბრი ადრინდელისაგან იმით განსხვავდება, რომ სახელმწიფოებს უკვე აღარ შეუძლიათ სამხედრო ძალის გამოყენება ეკონომიკური უთანხმოების გადასაწყვეტად. სამხედრო იარაღი ძალზედ დამანგრეველია და ძვირი ჯდება. ყველა მდიდარი ქვეყანა იმყოფება დემოგრაფიულ კრიზისში, რომელიც არ იძლევა ახალგაზრდების სამხედრო ოპერაციებში (განსაკუთრებით სახმელეთო ოპერაციები) მასობრივი ჩართვის შესაძლებლობას. აი, რას წერს აღნიშნულთან დაკავშირებით ლუტვაკი: “მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ოჯახებში ოთხი, ხუთი და ექვსი ბავშვის ყოლა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ხოლო რვა ან ცხრა უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე დღეს ერთი, ორი ან სამი ბავშვი. მეორე მხრივ, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო. ადრეულ დროში, როცა ავადმყოფობის შედეგად ოჯახი კარგავდა ერთ ან მეტ ბავშვს, კიდევ ერთი ბავშვის ომში დაკარგვას სულ სხვა აზრი ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს ამერიკელი ან ევროპელი ოჯახებისათვის, სადაც საშუალოდ 2.2, უფრო ხშირად კი მასზე ნაკლები ბავშვი იბადება“ (Luttwak,2001,126).

იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ გეოეკონომიკის მნიშვნელობა ისე, როგორც ეს ესმის ლუტვაკს, სასარგებლოა მოვახდინოთ მისი შეხედულებების კონსტატაცია იმ პოლიტიკური პოლემიკის ჩარჩოებში, რომელიც მიმდინარეობს აშშ-ში, მსოფლიოში ამერიკის როლზე „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში. კერძოდ, თავს ესხმის რა გეოპოლიტიკას, ე. ლუტვაკი გამოდის იმ ამერიკელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკა-ევროპის მუდმივ პარტნიორობას სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში; მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს პარტნიორობა შეიძლება კომპრომეტირებულ იქნეს პროტექციონისტული პოლიტიკით, რომელიც გახლიჩავს მსოფლიო სავაჭრო

ორგანიზაციას და გაამწვავებს კონფლიქტურ სიტუაციას ინტერატლანტურ ეკონომიკაში. ის ასევე მიუთითებს, რომ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ხდება ეკონომიკური მეთოდების მომზადების ანალიზისა და თეორიის გამოყენება ზუსტად ისე, როგორც ამას გეოსტრატეგია იყენებს. თანამედროვე გეოპოლიტიკის მიზანია საკუთარი ქვეყნის სტრუქტურული ან/და კონიუქტურული კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო ბაზარზე. ერთი სიტყვით, პოლიტიკა დაიყვანება მერკანტილიზმის იდეებამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა, გარკვეული აზრით, ანაცვლებს გეოპოლიტიკას. ამ შემთხვევაში სავსებით რეალურია მოსაზრება, რომ გეოეკონომიკა ეფუძნება გეოპოლიტიკის და გეოსტრატეგიის არა მხოლოდ ლოგიკას, არამედ სინტაქსსაც. განსხვავება მდგომარეობს თითოეული საშუალების „გრამატიკის“ სპეციფიკაში. თუ გავიხსენებთ კარლ ფონ კლაუზევიცის მოსწრებულ თეზისს პოლიტიკასა და სტრატეგიას შორის განსხვავებაზე, „გრამატიკა“ იცვლება იმიტომ, რომ იგი ასახავს გამოყენებული საშუალების თავისებურებას, სამაგიეროდ, ყველა სხვადასხვა „გრამატიკები“ იყენებენ ერთსა და იმავე ლოგიკას (Luttwak,1990).

ყველა საშუალება, იქნება ეს საინვესტიციო კაპიტალი, სამეცნიერო კვლევითი დამუშავებები თუ მარკეტინგი, ყოველდღიურად გამოიყენება კერძო ეკონომიკური სუბიექტების მიერ ეკონომიკური მიზნებისათვის. როცა მათი სტიმულირებისათვის ავანსცენაზე გამოდის სახელმწიფო მაშინ, ეკონომიკა უკან იხევს და ადგილ უთმობს გეოეკონომიკას. ამასთან, სახელმწიფო იყენებს არა მხოლოდ „შეტევით“ შეიარაღებას, არამედ ააქტიურებს ეკონომიკური დაპირისპირების ისეთ გავრცელებულ „თავდაცვით“ საშუალებებს, როგორიცაა: ტარიფები, ქვოტები, იმპორტის არასატარიფო შეზღუდვა, ეროვნული სავალუტო კურსის დაწევა და ა.შ. ლუტვაკის თანახმად, გეოეკონომიკური ბრძოლის მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკაში სასურველი როლის მოპოვება ან/და უკვე მოპოვებულის შენარჩუნება. „ვინც შექმნის თვითმფრინავების, კომპიუტერების, ბიოტექნოლოგიების ახალ თაობებს, ფინანსური მომსახურებას და სხვა პროდუქტების მაღალ დამატებით ღირებულებას (მენეჯერები, ფინანსისტები და ა.შ.), იქნებიან ეს ამერიკელები, ევროპელები თუ აზიელები, გამარჯვებულები შეინარჩუნებენ მაღალანაზღაურებად და მაკონტროლებელ როლს, ხოლო წაგებულებს დარჩებათ

მხოლოდ ამწყობი ხაზები, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათი შიდა ბაზრები მოცულობითი იქნება“ (Luttwak,1999,128-129).

ეკონომიკის კლასიკოსები ალბათ ძალიან გაოცდებოდნენ იმის გაგებით, რომ მერკანტილიზმი სულაც არ გამქრალა. პირიქით, შეინარჩუნა რა რიგი წამყვანი პრინციპები, ის ხელახლა დაიბადა ნეომერკანტილიზმის სახით. მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი რობერტ იაკობ სამუელსონი თვლის, რომ თანამედროვე ჩინეთი ღია მერკანტილისტურ პოლიტიკას ატარებს, რითაც დიდ ზიანს აყენებს იმ ქვეყნებს, რომლებიც შედარებით ლიბერალურ საგარეო კურსს ატარებენ (Samuelson,2007). აქვე, აუცილებლად მიმაჩნია განვმარტო, რომ თანამედროვე გეოეკონომიკასა და ნეომერკანტილიზმს შორის არსებობს რიგი პრინციპული განსხვავება. კერძოდ, თუ ნეომერკანტილიზმი საგარეო ვჭრობას განიხილავს როგორც თამაშს, რომელიც ნულოვანი ჯამით მთავრდება (ერთის მოგება უდრის მეორის დამარცხებას), გეოეკონომიკა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ერთდროულად მოიგოს ყველა მოთამაშემ და არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად ზიანი მიაყენოს კონკურენტებს (თუ ეს არ უკავშირდება საკუთარი სარგებლის მიღებას). თუ ნეომერკანტილიზმი მიისწრფვის ოქროს მარაგის მაქსიმიზაციისაკენ, გეოეკონომიკა მიზნად ისახავს უპირატესობის მოპოვებას ცოდნით და კომპეტენციით.

სტატიაში „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ“ ლუტვაკი მსჯელობს სიტუაციაზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის გამოყენებას. მისი აზრით, თეზისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხალხს ეკუთვნის, წარმოადგენს იდეოლოგიურ და ნორმატიულ მტკიცებულებათა რიგს. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ადმინისტრაციული ძლიერება, დემოკრატიულ ქვეყნებში სულაც არ არის აუცილებელი მისი სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატის ბერკეტების ხელში ჩაგდება.

თანამედროვე ეკონომიკების და ტექნოლოგიებისა განვითარების დინამიკამ საერთაშორისო არენაზე გააჩინა ისეთი სუბიექტები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების საპირწონეები არიან. ეს სუბიექტები აიძულებენ სახელმწიფოს ანგარიში გაუწიონ მათ არსებობას და აქტიურობას. თავის მხრივ, ამ სუბიექტებს

გაცნობიერებული აქვთ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს მძლავრ რესურსს და მისი გეოპოლიტიკურად აქტიური ბიუროკრატიის მხარდაჭერის შემთხვევაში გაცილებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე მისი არარსებობის შემთხვევაში. მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენამ ბიზნესის წარმართვის ახალი მოცემულობა ჩამოაყალიბა. სწორედ ამ პრობლემებსა და შესაძლებლობების კომპლექსზე ამახვილებს ყურადღებას ე.ნ. ლუტვაკი, როცა ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ დასავლეთის საზოგადოებები მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს განიცდიან და მაქსიმალურად ცდილობენ არ გამოიყენონ სამხედრო ძალა. რასაკვირველია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საფრთხე ემუქრება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. მათთვის უკვე მიუღებელია არა მარტო საკუთარი, არამედ ის დანაკარგებიც, რომელსაც განიცდის მოწინააღმდეგე. ასეთი დანაკარგები კი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე. პოლიტიკა კი ვალდებულია ეს ყველაფერი გაითვალისწინოს (Luttwak,1990).

ამჟამად, დასავლეთის დახმარება ძირითადად მიმართულია აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კოლონიებისაკენ, რომლებიც ევროპისთვის შედარებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გეოეკონომიკური სამხრეთი. ეს დახმარება ნაწილდება სპეციალურად შექმნილი ევროპული ბანკის მეშვეობით (EBRD), რომელიც დამოუკიდებელია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან. უნდა შევნიშნო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის კოლონიების ეკონომიკური აღმავლობა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს და შეიძლება საკმაოდ დიდი დროც დასჭირდეს. ამასთან, დასავლეთს არ შეუძლია სამხრეთისთვის დიდი თანხების გამოყოფა (Roberts,1990). სავსებით შესაძლებელია, რომ სამხრეთისთვის დახმარების ამჟამინდელი დონე შემცირდეს კიდეც. ეს ეხება ისეთ რეგიონებსაც, როგორებიცაა სამხრეთ ხმელთაშუაზღვის ქვეყნები და მექსიკა. აღმოსავლეთ ევროპის იაფი მუშახელის რესურსის ამოწურვის შემდეგ, ევროკავშირი ალბათ იძულებული გახდება მიუბრუნდეს ხმელთაშუაზღვის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს (Jean, 1995).

აზია, თავის მხრივ, განიცდის სწრაფ აღმავლობას, რომელსაც ამჟამად უკვე სერიოზული ცვლილებები შეაქვს მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში, რაშიც

„მთავარი დამნაშავე“ ჩინეთია. ეს ქვეყანა ფლობს საკმაო ეკონომიკურ და ფინანსურ ძლიერებას. მან აითვისა ახალი გეოპოლიტიკური თამაშების წარმართვის ტაქტიკა, მოახერხა გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატიის ფორმირება. იმავდროულად, დაიწყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. ე. ლუტვაკის აზრით, ჩინეთი სულ ურო მეტად გადადის აგრესიულ სტრატეგიაზე საერთაშორისო პოლიტიკაში. მას უკვე გაუუარესდა ურთიერთობები მეზობლებთან, გაუმწვავდა ტერიტორიული პრეტენზიები სხვა ქვეყნებთან. ბოლო წლებში ეკონომიკის და გეოეკონომიკის სფეროებში ის უფრო ხშირად შედის კონკურენტულ ურთიერთობაში აშშ-ან. თუმცა, 2008 წლიდან ჩინეთის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ჩინეთის როლი, რისი პროვოცირებაც მოახდინა ამ დროს დასავლეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ერთი შეხედვით თითქოს დაამტკიცა ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის (პეკინის კონსენსუსი) მართებულობა. ჩინეთის ლიდერებს უჭირთ არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სამხედრო ძლიერების ზრდას შორის. ამასთან, ე. ლუტვაკის აზრით, კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, ახალი მოკავშირეების შეძენას. ყველაზე დიდი ბრძოლა კი რუსეთისთვის გაჩაღდება.(Luttwak,2012).

ლათინური ამერიკა იწყებს ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას, რომელშიც ის აღმოჩნდა კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოთა მთავრობების პოპულისტური და კორუმპირებული პოლიტიკის წყალობით. პრაქტიკულად, ამ რეგიონის ქვეყნებში, ზოგიერთის გარდა (მაგ. ჩილე), დამყარდა მერკანტილიზმის სპეციფიკური ფორმა „ნეომერკანტილიზმი სამხრეთ-ამერიკულად“, რომელის არსსაც მმართველი კლასის ინტერესების მსახურება წარმოადგენს. ბრაზილია რეგიონის ძირითად ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს და არგენტინასთან ერთად ძლიერი გავლენა აქვს სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზრის ორგანიზაციაზე (Southern Common Market), რომელიც სუბრეგიონულ ეკონომიკურ ბლოკს წარმოადგენს (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი,

პარაგვაი, და ვენესუელა). ამჟამად ოთხი განვითარებადი ქვეყანა (მექსიკა, კოლუმბია, ჩილე და პერუ) Mercosur-ის ალტერნატიულ გაერთიანებას ქმნიან, და წყნარი ოკეანის ალიანსის საშუალებით ცდილობს განვითარებას. ეს ფაქტი, ხაზს უსვავს აზიის მზარდ ეკონომიკურ ძლიერებას და მის გავლენას ლათინური ამერიკის ეკონომიკურ განვითარებაზე. პროცესების ამგვარმა განვითარებამ შესაძლოა შეცვალოს რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ვექტორი.

რაც შეეხება რუსეთს, იგი სერიოზულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში იმყოფება. ის ცდილობს აღადგინოს ის გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც დასაწყისში ეკუთვნოდა მეფის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიას. სამხრეთ კავკასიაში და შუა აზიაში მან ეს ნაწილობრივ მოახერხა. შედარებით წარმატებით ბელორუსიაში. რუსეთის ჯარი იცავს ბელორუსიის დასავლეთ საზღვრებს პოლონეთთან და ლიტვასთან. იცავს ტაჯიკეთში ავღანეთის საზღვარს. რუსეთის აღმოსავლეთ ციმბირის ნაწილში იზრდება ჩინეთის დემოგრაფიული დაწოლა. მოსკოვში კი დაძაბული პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული. რუსეთი უფრთხის აღმოსავლეთით ისეთი მძლავრი დასავლური ინსტიტუტების გაფართოებას, როგორიც ევროკავშირი და ნატოა. ასეთ გაფართოებას მინიმუმამდე დაჰყავს რუსეთის გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ, მიუხედავად ენერგობერკეტებისა, იგი უძლურია წინ აღუდგეს ამ პროცესს. თუ გეოეკონომიკური კონფრონტაცია ამ ფლანგზე დაიწყება, რუსეთის დღევანდელი ეკონომიკა დიდი ალბათობით ვერ გაუძლებს ახალ „ცივ ომს“. თუ მის დღევანდელ განვითარებას დავაკვირდებით, ეს ქვეყანა გარკვეულ დაბნეულობაშია, რადგან ჩინეთის მსგავსად ვერ აკეთებს არჩევანს ძლიერებასა და კეთილდღეობას შორის. რუსეთი გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნებს თავის პოტენციურ არასტაბილურობაზე კონტროლს, რისთვისაც იგი საჭიროებს დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერას. იმპერიის აღდგენა როგორც მხარეთა შეთანხმებით (ბელორუსია, ყაზახეთი და სომხეთის ვარიანტი), ასევე ძალით (უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), საკმაოდ ძვირი დაუჯდება რუსეთს, რომელსაც მოსკოვი ისე ვერ გადაიხდის, თუ საშიშროება არ შეექმნა მის ეკონომიკას, რაც მისთვის შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს. აღნიშნულის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო ცდილობს კვლავ

განამტკიცოს თავისი გავლენის სფეროები მსოფლიოში. განსაკუთრებით, შეინარჩუნოს სატელიტები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამისთვის ის ხშირად მიმართავს საერთაშორისო სამართლისათვის შეუფერებელ ნორმებს (საქართველო და უკრაინა ამის კარგი მაგალითია), რაც საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას.

ქვეყნის უნარი აწარმოოს აქტიური გეოეკონომიკური პოლიტიკა და მოიპოვოს შესაბამისი უპირატესობა, რიგი ფაქტორებით განისაზღვრება. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია ეროვნული ეკონომიკის ზომა, რამდენადაც გეოეკონომიკური ომის ბევრი ინსტრუმენტი (აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკა, ინვესტიციები, სამეცნიერო კვლევების ფართო სპექტრი, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო აპარატი და ა.შ.) მოითხოვს საშუალებათა მნიშვნელოვანი მოცულობის კონცენტრაციას სახელმწიფოს ხელში. თუმცა, ხშირად სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზომა ხდება აქტიური გეოეკონომიკური მოქმედებების შემზღუდველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტორი. თუმცა, ერთ-ერთი და არა ერთადერთი, ვინაიდან იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც მშპ-ის მოცულობით მსოფლიოს პირველ ათეულში შედიან, ყველა არ წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის მძლავრ სუბიექტებს. ამასთან, როგორც ე. ლუტვაკი მიუთითებს, მოცულობითი ეკონომიკა მნიშვნელოვანი, მაგრამ ყოველთვის საკმარისი არაა გეოეკონომიკური დღის წესრიგში მონაწილეობისათვის. ქვეყანას სჭირდება კომპეტენცია და ერთგული მმართველი ელიტა, რომელიც დაჯილდოებულია შესაბამისი ამბიციის უნარით (Luttwak,1979).

მსხვილი ეკონომიკების ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო შეექმნა ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მუდმივად მოამარაგებდა ქვეყანის მმართველობის აპარატს სათანადო გეოეკონომიკური განათლების მქონე კადრებით. ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა იაპონიასა და გერმანიაში. ამ ქვეყნებში, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, უზრუნველყოფილია სხვადასხვა კომპეტენციის სფეროების კოორდინაცია. გერმანიასა და იაპონიაში არსებობს ერთიანი სამინისტრო, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია, გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სამრეწველო, ასევე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. გერმანიაში არსებობს ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო, რომელიც განაგებს თითქმის ყველა ეკონომიკურ საკითხს (ფინანსურის

გარდა), საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჩათვლით. გარდა ამისა, „იაპონიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აყალიბებს ეროვნულ სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკას. საფრანგეთში არსებობს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს ჩარჩოებში მოქმედებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო (Direction des Relations Economiques Exterieures), რომლის ამოცანაა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დამუშავება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ასევე თითოეული სამინისტროს მიერ გატარებული მოქმედების კოორდინაცია. დიდ ბრიტანეთში ამ რამდენიმე წლის უკან მოხდა მრეწველობის დეპარტამენტისა (Departament of Industry) და ვაჭრობის დეპარტამენტის (Departament of Trade) შერწყმა“ (კვინიკაძე,2008,324).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტურობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ აუცილებელი სტრუქტურის შექმნა, არამედ სოციალური ორგანიზაციის მთელი რიგი ასპექტები და კვალიფიციური ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების მომზადება. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ერთმანეთისაგან განსხვავებული გერმანული და იაპონური მოდელების შედარება, ვინაიდან ეს ქვეყნები კლასიკური გეოეკონომიკური ქვეყნების რიგს განეკუთვნება. გეოეკონომიკის სფეროში გერმანიის მოდელი ხასიათდება მცირე ბიუროკრატიული აპარატით ფედერალურ დონეზე, რომელსაც ამავე დროს არ გააჩნია გადამწყვეტი ხმა გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაში (კვინიკაძე,2008). იაპონიის გეოეკონომიკაში კი, როგორც ავღნიშნე, პირიქითაა, სახელმწიფო მაკონტროლებლის როლს ასრულებს აღნიშნულ სფეროში, რომელსაც იგი ახორციელებს უდიდესი სამინისტროს მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად სტრატეგიას. ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ამუშავებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, წარმოების წამყვან დარგებში მთელი ქვეყნის მასშტაბით და მასში მონაწილეობისათვის კონკურსის საფუძველზე იწვევს უმსხვილეს ეროვნულ საწარმოებს (Yamamura,1986).

გეოეკონომიკური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, გრძელვადიან ხასიათს ატარებენ, რაც ხშირად წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე პოლიტიკური სისტემების

მოკლევადიან იმპერატივებთან. უფრო მეტიც, ბევრი გეოეკონომიკური გადაწყვეტილება არსებული თაობისაგან გარკვეულ მსხვერპლშეწირვასაც მოითხოვს მომავალი თაობის სასარგებლოდ (მაგალითად, მოკლევადიან პერსპექტივაში საკუთარი ქვეყნის მეწარმეების დაცვა ფასებს გაზრდის შიდა ბაზარზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის გატარებით, შექმნის დარგის შენარჩუნების და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობას საერთაშორისო დონეზე). ეს მოცემულობა კი ვერ ჯდება პოლიტიკური რეალობების კონტექსტში, ვინაიდან გეოეკონომიკა მოითხოვს მმართველობითი ფუნქციების ერთ ხელში თავმოყრას. ამ მხრივ, საინტერესო და, იმავდროულად, საკამათოცაა იტალიელი გეოეკონომისტების დასკვნა იმის შესახებ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა გაცილებით რთულად ეგუება გეოეკონომიკურ კონკურენციას, ვიდრე საპრეზიდენტო (Jean,1995).

ტრადიციულად სახელმწიფოს ძლიერების ფუნდამენტად ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაცია მიიჩნეოდა. მაგრამ, სტაბილური ეკონომიკური კლიმატის არარსებობის შემთხვევაში, პოლიტიკური ინსტიტუტები სუსტდებიან და ენთროპიას (ქაოსს და განუკითხაობას) განიცდიან. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაში ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად (Porter,1990).

სახელმწიფოს ძლიერება განისაზღვრება მისი ეკონომიკური სიმდიდრით, რომელსაც ქმნიან მოქალაქეები, სამთავრობო და კერძო სექტორები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება განსაზღვრავს ექსპორტის ხვედრით წილს, რომელიც უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას. ამიტომ, რაც მეტ კონკურენტუნარიან პროდუქტს აწარმოებს ქვეყანა და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მდგრადია მისი ეკონომიკური პოტენციალი. ქვეყნის ფარგლებს გარეთ პროდუქტის წარმოება დამოკიდებულია იმ ბიზნესოპერაციებზე, რომლებიც ხორციელდება ამ ქვეყნის კომპანიების მიერ სხვა სახელმწიფოებში, რაც გლობალურ გარემოში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება.

სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგია - ეს არის ხელისუფლების მიერ ყველა სახის სახელმწიფოებრივი რესურსის (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, ტექნოლოგიური, სამხედრო) თავმოყრა და მათი მიმართვა მთავრობის მიზნების განხორციელებისათვის სხვა მთავრობებთან კონკურენციის წარმართვის მიზნით. (Huntington,1985). თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ბოლომდე არ დავეთანხმოთ ს. ჰანტინგტონს იმაში, რომ ეკონომიკური ძლიერება სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი ფაქტორია, ვინაიდან ქვეყნის ძლიერებას სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებენ.

როგორც ვხედავთ, „გეოეკონომიკის“ ცნება შემთხვევით არ აღმოცენებულა. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ამ ტერმინის გაშიფვრის რამდენიმე ვარიანტი, ერთი რამ ეჭვს ნამდვილად არ იწვევს. ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ გეოეკონომიკაში საქმე გვაქვს ხუთი კომპონენტის ერთგვარ კოქტეილთან (სივრცე, პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტები და მართვა). მათი სინთეზი ქმნის გეოეკონომიკურ მიმართულებას მეცნიერებათა სისტემაში და აყალიბებს გეოეკონომიკის საგანს, რომელსაც ჯერჯერობით არ გააჩნია პრეტენზია განკერძოებულ სტატუსზე (კვინიკაძე,2008).

თავი 3. საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობა

3.1. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების გეოეკონომიკური პრობლემები

საქართველოში გეოეკონომიკური შეფერილობის (და არა გეოეკონომიკური) კვლევების გამოჩენა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდს (უფრო კონკრეტულად კი, 1990-ანი წლების მეორე ნახევარი) უკავშირდება. ამ მხრივ, ქართველმა მეცნიერებმა, შესანიშნავი ბაზა შექმნეს საქართველოში გეოეკონომიკური კვლევების შემდგომი განვითარებისათვის.

გეოეკონომიკის ფორმირების წინაპირობები მოექცა ქართველი მეცნიერის პროფ. ა. რონდელის ყურადღების ქვეშ. იგი წერს: „ეკონომიკური პრობლემები ძალიან პოლიტიზირებული გახდა, ხოლო პოლიტიკური სისტემები, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო განიცდიდნენ ეკონომიზაციას“ (რონდელი,2006;196).

მართლაც, თანამედროვე პერიოდის ფუნდამენტური განსხვავება ისაა, რომ სახელმწიფოები დღეს გაცილებით აგრესიულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ და მუდმივად ითვალისწინებენ ეროვნულ ინტერესებს. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემცირდა და დღეს პოლიტიკური ლიდერები ეკონომიკურ ძლიერებას სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევენ. ამ მოცემულობაში სახელმწიფოები ატარებენ ისეთ სამრეწველო

და კომერციულ პოლიტიკას, რომელიც კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. მსგავსი პოლიტიკის წარმოება თითქმის მთავარ გეოეკონომიკურ სტრატეგიად ითვლება. სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას კანონმდებლობით არეგულირონ საზღვრების რეჟიმი. ვიდრე იარსებებს სუვერენული სახელმწიფო, დარჩება საზღვრებიც, თუნდაც მათი გადაკვეთა არ იყოს დაკავშირებული მნიშვნელოვან სიძნელეებთან.

გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას ჯერჯერობით არ ძალუძს საზღვრების წაშლა იმ სფეროებში, სადაც პოლიტიკა და ეკონომიკა ჯერჯერობით უძლურია. მხედველობაშია კულტურული და რელიგიური საზღვრები (კვინიკაძე, 2008). ამ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა შეეთავსოს ერთმანეთს ბაზრის, თავისუფლების და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას? ეს ერთ-ერთი იმ კითხვათაგანია, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს გეოეკონომიკამ. საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როცა საქმე ეხება გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებს. ვინაიდან მცირერიცხოვანი შრომების გარდა თითქმის უცნობია ცენტრალიზებული საბჭოთა ტიპის ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის გზა.

ერთი ტიპის ეკონომიკიდან მეორეზე გადასვლას (ჩვენს შემთხვევაში ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე) გარკვეული სტრატეგია და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტების სწორად შერჩევა ჭირდება. მსგავს თან ახლავს სიტუაციას ეკონომიკური სისტემის დასუსტება (წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება) და მისგან გამომდინარე მწვავე სოციალური პრობლემების აღმოცენება. ქვეყანა, რომელიც მსგავსი ტრანზიტის პროცესშია საჭიროებს გადასვლის სტრატეგიის ისეთი ინსტრუმენტების შერჩევას, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ პირობებს და სპეციფიკას. ამ ვითრებაში განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, ვინაიდან რეფორმების ტვირთი სწორედ მას აწევს. ამ შემთხვევაში მას ერთდროულად უწევს როგორც თავისი თავის გარდაქმნა, ისე საზოგადოების კოლექტიური ქცევის ხელმძღვანელობა მთელი ეკონომიკური სისტემის შეცვლის მიზნით. ამ პროცესში სახელმწიფო ნაკლებ შეცდომას უშვებს მაშინ, როცა მას ყავს გეოეკონომიკურად აქტიური

ბიუროკრატია, რაც იშვიათი შემთხვევაა (პოსტსაბჭოთა კოლონიებიდან მსგავსი სიტუაცია მეტნაკლებად შეიმჩნეოდა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში). ამავდროულად სახელისუფლებო ბიუროკრატიასთან მიმართებაში ჩნდება პრობლემებიც რაც იმაში გამოიხატება, რომ ბიუროკრატიის გაკონტროლება საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგან მისი ბუნებიდან გამომდინარე მას სულაც არ „უყვარს“ საჯაროობა, ანგარიშვალდებულება, მისი საქმიანობის გამჭვირვალობა. საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარების უნივერსალური მოდელი არ არსებობს და კონკრეტული ქვეყნების დონეზე უნიკალურ სტრატეგიას საჭიროებს.

მსოფლიო ხასიათდება მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით. პირველ პლანზე ხშირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია. ასე რომ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მხოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა დღეისათვის უაზრობად იქცა. საერთაშორისო კონფლიქტებმა სხვა ფორმა უნდა მიიღოს და შესაძლოა კონფლიქტების ახალი ახალი მიზეზებიც გამოჩნდეს. (რონდელი,2006,178-180).

„ჩვენში სიტყვას “ბიუროკრატია” უფრო უარყოფითი მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ ბიუროკრატია არის სახელმწიფო მანქანა, საჯარო სამსახური. თუ ის კარგი ხარისხის არ არის და ცუდად ფუნქციონირებს, სახელმწიფო ვერ ვითარდება, რჩება ჩამორჩენილი, ღარიბი და უმწეო. კარგი ბიუროკრატიის შექმნის მთავარი პირობა კი სწორედ ეფექტიანი განათლების სისტემაა“(რონდელი,2014,44). თუ ქვეყანას ჰყავს ნამდვილი ელიტა, მაშინ ბევრად უფრო ადვილი ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და გამოწვევებთან გამკლავება. ჭეშმარიტი, უნარიანი ელიტის შექმნას არა მხოლოდ კარგი აღზრდა-განათლება, არამედ სტაბილურად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო მანქანა და სათანადო დრო ესაჭიროება. თუ ქვეყანაში ვერ გაიზარდა, ვერ ჩამოყალიბდა პასუხისმგებელი და მომზადებული ნადვილი ელიტა, ამ ქვეყანას კარგი მომავალი ვერ ექნება.

საერთაშორისო ურთიერთობათა ეკონომიზაციის პირობებში ეკონომიკური “იზოლაციონიზმის” გატარებას ეკონომიკური თვითკმარობის პრინციპის ძველებურად

გამოყენებას დიდი ქვეყნებიც ვეღარ ახერხებენ. თუ ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებულია თანამედროვე დარგები და ტექნოლოგიები და... უზრუნველყოფილია ეფექტური განათლების სისტემით, მაშინ ამგვარი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები რთული არ იქნება.

დღეისათვის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უფრო მეტად ცვალებად საერთაშორისო ეკონომიკურ კონიუქტურასთან, ბაზრების დინამიკასთან შეგუების უნარი, აგრეთვე - შრომის საერთაშორისო დანაწილების მექანიზმებში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის მონახვა და აქტიური ვაჭრობის განსაზღვრავა. როცა თანამედროვე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეკვეცაზე საუბრობენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურ სუვერენიტეტს გულისხმობენ. მართლაც, ეკონომიკურად სავსებით „სუვერენული“ (ე.ი. მთლიანად თვითკმარი, არავისზე დამოკიდებული და ა.შ.) სახელმწიფოს წარმოდგენაც კი ძნელია. პატარა ქვეყანა აქტიურად უნდა ვაჭრობდეს, რადგან შემოსავლიანი ექსპორტის გარეშე მას განვითარების საშუალება არ ექნება.

გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი “ნიშის” მონახვას ქვეყანა (იგულისხმება გარდამავალი ეკონომიკის პატარა ქვეყანა) თვითონ უნდა ეცადოს. ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია თვითონ უნდა განსაზღვროს. რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებში არსებულ ძირითად გეოეკონომიკური ხასიათის პრობლემებს ამ კუთხით რონდელი გამოყოფს:

1. ქვეყნის რესურსების სიმცირეს (ბუნებრივი და ადამიანისეული) და შიდა ბაზრის მცირე ტევადობას.

2. დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სირთულეს.

3. ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურის არ არსებობას, რომელიც გულისხმობს ცალმხროვობას და ვიწრო სპეციალიზაციას.

4. თუ საექსპორტო პროდუქცია სხავდასხვა მიზეზთა გამო (კონკურენტის გამოჩენა, ტექნოლოგიის შეცვლა, ბაზრის გაჯერება და სხვა) გაუსაღებლობას.

5. საერთაშორისო ბაზარზე მზა სამრეწველო პროდუქციის სარგებლიანად გატანის და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრების პრობლემას.

6.თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის საწარმოებლად საჭირო კაპიტალის, კვალიფიციური მუშახელის და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების დაბალ დონეს.

7. პოლიტიკურ არამდგრადობას, რაც მათ საინვისტიციო მიმზიდველობას უკარგავს.

8. სახელისუფლებო ბიუროკრატიის დაბალ გეოეკონომიკურ აქტიობას (ქვეყნის იმიჯისათვის ზრუნვა, მიმზიდველი საინვისტიციო კლიმატის შექმნა, საკუთარი პროდუქციისათვის უცხოური ბაზრების გაწმენდა, გეოეკონომიკური ომების თავიდან აცილება ან/და მისი წარმართვის ხელოვნება და ა. შ.), ვინაიდან ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას მსგავსი გამოცდილება არ აქვს.

9. ფართომასშტაბიანი წარმოების განვითარების შეზღუდულ შესაძლებლობას.

10. სუსტი განათლების მქონე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა მაღალი დონის წარმოებას და ახალ ტექნოლოგიებს ვერ ქმნიან.

11. კაპიტალის ექსპორტზე დამოკიდებულების მაღალ დონეს.

ამდენად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები რიგ ეკონომიკურ პრობლემებს ეჯახება. ვინაიდან ნაშრომის ფორმატი სცილდება ამ პრობლემების დეტალურ განხილვას, ამჟამად, მხოლოდ ზოგიერთს განვიხილავთ. კერძოდ, კვლევის ფოკუსში მოექცა: I. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა სახელმწიფოს როლი საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში; II. სახელისუფლებო ბიუროკრატია და პოლიტიკური ელიტა; III. ძირითადი გეოეკონომიკური პრობლემები და ეკონომიკური უსაფრთხოება; IV. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების გეოეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი ვექტორები.

სახელმწიფოთა ძლიერება და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საწარმოთა კონკურენტუნარიანობაზე, ვიდრე მის ტერიტორიის ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობაზე; ქვეყნის შიდა ლეგიტიმაცია დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქვეყანა ფეხი აუწყოს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს და ა.შ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით რელევანტურია, როცა საქმე ეხება გარდამავალი ეკონომიკის მქონე

პატარა ქვეყნებს (ცნობილი ქართველი მეცნიერი ბ-ნი ვლადიმერ პაპავა უპირატესობას ანიჭებს ტერმინ „მცირე ქვეყანა“-ს).

მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება ხდება, რომელიც ფასდება არა იმით, თუ რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ან რამდენად დიდია სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ ეკონომიკური ზრდის პარამეტრებით და იმ წარმატებებით, რომელსაც ქვეყანა აღწევს გასაღების ბაზრებზე. ამდენად, მოხდა გეოპოლიტიკის საფუძვლების ცვლილება - საბუნებისმეტყველო გეოგრაფიამ და ტრადიციულმა დეტერმინიზმმა ძნელად, მაგრამ მაინც დაუთმო ადგილი გეოეკონომიკას.

მსოფლიო ხასიათდება მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით და ძალის გამოყენება (მხედველობაშია სამხედრო ძალა) აღარ განიხილება როგორც ყველაფრის წამალი. პირველ პლანზე ხშირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია. სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მხოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა დღეისათვის უაზრობად იქცა. (ნახაზი N 3.1)

მართლაც, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ “სივრცის“ გეოპოლიტიკა, რომელიც უახლოეს წარსულში მსოფლიო წესრიგის არსს წარმოადგენდა, თანდათან შეიცვალა გეოეკონომიკით, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. ურთიერთდამოკიდებულება გაიზრდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და ჩამოყალიბდა მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები, არამედ იმიტომაც, რომ საწარმოებს გაცილებით ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თავისი საქმიანობა იმ რეგიონებში, სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ამიტომაა, რომ თანამედროვე პოსტბიპოლარულ მსოფლიოში ბევრი გეოპოლიტიკური კონცეფციის შინაარსი შეიცვალა. გაჩნდა ტერიტორიებზე კონტროლის ახალი ფორმები, რაც გამოიხატა მარიონეტული მთავრობების შექმნასა და ახალი ეკონომიკური იმპერიალიზმის ჩამოყალიბებაში (კვინიკაძე, 2016).

გეოეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი დამკვიდრება პოსტბიპოლარულ მსოფლიოში გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის გააქტიურებამ. სწორედ ამ პროცესმა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ცვლილების სერიოზული პროვოცირება, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია: ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს შორის აქტიურად მიმდინარე შრომის გლობალურ დანაწილებასთან, ეროვნული ეკონომიკების გასვლასთან სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის გამყოფ ხაზებს ასუსტებს. შედეგად ვიღებთ მოცემულობას, სადაც დრო, სივრცე და ბაზარი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან პირდაპირ კორელაციაში აღარაა.

საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციის ხასიათი ა. რონდელის მიხედვით (ნახ.N3.1)



წყარო: რონდელი ა. (2006). საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე განახლებული გამოცემა. თბ.: ნეკერი. გვ.178,179, 180

სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემცირდა და დღეს პოლიტიკური ლიდერები ეკონომიკურ ძლიერებას სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევენ. ამ მოცემულობაში სახელმწიფოები ატარებენ ისეთ სამრეწველო და კომერციულ პოლიტიკას, რომელიც კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. ამჟამად, მსგავსი პოლიტიკის წარმოება თითქმის მთავარ გეოეკონომიკურ სტრატეგიად ითვლება.

დღეისათვის ადმინისტრაციულმა სისტემებმა შეინარჩუნეს ორგანიზაციის ადრინდელი კვაზისამხედრო ლოგიკა, მაგრამ დაკარგეს თავისი სოციალური სტატუსი, ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ საზოგადოების ელიტურ ნაწილს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რაღაც ზომით მათ დაკარგეს იდეოლოგიური ლოიალობა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. ისინი კვლავ იმყოფებიან სახელისუფლებო და პოლიტიკური ელიტის დაქვემდებარებაში, მაგრამ მათთან უკვე აღარ აკავშირებთ ,,კლასობრივი ერთიანობა", აღარ აქვთ საერთო ინტერესები და უპირობო ერთგულება. ბიუროკრატებს დღეს შეუძლიათ ემსახურონ ნებისმიერ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვა, იმის მიუხედავად, თუ საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენლები იქნებიან ხელისუფლების სათავეში.

თუმცა მსგავსი გამოცდილება სრულიად არ გააჩნიათ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ბიუროკრატიული მართვის საბჭოთა ,,ტრადიციებმა" მთავრობები და ეკონომიკა ბაზრის პრინციპებზე, ყველა მონაწილის კონკურენტუნარიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ჩართვისას კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა.

ნებისმიერი ქვეყნის წინსვლა-განვითარება და, რა თქმა უნდა, ძლიერება დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე განათლებულ, ყველაზე განვითარებულ ნაწილზე, რომელსაც ხშირად ელიტას უწოდებენ. ელიტა მოსახლეობის ის შედარებით მცირე ნაწილია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, წარმართავს ერის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, იღებს პასუხისმგებლობას საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევისათვის საჭირო სტრატეგიაზე, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და ღირსეულ ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში. თუ ქვეყანას ჰყავს ნამდვილი ელიტა, მაშინ ბევრად უფრო ადვილი ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და გამოწვევებთან გამკლავება. ჭეშმარიტი, უნარიანი ელიტის შექმნას არა მხოლოდ კარგი აღზრდა-განათლება, არამედ სტაბილურად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო მანქანა და სათანადო დრო ესაჭიროება (ა.რონდელი, 2015).

გეოეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც გეოეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ამ სისტემის უნარს უზრუნველყოს: ა) ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტები; ბ) უწყვეტად უზრუნველყოს ქვეყნის მომარაგება საჭირო რესურსებით; გ) თანმიმდევრულად მოახდინოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაცია. გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, აუცილებლობა მნიშვნელოვნად იზრდება განვითარების კრიზისული ფაზის პირობებში. ამ ფაზის გარდაუვალი ეკონომიკური და სოციალური დანახარჯები, მნიშვნელოვნად ამახინჯებენ უსაფრთხოების ფაქტორსა და მის კრიტერიუმებს, ამასთან, დამატებით ამძიმებენ საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნების მექანიზმებს, კვეცენ მის შესაძლებლობებს ეკონომიკური კომპენსაციისა და სტაბილიზაციის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში. გეოეკონომიკური უსაფრთხოების მაკროეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა შესამჩნევად იზრდება დიდი სახელმწიფოებრივი გარდაქმნების პირობებში. გეოეკონომიკური უსაფრთხოება ორგანულადაა ჩართული ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, სისტემის ისეთ კომპონენტებთან ერთად როგორიცაა: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, საზოგადოებაში სოციალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ეკოლოგიური კატასტროფებისაგან დაცვა და ა.შ. ამ სისტემაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთი სლოგანი აქვთ: არ შეიძლება არსებობდეს სამხედრო უსაფრთხოება სუსტი და არაეფექტური ეკონომიკის პირობებში, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს არც სამხედრო უსაფრთხოება და არც ეფექტური ეკონომიკა საშინელი სოციალური კონფლიქტების პირობებში. როცა ამ კავშირებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მასში მთავარი როლი ენიჭება გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ინვესტიციებისა და ინოვაციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, წარმოების პერმანენტული მოდერნიზაცია, დასაქმებულთა პროფესიული, საგანმანათლებლო და საერთო კულტურული დონის ამაღლება, რომელიც ეროვნული ეკონომიკის თვითშენარჩუნებისა და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა ხდება. ამდენად,

გეოეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკისა და მისგან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასა და უნარს მუდმივი განახლებისა და თვითსრულყოფისათვის (კვინიკაძე,2008,339-340).

როცა თანამედროვე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეკვეცაზე საუბრობენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურ სუვერენიტეტს გულისხმობენ. მართლაც, ეკონომიკურად სავსებით „სუვერენული" (ე.ი. მთლიანად თვითკმარი არავისზე დამოკიდებული და ა.შ.) სახელმწიფოს წარმოდგენაც კი ძნელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი გარდამავალ პერიოდში. გარდაქმნას, რეფორმებს სწორედ სახელმწიფო ახორციელებს. იგი, ასე ვთქვათ,საკუთარ თავს გარდაქმნის და ამავე დროს მთელი ეკონომიკური სისტემის შეცვლის მიზნით საზოგადოების კოლექტიურ ქმედებასაც წარმართავს. ამავე დროს სახელმწიფო ცდილობს შეზღუდოს ის პროცესები, რომლებსაც არასასურველი და სახიფათო სოციალური შედეგების მოტანა შეუძლიათ. „ეკონომიკური უსაფრთხოება კი მაშინ მიიღწევა, თუ ქვეყანას ექნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც პატარა ქვეყნისათვის, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს „საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ხელსაყრელი პოზიციების დაკავებაში" (რონდელი,2003).

მოსაზრების რელევანტობას ამყარებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელია გლობალური ხელმისაწვდომობა, გახსნილობა, ინფორმაციისა და ინოვაციების სწრაფი გავრცელება, ფინანსების ვირტუალიზაცია, უკონტროლობა და ა.შ. ეს მოცემულობა პატარა სახელმწიფოების ხელისუფალთა მხრიდან მოითხოვს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ კორელაციაშია ბაზრებზე შეღწევასთან, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია სატარიფო ბარიერებთან და უპირველეს ყოვლისა, იმპორტის გდასახადთან, რომელიც გეოეკონომიკის ერთ-ერთი ტრადიციული თავდაცვითი ინსტრუმენტია. მათი გამოყენება თითქმის ყოველთვის ემსახურება საკუთარი წარმოების დაცვას. იმპორტის გადასახადის მოქმედების მექანიზმი საკმაოდ მარტივია. საქონლის იმპორტიორი მიმღებ ქვეყანას უხდის საქონლის ღირებულების ნაწილს. შეასაბამისად იზრდება საქონლის ფასი და ის ნაკლებად

კონკურენტუნარიანი ხდება (ქვეყნის შიდა წარმოებასთან შედარებით). ქვოტირების მექანიზმი კი ეფუძნება რაოდენობრივი შეზღუდვის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დაშვებულია მხოლოდ კონკრეტული საქონლის შეზღუდული რაოდენობის შეტანა. ქვოტის გადაჭარბების შემთხვევაში იმპორტი ან გაცილებით მაღალი ტარიფით იბეგრება ან საერთოდ იკრძალება მისი შეტანა. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სამამული წარმოების დაცვის მიზნით სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს იმპორტზე გადასახალის გაზრდით და ქვოტების შემცირებით. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ფაქტორების, რომელიც ხელს უშლის მსგავსი ქმედებების განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, მსგავსი პროტექციონისტური ზომების მიღება აუცილებლად გამოიწვევს საპასუხო რეაქციას სავაჭრო პარტნიორების მხრიდან, რომლებიც დახურავენ საკუთარ ბაზრებს. ამდენად, სამამულო წარმოების დაცვით სახელმწიფო დააზარალებს საკუთარ ექპორტიორებს. მეორე მხრივ, იმპორტზე გადასახის გაზრდით მოხდება ფასების ზრდა (არა მხოლოდ იმპორტულ პროდუქციაზე), რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდება დამატებითი ინფლაცია. ამ შემთხვევაში ზარალდება როგორც მაკროეკონომიკა ასევე მომხმარებელი (ეს განსაკუთრებით ეხება სასურსათო პროდუქტს). მესამე მხრივ, ქვეყანაში შემოსული საქონელი ხშირად გამოიყენება არა საბოლოო მომხმარებლის, არამედ მწარმოებლების მიერ (მანქანები, მოწყობილობები, ნედლეული და ა.შ.). გადასახადების გაზრდა, საქონლის აღნიშნულ კატეგორიაზე კი ნიშნავს იმას, რომ სამამულო მეწარმეებს გაეზრდებათ პროდუქციის თვითღირებულება და შესაბამისად შეუმცირდებათ საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. მეოთხე მხრივ, ბარიერების დაცვის მოვალეობები ასახულია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დოკუმენტებში, რომლის წევრი შეიძლება იყოს ქვეყანა. ამ მოცემულობისათვის ა. რონდელი გვთვაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს. კერძოდ, გარდამავალი ეკონომიკის პატარა ქვეყნებისათვის.

თანამედროვე ეპოქაში „ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, შეიძლება მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის ბრუნვისა და ინვესტიციებისათვის რეალური პირობები არ შეიქმნება". ამიტომ, მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რამდენად სწორ გეოეკონომიკურ სტრატეგიას

ირჩევს სახელმწიფო. ამ სტრატეგიის მიზანს კი უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური სტრატეგიის რეალიზების უზრუნველყოფა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პირობების შექმნის საფუძველზე. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის გეოეკონომიკაში გამოიყენება ისეთი გლობალური ფინანსურ-სამართლებრივი ტექნოლოგიები, როგორიცაა მსოფლიო სარეზერვო ვალუტა, გლობალური ვალი, სტრუქტურული ადაპტაციისა და ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამები, ,,ვაშინგტონის კონსენსუსი'' (ვაშინგტონის კონსენსუსის მთავარ პოსტულატებს წარმოადგენს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საბიუჯეტო კონსოლიდაცია, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ბაზრების დერეგულაცია და მთავრობის მიერ მართული ეკონომიკური საქმიანობების პრივატიზაცია), ეროვნული და ზეეროვნული (რეგიონული) რისკების მართვის სისტემა და ა.შ. საერთოდ, ეკონომიკურ თეორიებს აზრი აქვს მხოლოდ გარკვეულ სოციოკულტურულ სივრცეში. ის, რაც ერთ სოციუმში კეთილდღეობის ფუნდამენტს ქმნის, სხვა სოციუმში გამოყენებისას მან შეიძლება საერთოდ ჩამოშალოს არსებული წესრიგი. არასაკმარისი კომპეტენტურობა, პოლიტიკურ ლიდერებში გეოეკონომიკური აზროვნების არქონა ხშირად გამხდარა რიგი წაგებული ეკონომიკური ომების მიზეზი. ქვეყნების კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა ქვეყანა ინტეგრირებული გლობალურ, ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ეკონომიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების და სამეცნიერო კვლევების უგულებელყოფა ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოსათვის, მისი მომავალი განვითარებისათვის, ძალიან საშიშია. ამავდროულად გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი საწინდარი მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობაა''.

გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებს საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი გეოეკონომიკური პოზიციონირების გაუმჯობესებისათვის მეტ პირობებს უქმნის, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ქვეყნები ადეკვატურად რეაგირებენ გამოწვევებზე და სწორ გეოეკონომიკურ სტრატეგიას ირჩევენ. დღეს, კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატია, კვალიფიციური სამუშაო ძალა, ტექნოლოგია და

ინფორმაცია მსოფლიო ბაზრებზე არსებული მდგომერეობის შესახებ. ასევე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცების ძირითადი მიმართულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (ნახ. N3.2).

გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცების ძირითადი მიმართულებები (ნახ.N 3.2)



წყარო: შედგენილია ა. რონდელი (2003;204) მიხედვით.

როგორც წარმოდგენილი ნახაზიდან ჩანს გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებისათვის მეცნიერი გამოყოფს და ასაბუთებს 6 ძირითად (აუცილებელ და იმავდროულად რთულად შესასრულებელ) მიმართულებს, რომლებიც თანამედროვე გეოეკონომიკური პარადიგმის მიხედვით ფაქტიურად წარმოადგენს გეოეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის იმ ვექტორებს რომელსაც უნდა დაეფეძნოს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კურსი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. 1. ეკონომიკისა და ექპოტრტის დივერსიფიცირების მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ თუ ქვეყანა მოახერხებს საკუთარი ეკონომიკის და ექსპორტის დივერსიფიცრებას იგი ეკონომიკურად უფრო თვითკმარი გახდება. ამასთან, ნაკლებად იქნება დამოკიდებული საგარეო

ვაჭრობაზე და მასში მიმდინარე უარყოფით პროცესებზე. 2. საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ბაზრების რიცხვის გაზრდას, არამედ დაახლოებით ერთი სიდიდის ბაზრების მოძიებას. 3. საგარეო ვაჭრობისას გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნა უნდა ცდილობდეს საგარეო ვაჭრობა პატარა (სუსტ) პარტნიორებთან წარმართოს. თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ამ უკანასკნელთა მხრიდან გადახდისუნარიანობის პრობლემის გაჩენა. 4. საკვლევი ტიპის ქვეყნებისათვის საშიშია მხოლოდ ერთ პარტნიორთან ვაჭრობა, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე გვაქვს ეკონომიკურად გაცილებით ძლიერ სახელმწიფოსთან. 5. შედარებითი უპირატესობის იმ ელემენტების გამოყენება, რომელიც ნოვაციის მატარებელი და იმავდროულად პოტენციურად მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით ეს განსაკუთრებით ეხება საკომუნიკაციო სისტემებს, ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის დროულ დამუშავებას და ანალიზსს. ასევე ტექნოლოგიურ სიახლეების ეფექტურად გამოყენებას. 6. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნები უცხო ქვეყნების მხრიდან ეკონომიკური ზეწოლის, შანტაჟის, ბლოკადის და ეკონომიკური ემბარგოს შესაძლებლობებს უნდა აცნობიერებდეს და მოემზადოს იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს გამოწვევებს. ან უმჯობესია საერთოდ თავიდან აიცილოს მსგავსი ნეგატივები.

ამდენად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება დამოკიდებულია მისი სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარიხის ცვლილებაზე. რაც უფრო იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზღუდება მსგავსი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი და პირიქით, რაც უფრო მცირდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზრდება პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი. ამ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად აუღებს ალღოს შექმნილ სიტუაციას სახელისუფლებო ელიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნამ (მხედველობაშია ბალტიისპირეთის ქვეყნები) მნიშვნელოვანი ადგილი და როლი

დაიმკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. ალბათ ამიტომაც ისინი ნაკლებად აქტიურნი არიან მსოფლიო პოლიტიკის ურთულეს და კონფლიქტურ გარემოში და თავიანთ რეგიონში მეზობლებთან კარგი ურთიერთობების დაამყარებას ცდილობენ. იმავდროულად მაქსიმალურად აქტიურდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში და მონაწილეობას იღებან საერთაშორისო ჰუმანიტარულ და მშვიდობისმყოფელ აქციებში.

3.2 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შედარებითი ანალიზი

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები წარმოადგენენ ქვეყანათა ჯგუფს, რომლებიც მბრძანებლურ-გეგმიური სახელმწიფო ეკონომიკური სისტემიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადადიან და განიცდიან მუდმივ ცვლილებებს უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით. ამ ქვეყნების ჯგუფში ერთიანდებიან (http://bit.ly/2sZK5ZZ).

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები: ალბანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, სლოვენია, მაკედონია, უნგრეთი, სერბათი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მონტენეგრო;
- ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეტი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი
- აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოები: ჩინეთი, კამბოჯა, ლაოსი და ვიეტნამი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი ხანის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა, უხარისხო პროდუქციის წარმოება და დაბალი შრომისნაყოფიერება. ცენტრალური ხელისუფლებისთვის რთული იყო გადაწყვეტილების მიღება რესურსების და საქონლის, განსაკუთრებით კი

სამომხმარებლო საქონლის ეფექტიან გადანაწილებაზე. ერთი მხრივ, იზრდებოდა დეფიციტი იმ პროდუქციაზე, რომელზეც არსებობდა მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ იმატა ჩაწოლილი საქონლის მარაგებმა, რაც საბოლოო ანგარიშით დანაკარგი იყო საზოგადოებისათვის. ზემოთ აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტემპები დამაკმაყოფილებელი იყო, ეს მიიღწეოდა არა ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდით, არამედ რესურსების მეტი ოდენობის გამოყენებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა წარმოების ზრდის რეალური ტემპების მკვეთრი დაცემა.

ეკონომიკური რეფორმების ექსპერიმენტები დაიწყო იუგოსლავიაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში. გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (აღმოსავლეთ გერმანია) განხორციელდა ფასების რეფორმა საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო რეფორმების გატარება ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. მაგრამ, პირველი, ნამდვილად წარმატებული ეკონომიკური რეფორმა კომუნისტურ სივრცეში დაიწყო 1978 წლიდან, კერძოდ, ჩინეთში. სამი მთავარი ბელადის – მაო ძედუნის, ჯოუ ენლოს და ჯუ დეს „კულტურული რევოლუციის“ კატაკლიზმების და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემის შემდეგ. დენ სიაოპინმა დაიწყო რეფორმები, რომლებსაც საზოგადოება მომზადებული შეხვდა. რეფორმები დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რის შედეგადაც ჩინეთმა მიაღწია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტემპებს ბოლო ათწლეულში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში წარმოებისა და პროდუქციის განაწილების სფეროში შეინიშნებოდა ფასებისა და საბაზრო მექანიზმის გამოყენება მზარდი მასშტაბით. ამ ათწლეულში განხორციელდა ძვრები მესამე სამყაროს რიგ ქვეყნებში ავტოკრატული და მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისაკენ, რომლის დაჩქარებაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების ეკონომიკური მოდუნებით, ხოლო ნაწილობრივ სესხების პირობებით (სტრუქტურული ადაპტაციის სესხებით), რომელსაც გასცემდნენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო

ფონდი (სსფ). მოძრაობა საბაზრო ეკონომიკისაკენ და საბაზრო მექანიზმების გამოყენებისაკენ დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც 1985 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო გარდაქმნები და საჯაროობის პროცესი. 80-იანი წლების ბოლოსათვის მან სწრაფი განვითარება პოვა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების წყალობით. 1991 წელს, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკებმა განაცხადეს საბჭოთა კავშირისაგან მათი გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ „ცივი ომი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასრულდა.

გარდამავალი პერიოდის პირველი წლები ამ ქვეყნებში ხასიათდება მსგავსი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით, როგორიცაა უმუშევრობის და ინფლაციის ზრდა, წარმოების დაცემა, უთანასწორობის ზრდა, განათლების და ჯანდაცვის დონის გაუარესება, ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკური არეულობა და ომები. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმეტესმა ქვეყანამ, აგრეთვე ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა, წარმატებით გადალახეს ეს პრობლემები და დღეს საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნებიან (http://bit.ly/1VctxnS). ამის მიზეზს კი ამ ქვეყნებში სტაბილურო პოლიტიკური გარემოს შენარჩუნება და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება წარმოადგენს (მსოფლიო ბანკი, EBRD, IMF), რომლებმაც მრავალი ანგარიში მოამზადეს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრობლემებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეიქმნა საერთო ფაქტორები, რამაც უნდა განაპირობოს გარდამავალი ეკონომიკების საბაზრო ეკონომიკებად ჩამოყალიბება (http://bit.ly/2sZK5ZZ):

1. ლიბერლიზაცია, რაც თავისუფალ ბაზარს მისცემს საშუალებას თავად განსაზღვროს ფასები და სავაჭრო ბარიერების შემცირება;
2. მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რაც მიიღწევა დაბალი ინფლაციის შენარჩუნებით, მთავრობის მხრიდან მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის წარმოების გზით;

3. რესტრუქტურიზაცია და პრივატიზაცია, რაც გულისხმობს სახელმწიფო ქონების ფართომასშტაბიან პრივატიზაცია და კერძო სექტორისთვის მათ გადაცემას;
4. სამართლებრივი და ინსიტუციური რეფორმები, რაც კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და კონკურენციის ხელშეწყობას გულისხმობს.

მნიშვნელოვან საკითხს გარდამავალი პროცესის სწრაფად და სწორად გასავლელად ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ინვესტიციების ხელშეწყობა და საერთაშორი ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს. გარდამავალ ეტაპზე ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობა მდგომარეობს ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნის შესაძლებლობაში, აგრეთვე შიდა ბაზარზე შეამცირონ მონოპოლიის შესაძლებლობა. საერთშორისო ვაჭრობიდან ქვეყანამ შეიძლება მიიღოს სტატიკური და დინამიკური უპირატესობაც. სტატიკური უპირატესობა გულისხმობს სარგებელს წარმოების სპეციალიზაციიდან, რაც საშუალებას მიცემს საერთაშორისო ბაზრებზე კონკრეტული დასახელების საქონელზე ქონდეს კონკურენტული უპირატესობა. დინამიკური სარგებელი კი გულისხმობს სამომავლო პერიოდში საგარეო ვაჭრობის მეშვეობით ტექნოლოგიების იმპორტს, რითაც მოხდება ქვეყნის შემდგომი პროდუქტიულობის ტექნოლოგიური სრულყოფა. თუმცა პირველ ეტაპზე აუცილებელია გარკვეული სატარიფო პოლიტიკის წარმოებაც იმპორტირებულ პროდუქციაზე, რადგან სუსტი ეროვნული წარმოება ძნელად თუ გაუწევს კონკურენციას ძლიერ უცხოელ კონკურენტებს და თან გარკვეული საბიუჯეტო შემოსავლების მოზიდვის საშუალებადაც გამოდგება (იმპორტის გადასახადი).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე უცხოური ინვესტიციებიც, რადგან ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი დანაზოგების არარსებობის ან შეზღუდულობის გამო ძალიან მცირე და განვითარებისთვის არასაკმარისია. კაპიტალის შემოდინება დადებითად მოქმედებს არამხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ თან მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, ცოდნა და შესაძლებლობა ექსპორტის ზრდისთვის.

გარდამავალ პერიოდში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ეს ორგანიზაციები გარდამავალ ქვეყნებებს გამოუყოფს კრედიტებს

ინფრასტრუქტურის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სხვა მიმართულებების დასაფინანსებლად, ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად და ტრანზიტული პერიოდის შედარებით უმტკივნეულოდ გადასალახად.

ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაცია გარკვეულ ეკონომიკურ ალიანსებში, როგორიცაა ევროკავშირი, დადებითად აისახება ქვეყნების ეკონომიკებზე. დაინტერესების და სურვილის მაღალი დონეზე მეტყველებს ამ კავშირში წევრობის პრეტენდენტების შერჩევის სიმკაცრე და მაღალი სტანდარტები. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებით გადალახეს გარდამავალი პერიოდი, თანმიმდევრულად დანერგეს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა და განვითარების შესაბამის დონეს მიაღწიეს, შეძლეს ევროკავშირში გაწევრიანება. გარდამავალი ქვეყნების ნაწილი ინტეგრაციის სხვა, უფრო მარტივ და ხელმისაწვდომ გზებს არჩევს და სხვა მსგავს ქვეყნებთან ერთად ქმნის საბაჟო-ეკონომიკურ კავშირებს, მაგალითად ევრაზიული კავშირი.

3.3 საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გეოეკონომიკურ რაკუსში

საქართველოს, როგორც ერთ-ერთი გარდამავალი ქვეყნის, გეოეკონომიკური მდგომარეობა სრულიად გამორჩეულია და განსხვავდება სხვა ქვეყნების არსებული გეოეკონომიკური მდგომარეობისგან. მისთვის სამაგალითო და მისაბაძ გეოეკონომიკურ პარადიგმად ვერ ჩაითვლება დიდი და ძლიერი, განვითარებული ქვეყნების გეოეკონომიკური ვითარება, რადგანაც საქართველოსთვის სხვა სახის გამოწვევები და საფრთხეები დგას დღის წესრიგში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს:

1. საგარეო ვაჭრობა;

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
3. მსხვილ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და საგარეო ვალი, სავალუტო კურსის სტაბილურობა;
4. მიგრაცია და ფულადი გზავნილები;
5. კრიმინალი და კორუფცია;
6. გეოსტრატეგიული მდებარეობა და სატრანსპორტო-ენერგეტიკული და სავაჭრო-სატრანზიტო პოტენციალი.

1) საგარეო ვაჭრობა, რომელიც მოიცავს ექსპორტ-იმპორტს და დადებით ან უარყოფით სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს გეოეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის პოტენციალზე. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა და დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას (http://bit.ly/2tFGhfz). პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე გაუქმებულია საიმპორტო გადასახადი. მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის მრავალმხრივი და ორმხრივი რეჟიმები. მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები გაფორმებულია დსთ-სთან, რომელიც მოქმედებს 1994 წლიდან, სუამთან 2002 წლიდან, ევროკავშირთან 2014 წლიდან მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შეთანხმება (DCFTA), EFTA-სთან (ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან) 2016 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (http://bit.ly/2uDWXkJ). გარდა ამისა საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და 164 წევრ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე, ასევე არის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ბენეფიციარი ქვეყანა და როგორც განვითარებად ქვეყანაზე განვითარებული ქვეყნებიდან: აშშ, იაპონია, კანადა, მოქმედებს შემცირებული საბაჟო განაკვეთები. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებულია: რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან,

თურქმენეთთან და თურქეთთან. რუსეთთან და თურქეთთან გაფორმებული შეთანხმებები ითვალისწინებს გამონაკლისებს და გარკვეული სახის პროდუქცია კვლავინდებურად იბეგრება. 2017 წელს ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ჩინეთთან, რის საფუძველზეც ქართული პროდუქციის დაახლოებით 94%-ს ჩინეთში იმპორტისას საბაჟო გადასახადების გადახდა არ მოუწევს (http://bit.ly/2teXp85). იგეგმება მსგავსი შეთანხმებების გაფორმება ინდოეთთან და ჰონგ-კონგთანაც.

გეოეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად მნიშვნელოვან და აუცილებელ საკითხს წარმოადგენს ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა და აგრეთვე საჭირო რესურსებით (პირველ რიგში ენერგორესურსებით და ტექნოლოგიებით) მომარაგების უზრუნველყოფა, რაც იმპორტის მეშვეობით ხორციელდება. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბაზრების დივერსიფიკაცია, როგორც იმპორტის ასევე ექსპორტის შემთხვევაში, რაც პოტენციურ საფრთხეებს შეამცირებს და აგრეთვე საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნება, რომელიც წარმოდგენილი არ იქნება მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქტით ან/და გადამუშავებისთვის განკუთვნილი პირველადი რესურსებით.

ცხრილი N3.1

საგარეო ვაჭრობა 2010-2017 წლებში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017*
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10707.4
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2113.1	2727.0
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF)	5236.0	7072.3	8056.4	8022.7	8601.8	7300.3	7294.6	7979.4
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3558.7	-4885.8	-5679.7	-5112.4	-5740.8	-5095.6	-5181.5	-5251.5
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1380.3	1693.0	1606.4	1812.1	1873.3	1637.4	1657.1	2063.0

*წინასწარი მონაცემები. წყარო: საქსტატი http://bit.ly/2EaTfbv

იმპორტის მაღალი წილი (70-80%) და უარყოფითი სავაჭრო სალდოს ზრდა ქვეყნის გეოეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს და საფრთხეს უქმნის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას, ზრდის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და უარყოფითად მოქმედებს სავალუტო სტაბილურობაზე (ცხრილი N3.1).

გლობალიზაციის გავლენით საქართველო სულ უფრო მეტ ქვეყანასთან ამყარებს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს და ასზე მეტ ქვეყანასთან გააჩნია ურთიერთობა. 137 ქვეყნიდან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნდა სავაჭრო ურთიერთობა 2016 წელს, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 93 ქვეყანასთან, დადებითი კი 44-თან გააჩნდა. უმსხვილეს პარტნიორებს ძირითადად მეზობელი ქვეყნები წარმოადგენდნენ.

იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნების პირველ ათეულს მეზობელ ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ჩინეთი იკავებს. იმპორტიორ ქვეყნებში მოწინავე ადგილები კანადას და ირლანდიას უკავიათ 18.2 და 8.6%-ით, რაც განპირობებულია C ჰეპატიტისთვის განკუთვნილი 1.8 და 0.8 მლრდ. $ ღირებულების მედიკამენტების იმპორტით (http://bit.ly/2ttl1Kq). წამლები საგრანტო პროგრამით იყო

გათვალისწინებული და იმპორტის მაჩვენებელიც რეალურად საკმაოდ დაბალია ამ ქვეყნებიდან. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებიდან აღსანიშნავია რუსეთსა და ჩინეთში გაზრდილი ექსპორტი და მათი წილის ზრდა მთლიან მაჩვენებელში, სხვა მეზობელ ქვეყნებში კი ექსპორტი შემცირებას განიცდის. განსაკუთრებით აზერბაიჯანში, სადაც თითქმის 90 მლნ $-ით შემცირდა ექსპორტი და წილმაც 3.5%-ით იკლო. მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალში სტაბილურად ლიდერობს თურქეთი, რომელსაც მოსდევს ორი დიდი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები რუსეთის და ჩინეთის სახით.

ექსპორტის განსაკუთრებული კლება (იხ. დანართი N1) ფიქსირდება უკრაინიდან და ა.შ.შ.-დან. 2005 წლის შემდეგ პირველად რუსეთი კვლავ იბრუნებს პირველ ადგილს ექსპორტიორი ქვეყნების რეიტინგში, თუმცა ექსპორტის წილი 17,8%-დან 9,8%-მდეა შემცირებული და დამოკიდებულების ხარისხიც გაცილებით მცირეა. ბოლო მონაცემებით საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებულია და ისეთი მსხვილი საექსპორტო ბაზრები, როგორსაც რუსეთი 2005 წელს წარმოადგენდა თითქმის 18%-ით და აზერბაიჯანი 2012-13 წლებში, შესაბამისად 26 და 25%-ით, აღარ გვაქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეექსპორტი 2010 წლიდან მკვეთრად იზრდება და მაქსიმალურ დონეს 2013-14 წლებში აღწევს, ბოლო წლებში კი შემცირების ტენდენციის ხასიათდება.

საექსპორტო ქვეყნების არეალმა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. აზერბაიჯანი, რომელიც მთავარ საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენდა 2015 წლის ჩათვლით 10 წლის განმავლობაში, 2016 წელს დაკარგა თავისი ადგილი და მე-5 პოზიციაზე გადაინაცვლა. ამის მიზეზს კი უპირველესად მანქანების რეექსპორტის მკვეთრი შემცირება და თავად აზერბაიჯანში შექმნილი მწვავე ეკონომიკური მდგომარეობაც წარმოადგენს, ნავთობის ფასების კლებით გამოწვეული ვალუტის კურსის სწრაფი დევალვაცია და ეკონომიკური რეცესია. აშშ-ში, რომელიც 2007 წლიდან ათეულის უცვლელ წევრს წარმოადგენდა (2009 წლის გამოკლებით), 2016 წელს 3-ჯერ იკლებს ექსპორტი 2014-თან შედარებით და ათეულში პოზიციებს კარგავს. სამაგიეროდ მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებში ადგილს იკავებს 2 ახალი ქვეყანა გერმანიის და ჩინეთის სახით. ჩინეთში ექსპორტის ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემია,

რომლის მაჩვენებელიც ყოველწლიურად უმჯობესდება და 2016 წელს სამ უმსხვილეს საექსპორტო ბაზრებში იკავებს ადგილს. ფულად გამოსახულებაში ზრდა კიდევ უფრო ნათელს ჩინეთის ბაზრის მნიშვნელობას და არსებულ პოტენციალს, 2016 წელს ექსპორტი 6,5-ჯერ გაიზარდა 2012 წელთან შედარებით და 170 მლნ $ შეადგინა, მაშინ როდესაც 2010 წლამდე 10 მლნ $-საც კი იშვიათად აღწევდა ექსპორტის მოცულობა. სტაბილურ საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს იტალია და ბულგარეთი.

საქართველოს მთავარ საიმპორტო ქვეყნებს (იხ. დანართი N2) თურქეთი მუდმივად ლიდერობს, ასევე თითქმის უცვლელია პირველი ხუთეულის ქვეყნებიც, სადაც ჩინეთი სტაბილურად იკავებს მესამე უმსხვილესი იმპორტიორის სტატუსს. ათეულის მეორე ნახევრის ქვეყნების სია თითქმის მუდმივად განიცდის ცვლილებას. ათეულის მუდმივი წევრი იაპონია და რუმინეთი ვერ მოხვდნენ 2016 წლის პირველ 10 საიმპორტო ქვეყნებში, ჰოლანდიამ კი პირველად გადმოინაცვლა მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალში.

ძირითადი სავაჭრო ურთიერთობები საქართველოს შემდეგ ორ ქვეყნების ჯგუფთან გააჩნია: დსთ, რომელიც მოიცავს ყოფილი სსრკ-ში შემავალი ქვეყნების უმრავლესობას 9 წევრი და 1 ასოცირებული წევრი ქვეყნის სახით და ევროკავშირთან, რომელიც აერთიანებს 28 ევროპულ სახელმწიფოს.

ცხრილი N3.2

საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2012-2016 წლებში (მლნ $/%)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ ექსპრტ.	2 376,6/ 100%	2 910,6/ 100%	2 861,0/ 100%	2 204,7/ 100%	2 113/ 100%
ევროკავშირი	353,0/ 14,8%	607,4/ 20,9%	642,2/ 19%	645,2/ 29,3%	571/ 27%
დსთ	1244,6/ 52,4%	1621,3/ 55,7%	1465,3/ 51,2%	840,9/ 38,1%	739/ 35%
სულ იმპრტ.	8 056,4/ 100%	8 022,7/ 100%	8 601,8/ 100%	7 292,1/ 100%	7289.1/ 100%
ევროკავშირი	2 431,6/30,2%	2 266,3/28,2%	2 372/27,6%	2 118,6/ 29%	2 186/ 30%
დსთ	2 060,1/25,6%	2 177,6/27,1%	2 127,5/24,7%	1 968,4/ 27%	1 983/ 27,2%

*წინასწარი მონაცემები, წყარო: საქსტატი http://bit.ly/2EaTfbv

ცხრილი N3.2 კარგად ჩანს, რომ ექსპორტი ევროკავშირში ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება, კიდევ უფრო მკვეთრ ზრდას განიცდის მისი წილი მთლიან ექსპორტში, რაც მთლიანი ექსპორტის, განსაკუთრებით დსთ-ს ქვეყნებში შემცირებული გაყიდვებით აიხსნება. შედარებისთვის 2016 წელს ექსპორტმა დსთ-ს ქვეყნებში 2013 წლის 46%-მდე შეადგინა და 2,2-ჯერ იკლო, რაც პირველ რიგში მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში, აგრეთვე პარტნიორ უკრაინაში ექსპორტის მკვეთრი კლებით არის გამოწვეული.

იმპორტის კუთხით პარიტეტი დსთ-ს და ევროკავშირს შორის ბოლო 5 წლის მანძილზე ნარჩუნდება და მცირედი უპირატესობა ამ შემთხვევაში ევროკავშირის სასარგებლოდაა. საერთო ჯამში ექსპორტ-იმპორტის კვლევა შემდეგ სურათს იძლევა. ექსპორტის 65-70% და იმპორტის 55-60% ამ ორ საერთაშორისო პოლიტიკურ გაერთიანებებზე მოდის და საქართველოსთვის ვაჭრობა ამ ქვეყნების ჯგუფებთან უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის გეოეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით.

ექსპორტ-იმპორტის კუთხით საქონლის ძირითადი ათეული უცვლელია. ცვლილებებს მხოლოდ ამათუიმ საქონლის წილი განიცდის მთლიან ექსპორტში ან იმპორტში. საქონლის გარკვეული ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქციას წარმოადგენს, რეექსპორტის სახით გადის საქართველოდან და ექსპორტის სტრუქტურაშიც მოწინავე ადგილი უკავია. მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები (წამლები) ამის ნათელი დასტურია.

საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში (დიაგრამა N3.1) მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს 2011-2014 წლებში პირველი ადგილი ეკავა და მხოლოდ საექსპორტო ქვეყნებში დაწესებული შეზღუდვების შემდეგ დაკარგა მან პირველობა საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში. 2013 წლიდან მკვეთრად გაიზარდა თხილის, ღვინის და სპირტიანი სასმელების ექსპორტი, რაც ახალი საექსპორტო ბაზრების გაჩენით არის გამოწვეული. თხილის შემთხვევაში ევროკავშირის ბაზრის გახსნა (http://bit.ly/2u0Uh4q), ხოლო ღვინის და სპირტიანი სასმელების გაყიდვების ზრდა ძირითადად რუსეთის და

ჩინეთის ხარჯზე მოხდა. ზოგადად კი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში ძირითადად გადაუმუშავებელი სასარგებლო წიაღისეული (სპილენძი და ოქრო), სოფლის მეურნეობის პროდუქტი, მინერალური წყლები და რეექსპორტი ლიდერობს, რაც დადებით ტენდენციად ვერ ჩაითვლება და საქართველოში რეალური წარმოების დაბალ მაჩვენებელს მიუთითებს.

დიაგრამა N3.1

უმსხვილესი საექსპერტო საქონლის ათეული 2016 წელს %



წყარო: საქსტატი http://bit.ly/2tszBSs

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ჩამონათვალი (დიაგრამა N3.2) ბოლო წლების განმავლობაში ცვლილებებს არ განიცდის და ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილი პროდუქციით გამოირჩევა. ნავთობპროდუქტების და მსუბუქი მანქანების იმპორტი 2015-2016 წლებში წინა წლებთან შედარებით შემცირებას განიცდის, რაც პირველ შემთხვევაში მსოფლიოში ნავთობზე ფასების მკვეთრი კლებით არის განპირობებული. რეალურად ნავთობის იმპორტი ზრდას განიცდის, 2015 წელს 2014-თან შედარებით იმპორტმა თითქმის 100 ტონით მოიმატა (10%), მაშინ როდესაც ღირებულება 260 მლნ $-ით შემცირდა (28%). მსუბუქი მანქანების შემთხვევაში კი კლება რეექსპორტის შემცირებით არის განპირობებული.

დიაგრამა N 3.2

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2016 წელს %*



*არ მოიცავს C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტს წყარო: საქსტატი http://bit.ly/2tszBSs

მთლიანობაში საქართველო თითქმის ყველა ძირითადი საქონლის იმპორტს ახორციელებს ენერგო რესურსებით და მედიკამენტებით დაწყებული ხორბლით და ტექნიკით დამთავრებული, რაც ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის ხარისხს, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების დონეს დაბლა წევს და პოტენციური საფრთხის მაჩვენებელს ზრდის.

2) საქართველოს გეოეკონომიკური სტაბილურობისთვის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის გეოეკონომიკური და გეოფინანსური სტაბილურობის კუთხით. კერძოდ, დამატებითი ფულადი სახსრების შემოდინება სხვადასხვა სექტორის განვითარებას დააჩქარებს, რაც ერთი მხრივ დადებითად იმოქმედებს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამოსწორებაზე, იმპორტის შემცირების, უკეთეს შემთხვევაში ექსპორტის გაზრდის მიმართულებით და სავალუტო კურსის გამყარება-

დასტაბილურებას უზრუნველყოფს და ქვეყნის სავალუტო რეზერვებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

გრაფიკი N 3.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიერ 2014-2016 წლებში (ათასი $)



* საქსტატის წინასწარი მონაცემები, http://bit.ly/2BYN3O9

საინვესტიციო ურთიერთობები საქართველოს მსოფლიოს 70-მდე ქვეყანასთან გააჩნია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ბოლო წლებში აზერბაიჯანზე მოდის (გრაფიკი N3.1), რომელიც ინვესტიციებს ძირითადად ენერგეტიკის სექტორში ახორციელებს. სავაჭო პარტნიორებისგან განსხვავებით ინვესტიციები სხვადასხვა ქვეყნებიდან სტაბილურობით ნაკლებად გამოირჩევა. განსხვავებულ წელს კონკრეტული ქვეყნებიდან შესაძლოა ინვესტირების ბუმი ფიქსირდებოდეს, მაგალითად ჩინეთი 2014 წელს მნიშვნელოვან ინვესტორ ქვეყანას წარმოადგენდა 12%-იანი წილით და სლოვაკეთი, საიდანაც ინვესტიციებმა 55 მლნ $-ს მიაღწია. არც მანამდე და არც შემდგომ პერიოდში სლოვაკეთიდან პირდაპირი ინვესტიციები 5 მლნ $-იც კი არ დაფიქსირებულა.

აგრეთვე საყურადღებოა ინვესტიციების გადინებაც, რომელიც ფიქსირდება, მაგალითად საფრანგეთიდან 2016 წელს (86 მლნ $), რაც ფრანგული ბანკის-სოსიეტე ჯენერალის საქართველოდან გასვლას შეიძლება უკავშირდებოდეს, უკრაინული კაპიტალის გადინება 2015 წელს კი უკრაინის კრიზისით და უკრაინული პრივატ-ბანკის პრობლემებით შეიძლება აიხსნას.

საქართველოს ინვესტორი ქვეყნებიდან შეიძლება სხვადასხვა ჯგუფები გამოვყოთ:

- ე.წ. ოფშორული ინვესტიციები. ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან, პანამიდან, კვიპროსიდან, სხვადასხვა ეგზოტიკური ჯუჯა სახელმწიფოებიდან რეალურად გაურკვველი წარმომავლობის ინვესტიციებს წარმოადგენს. მსგავსი სახის ინვესტიციები მთლიან ინვესტიციების 25-30%-ს ქმნის.კონკრეტული კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები. მაგალითად, ინვესტიციები ჩინეთიდან ძირითადად ერთ კომპანიას უკავშირდება ჰუალინგ ჯგუფს (http://bit.ly/2sRirhR), რომელიც სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს საქართველოში და ბოლო 5 წლის მანძილზე მნისვნელოვნად გაზარდა ინვესტიციები საქართველოში და აზერბაიჯანის ნავთობკომპანია სოკარი (http://bit.ly/2sAvlwh), რომელიც ენერგეტიკის სექტორში მოქმედებს. მათთან ერთად შეიძლება განვიხილოთ გაერთიანებული არაბული საემიროებიდან ინვესტორი ორი მსხვილი ჯგუფი: რაკიინი და დაბი ჯგუფი. მსგავსი სახის ინვესტიციები მთლიანი ინვესტიციების 30-40%-ს ქმნის.
- სხვა დანარჩენი. ქვეყნები, საიდანც ინვესტორი კომპანიები შედარებით გარკვეულია, საჯაროა მათი მონაცემები და ინვესტორებიც არ წარმოადგენენ უმეტესწილად ერთ ძირითად კომპნიას. დივერსიფიცირებულია კომპანიებიც და ეკონომიკის სექტორებიც. ესენი არიან ინვესტორები თურქეთიდან, რუსეთიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. მსგავსი სახის ინვესტიციებზე მოდის მთლიანი ინვესტიციების 40-50%.

2016 წელს ინვესტიციების ზრდა გამოწვეული იყო რეინვესტირების მაღალი (32%-ი) მაჩვენებლით სხვა წლებთან შედარებით, რაც ინვესტორების ნდობის ზრდით და ოპტიმისტური დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას ქვეყნის მიმართ. დადებითი

ფაქტორია აგრეთვე სავალო ვალდებულებების 674 მლნ $-ით შემცირება, რაც ფირმების მიერ აღებული კრედიტების გასტუმრებას და შესაბამისად ლიკვიდობის ზრდას მიუთითებს.

ცხრილი N 3.3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012-2016 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	**912**	**942**	**1758**	**1564**	**1645**
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	73	140	434	585	645
ენერგეტიკა	179	245	190	124	203
მშენებლობა	42	50	317	111	163
საფინანსო სექტორი	163	166	115	179	136
დამამუშავებელი მრეწველობა	168	100	205	67	120
სასტუმროები და რესტორნები	18	-13	125	139	111
უძრავი ქონება	53	42	139	90	70
სამთომოპოვებითი მრეწველობა	5	44	43	88	38
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	18	1	-10	140	27
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	16	12	12	15	10
დანარჩენი სექტორები	178	156	188	28	122

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქსტატი, http://bit.ly/2BYN3O9

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩამონათვალს, როგორც N3.3 ცხრილიდანაც ჩანს ტრანსპორტი-კავშირგაბმულობა და ენერგეტიკა ლიდერობს. დაახლოებით თანაბარი წილით არის წარმოდგენილი საფინანსო სექტორი და მშენებლობა, თუმცა საფინანსო სექტორი სტაბილური ინვესტიციების დონით გამოირჩევა. ბოლო პერიოდში მზარდი ინვესტირების დონით გამოირჩევა სასტუმროების და რესტორნების სექტორი, რაც პირდაპირ მიუთითებს ტურიზმის სექტორის ზრდას. ყველაზე ნაკლები ინვესტიციები სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის სექტორში ხორციელდება, რაც პირველ შემთხვევაში დარგის მიმზიდველობის დაბალი დონით, ჯანდაცვის სექტორში კი უფასო ჯანდაცვის პროგრამით და მისგან მიღებული ბენეფიტებით აიხსნება.

3) ანგარიშგასაწევ ფაქტორს გეოეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი მართვა წარმოადგენს. სახელმწიფო

საგარეო ვალი ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით. სახელმწიფო საგარეო ვალი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებს წარმოშობილს სხვა სახელმწიფოების, ფინანსური ინსტიტუტების და კერძო ინვესტორების წინაშე. იგი სამთავრობო და ეროვნული ბანკის ვადებულებებისგან შედგება და მისი სწორად მართვა, მშპ-სთან მიმართებაში ზღვარის დაცვა და კონტროლი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან არ დადგეს დროულად გადახდის ან სულაც გადახდის შეუძლებლობის საფრთხე.

გეოეკონომიკური სტაბილურობის კიდევ ერთი ინსტრუმენტი სწორედ სახელმწიფო ვალის სწორად მართვა და საერთაშორისო მსხვილ ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმებული მოქმედებაა, რაც თავიდან აგვარიდებს გეოეკონომიკურ სირთულეებს: ქვეყნის მიერ ვალების აღების არარაციონალურ ზრდას, მშპ-ს ეკონომიკურ ზრდასთან მისი თანაფარდობის უფრო მაღალ მატებას, ვალების გადახდის მოუქნელ გრაფიკს და შესაბამისად დეფოლტს.

გრაფიკი N 3.2



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://bit.ly/2Ek90ML

სახელმწიფო ვალის გრაფიკული ანალიზი კარგად ასახავს ბოლო 5 წლის მანძილზე ვალის მთლიან შეფარდებას მშპ-სთან მიმართებაში (გრაფიკი N3.2). ვალის შეფარდება მშპ-სთან შედარებით მატებას განიცდის როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო ვალთან მიმართებაში. განსაკუთრებული ზრდა საგარეო ვალის კუთხით 2015-2016 წლებში ფიქსირდება, რაც ლარის გაუფასურებით არის მეტწილად განპირობებული, როგორც დოლართან ისე ევროსთან. საგარეო ვალი ძირითადად სწორედ ამ ვალუტებშია განთავსებული.

სახელმწიფო საგარეო ვალის 70%-ზე მეტი მრავალმხრივი კრედიტორების წინაშე არსებულ სესხებზე მოდის (იხ. დანართი N3), ეროვნული ბანკის ფინანსური ვალდებულებები კი, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ გააჩნია, კლებადია და 2016 წელს 2012 წელთან მიმართებაში 64-ჯერ შემცირდა. ორმხრივი კრედიტორების წინაშე არსებული ვალი ყოველწლიურად მცირდება, სამაგიეროდ იზრდება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების (მრავალმხრივი კრედიტორების) მიერ გაცემული სესხების ოდენობა, რაც მთლიანი ვალის ზრდასაც უწყობს ხელს.

საქართველოს ამჟამად 17 ქვეყანასთან და 8 საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციასთან/ბანკთან გააჩნია ფინანსური ვალდებულებები. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია მსოფლიო ბანკი და მასში შემავალი ბანკის ჯგუფის წევრი ორგანიზაციები, კერძოდ რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), საერთაშორისო განვითარების სააგენტო (IDA), ინვესტიციების გარანტიის მრავალმხრივი სააგენტო (MIGA) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). IBRD-ის წევრი საქართველო გახდა 1992 წელს. მოგვიანებით, 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა IDA-ში, ხოლო შემდგომ 1995 წელს მიუერთდა IFC-ს. ამჟამად მსოფლიო ბანკი ახორციელებს 739 მლნ. $-ის ღირებულების 13 პროექტს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 2014 წელს საქართველომ დაამთავრა IDA-სგან სესხების აღება და მხოლოდ რეკონსტრუქციის ბანკი წარმოადგენს მთავარ მსესხებელს, რადგანაც საქართველო დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან მაღალი საშუალო შემოსავლის

მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადავიდა (http://bit.ly/2ua6Ny3). ბანკის ჯგუფში შემავალი კიდევ ერთი ორგანიზაცია-IFC კი კერძო სექტორის დაკრედიტებას და მიზნობრივი სესხების გაცემას ახდენს ქართველ მეწარმეებზე.

პირველი საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლის წევრიც საქართველო გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდია (IMF) 1992 წელს, რომლის წევრობაც აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრობის. სავალუტო ფონდი ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს და სესხებს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მიმდინარე მოკლევადიანი საჭიროებებისთვის გასცემს, თუმცა ბოლო პერიოდში მისი საჭიროება აღარ არსებობს და შესაბამისად ვალდებულებებიც იკლებს.

საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკი (ADB), რომლის წევრიც 2007 წლიდან გახდა საქართველო და კიდევ ერთ მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს საქართველოსთვის ინფრასტრუქტურის და რეგიონული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო რესურსების მოსაზიდად. ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომლის წევრსაც საქართველო არ წარმოადგენს და ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD), რომლის წევრიც 1992 წლიდანაა, ახორციელებენ როგორც სამთავრობო, ასევე კერძო პროექტების დაფინანსებას, ასევე გასცემენ სესხებს ქართულ ბანკებზე, რითაც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფენ საქართველოს (http://bit.ly/1CLBG9J).

ცხრილი N3.4

უმსხვილესი სახელმწიფო საგარეო მევალე ქვეყნები/ორგანიზაციები 2012-2016 წლებში

(ათასი $)

ქვეყნები/ორგანიზაციები	2012	2013	2014	2015	2016
მსოფლიო ბანკი (IDA)	1,293,205	1,347,321	1,285,333	1,212,828	1,150,990
აზიის განვ. ბანკი(ADB)	349,657	472,902	604,711	757,604	928,512
მსოფლიო ბანკი (IBRD)	313,398	396,813	485,792	633,150	681,409

ევროპის საინ. ბანკი(EIB)	114,661	197,229	241,917	233,271	267,905
გერმანია	331,321	347,703	296,152	262,101	253,387
იაპონია	84,843	109,547	139,426	172,874	190,787
სავალუტო ფონდი(IMF)	744,004	358,781	211,852	130,258	113,193
ევროპის რეკ. ბანკ(EBRD)	99,775	106,337	96,053	83,137	90,892
საფრანგეთი	51,625	74,098	61,447	60,340	90,065
რუსეთი	106,341	100,426	93,932	86,823	79,074

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://bit.ly/2Ek90ML

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ორი ფინანსური ინსტიტუტი: IBRD და IDA მიერ გაცემული სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სხვა ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხების მოცულობას და ჯამში მთლიანი ვალის 35%-ს წარმოადგენს. (ცხრილი N3.4) მცირდება IDA-ს მიმართ დავალიანების მოცულობა, IBRD-სგან მოზიდული სავალუტო სახსრების წილი კი იზრდება. ეს დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან პირველი მათგანი მსოფლიოს ყველაზე უღარიბეს ქვეყნებს აფინანსებს, რეკონსტრუქციის ბანკი კი კრედიტუნარიანი საშუალო და დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის გასცემს სესხებს (http://bit.ly/1NUp0lU).

საქართველოს ურთიერთობა დაფინანსების ახალ სანდო პარტნიორებთან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გეოეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით. სწორედ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ აზიის და ევროპის საინვესტიციო ბანკებთან, გერმანიის, საფრანგეთის და იაპონიის სანდო, პარტნიორი მთავრობებიდან მიღებული სესხები. სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებების კლება დადებითად უნდა მივიჩნიოთ. გარდა იმისა რომ ზოგადად ვალის შემცირება კარგია, სავალუტო ფონდი სესხებს ფინანსური და მონეტარული მიზნების მისაღწევად იყენებს და დაფინანსებას ფინანსური არასტაბილურობის პირობებში გამოყოფს. რუსეთის წინაშე არსებული ვალის გეგმაზომიერი შემცირება, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების წინაშე

არსებული მცირე ვალდებულებები სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ.

სავალუტო კურსი, როგორც მაკროეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, გეოეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მექნიზმად გამოიყენება. ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, რომელთა უმეტესობასაც ნავთობით მდიდარი ან/და ავტორიტარული რეჟიმებით გამორჩეული სახელმწიფოები წარმოადგენენ, საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსი მოქმედებს და ჩარევა სავალუტო ბაზარზე მხოლოდ უკიდურს შემთხვევაში ხორციელდება ეროვნული ბანკის მხრიდან. საქართველოს ეროვნულ ვალუტა-ლარზე გავლენას ძირითადად 4 უცხოური ვალუტა: აშშ დოლარი, ევროკავშირის ევრო, რუსული რუბლი და თურქული ლირა ახდენს. შესაბამისად ამ ვალუტებთან მიმართებაში სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

გრაფიკი N3.3



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი http://bit.ly/2nGj7lu

2012 წლიდან აშშ დოლარის და ევროს კურსი გამყარების ტენდენციით გამოირჩევია, რამაც შეუქცევადი ხასიათი 2014 წლის ბოლოს მიიღო, როდესაც ლარი დოლართან

მიმართებაში მკვეთრად გაუფასურდა (გრაფიკი N3.3). დანარჩენ 2 ვალუტასთან მიმართებაში ლარი პირიქით, პოზიციებს იმყარებს. თუმცა თუ ლირა სისტემატურად უფასურდება, რუბლი მკვეთრ და ნახტომისებურ ვარდნას და ზრდას აფიქსირებს, რაც არასტაბილურობის განცდას ზრდის ამ ვალუტასთან მიმართებაში. 2014 წლიდან გაძლიერებული ტენდენციები ძირითადად ნავთობის ფასების მკვეთრი კლებით და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლით არის განპირობებული, რუსეთის ეკონომიკა კი პირიქით რეცესიაში შევიდა, რაც ნავთობის კლებასთან უკრაინასთან საომარი კონფლიქტითაც შეიძლება აიხსნას. თურქეთის შემთხვევაში კიპოლიტიკური არასტაბილურობა, ტერაქტები, სირიის კონფლიქტი და ევროპასთან ურთიერთობის დაძაბვა ვალუტის სისტემატურ გაუფასურებას განაპირობებს. ქართული ეკონომიკის უზარმაზარი დამოკიდებულება დსთ-ს სივრცეზე (უპირველესად რუსეთზე, უკრაინაზ და აზერბაიჯანზე) უარყოფითად აისახება დოლარის და ევროს მიმართ ლარის გაცვლით კურსზე, ვერ ინარჩუნებს მეტ-ნაკლებად სტაბილურ სალუტო კურსს და მკვეთრ გაუფასურებას განიცდის.

4) მიგრაცია და ფულადი გზავნილები უცხოეთიდან მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს, რადგან უცხოეთიდან განხორციელებული გზავნილები დღეს საქართველოს სტაბილურობის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და შესაბამისად, ქვეყნებზე, საიდანაც ხდება მსგავსი გზავნილები დამოკიდებულების ხარისხს ზრდის. გარდა ამისა ფულადი გზავნილები მეტ-ნაკლებად ნათელ სურათს იძლევა თუ სად საქმიანობენ და იმყოფებიან საქართველოდან წასული ემიგრანტები, გადმორიცხვების ზრდამ ან კლებამ შეიძლება დამატებითი ინფორმაცია მოგვცეს ქართველი მიგრანტების რაოდენობის ცვლილების შესახებ. ასევე საქართველოდან ფულადმა გადარიცხვებმა, რომლებმაც ზრდა განიცადა ბოლო პერიოდში, შეიძლება ინფორმაცია მოგვცეს იმიგრანტების თაობაზე.

ბოლო პერიოდში გადარიცხვები საქართველოდან მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება (დანართი N4), რასაც ვერ ვიტყვით ჩარიცხვებზე. კლება 2014 წელს დაიწყო და მომდევნო წელს 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც

ძირითადად რუსეთიდან გადმორიცხვების კლებით აიხსნება, საიდანაც გზავნილებმა 40%-ით იკლო წინა წელთან შედარებით.

ცხრილიN3.5

ფულადი გადმორიცხვები ქვეყნებიდან 2012-2016 წლებში (მლნ $)

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016
რუსეთი	747,5	801,4	709,2	432,7	394,5
აშშ	74,0	74,9	82,1	100,0	127,6
საბერძნეთი	159,6	198,0	204,8	117,7	124,5
იტალია	102,9	110,2	121,5	109,0	121,2
თურქეთი	30,0	41,7	64,3	69,0	87
ისრაელი	16,0	19,7	23,6	32,9	60,7
ესპანეთი	27,8	25,4	28,1	26,8	30,8
გერმანია	13,2	17,8	24,2	26,7	29,8
უკრაინა	47,4	45,6	30,8	20,9	20,8
დიდი ბრიტ.	19,7	18,6	15,1	16,0	17,3

წყარო: ეროვნული ბანკი, http://bit.ly/1N3PxLy

ყველაზე დიდი ფულადი გზავნილები მუდმივად რუსეთიდან ფიქსირდება, რომელმაც პიკს 2013 წელს მიაღწია და მთლიანი გადმორიცხვების ნახევარზე მეტი შეადგინა (ცხრილი N3.5). მიუხედავად მომდევნო წლებში რუსეთიდან გადმორიცხვების მკვეთრი კლებისა, 2016 წელს რუსეთიდან გადმორიცხვები 3-ჯერ აღემატება მეორე ადგილზე მყოფი ქვეყნიდან, აშშ-დან გადმორიცხვებს და მთლიანი მაჩვენებლის თითქმის 35%-ია, რაც რუსეთზე დამოკიდებულების მაღალ დონეზე მიუთითებს და დადებით ფაქტორად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი საქართველოსთვის საფრთხის შემცველ ქვეყანას წარმოადგენს.

გარკვეულწილად ფულადი გზავნილები უმეტესწილად გამომგზავნ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

ისრაელის გარდა, სადაც ბოლო წლებში ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ბევრი ქართველი წავიდა და არალეგალურად საქმიანობს, ყველა სხვა ქვეყნიდან გადმორიცხვების ზრდა ან კლება ეკონომიკური ფაქტორებით არის გამოწვეული.

გადმორიცხვების შემცირება როგორც რუსეთიდან, აგრეთვე უკრაინიდან და საბერძნეთიდან სწორედ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას უკავშირდება, რაც უკრაინის შემთხვევაში 2014 წელს დაწყებული ომით არის გამოწვეული, რუსეთიდან კლების მიზეზი საერთაშორისო სანქციებით და ნავთობის ფასის კლებით გამომდინარეობს, ხოლო საბერძნეთი კვლავ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის და ევროკავშირთან და საერთაშორისო კრედიტორებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

5) კრიმინალი ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიმართულებით. გეოეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე გავლენას ახდენს როგორც კრიმინალის დონე, ასეთვე თავად კრიმინალის მთლიან მაჩვენებელში დანაშაულის კონკრეტული სახეები, მაგალითად ეკონომიკური დანაშაული.

საქართველოს შემთხვევაში ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი ბოლო ათი წლის მანძილზე საკმაოდ ცვალებადია (გრაფიკი N3.4). თუ 2006 წელს 62 ათასზე მეტი დანაშაული დაფიქსირდა, 2011 წელს ეს რიცხვი თითქმის განახევრდა და 32 ათასს მცირედით აღემატებოდა. ბოლო 3 წლის განმავლობაში რეგისტრირებული კრიმინალი 36 ათასის ფარგლებში მერყეობს.

გრაფიკი N3.4

წყარო: შსს, http://bit.ly/2oAARAG

2016 წელს რეგისტრირებული 36 ათასამდე დანაშაულიდან თითქმის 37% საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს მოიცავს (დანართი N5). ეს კატეგორია აერთიანებს ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, თაღლითობას, გამოძალვას, ნივთის დაზიანების და სხვა მხრივ ხელყოფის ფაქტებს. საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. მისი ხელყოფის ხშირი შემთხვევები ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით და სიღარიბით შეიძლება იყოს განპირობებული. ამასთან ერთად საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი ინვესტიციების, პირველ რიგში კი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფითად აისახება.

ეკონომიკური კუთხით აღსანიშნავია შემდეგი კატეგორიები: დანაშაული სამეწარმეო ან ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, ფულადსაკრედიტო სისტემაში, საფინანსო საქმიანობის სფეროში, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ, რომლებიც სხვა დანაშაულის კატეგორიაში ერთიანდებიან და უმნიშვნელო გავლენას ახდენენ მთლიან სტატისტიკაზე. სამოხელეო დანაშაული, რომელიც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ბოროტად გამოყენებას, გულგრილობას და სიყალბეს, აგრეთვე ქრთამის აღება-მიცემას მოიცავს, კორუფციის

საზომ ერთ-ერთ პუნქტადაც შეიძლება იყოს განხილული. მიუხედავად მისი მცირე მასშტაბებისა, იგი მოდუნების და თვითკმაყოფილების საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს.

პატიმართა რაოდენობა საქართველოში 2012 წლის შემდეგ განახევრდა და სტაბილურად 9-10 ათასის ფარგლებშია. 2016 წლის მონაცემებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში 9334 პატიმარი იმყოფებოდა, რითაც მსოფლიოში 48-ე ადგილზეა (http://bit.ly/1plWDg3), ციხეების დატვირთის მაჩვენებელი კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია და 201-ეა. მსჯავრდებულთა მიმართ ხშირად გამოიყენება ჯარიმის და პირობითი მსჯავრის პრაქტიკა. გაიზარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის, როგორც სასჯელის ღონისძიების მაჩვენებელი. თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა მხოლოდ 25%-ის წინააღმდეგ გამოიყენება, რაც ჩადენილი დანაშაულების სიმსუბუქეზე მიუთითებს.

კორუფცია კიდევ ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელიც გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის და მისი მაღალი დონე შესაძლოა სერიოზული საფრთხე აღმოჩნდეს ქვეყნის ფუნქციონირებისთვის. კორუფციის დონეს ქვეყნებში ყველაზე უკეთ კორუფციის აღქმის ინდექსი გამოხატავს, რომელიც მოიცავს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობა) როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანგირებას კორუფციის აღქმის მიხედვით. 2012 წლიდან კვლევა ახალი მეთოდოლოგიით ტარდება, რომელიც სხვადასხვა წლის შედეგების შედარების შესაძლებლობას იძლევა. კორუფციის აღქმის ინდექსი სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას შეიცავს.

კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 2012 წელს 52 ქულა მიიღო (51-ე ადგილი), 2013 წელს - 49 ქულა (55-ე ადგილი), 2014 წელს - 52 ქულა (50-ე ადგილი), 2015 წელს - 52 ქულა (48 ადგილი). 2016 წელს ქვეყანამ საგრძნობლად გაიუმჯობესება პოზიცია და 57 ქულით მსოფლიოში 44 ადგილზეა (http://bit.ly/2D8I7XY), თუმცა კვლავ რჩება

გამოწვევები და სასურველ ყველაზე ნაკლებკორუმპირებულ სახელმწიფოებში შესასვლელად საჭიროა ეფექტური ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება, მაკონტროლებელი და სამართალდამცავი უწყებების გაძლიერება და მათი მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

6) გეოეკონომიკური ინსტრუმენტებიდან, რომლითაც ზემოქმედების ბერკეტები გაჩნია საქართველოს რეგიონში და საკუთარი როლის წარმოჩენას ყველაზე უკეთ ახერხებს ეს გეოსტრატეგიული მდებარეობაა. რეგიონი, სადაც საქართველო მდებარეობს ენერგორესურსების სატრანზიტო, სავაჭრო და სატრანსპორტო გზების მნიშვნელოვან არტერიას წარმოადგენს. ეს ყოველივე კი ზრდის ქვეყნის, როგორც გეოეკონომიკური მოთამაშის როლს და ფუნქციას.

საქართველოს აღმოსავლეთით ნავთობით და გაზით მდიდარი რეგიონია შუა აზიის სახით, რომელიც ცდილობს საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტის ახალი მარშრუტების მოძიებას და არსებულის დივერსიფიკაციას, რათა ერთ კონკრეტულ სატრანზიტო დერეფანზე არ იყოს დამოკიდებული. მსგავსი მოტივაცია ამოძრავებს ამ ენერგორესურსების ძირითად მომხმარებელს- ევროპას, რომელსაც აგრეთვე არ სურს ერთ მიმწოდებელზე და ერთ სატრანზიტო დერეფანზე იყოს დამოკიდებული. კავკასია კი ყველაზე მოკლე და მოსახერხებელ მარშრუტს წარმოადგენს ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად. ამიტომ აქტიურად მიდის მსჯელობა ახლი პროექტები განხორციელებაზე და არსებულის გაფართოებაზე.

საქართველოში ამჟამად მოქმედებს ორი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), იგივე ბაქო-სუფსა და ორი გაზსადენი: სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP), იგივე ბაქო-თბილისი-ერზერუმი და ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი (http://bit.ly/2u8Gg4f).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს აზერბაიჯანში აზერი-ჩირაგ-გიუნეშელის საბადოზე მოპოვებული ნავთობი თურქეთში, ჯეიჰანის პორტში გადააქვს (რუკა N3.1). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მსოფლიოში სიგრძით მეორე მილსადენია. მისი სიგრძეა 1768 კმ; აქედან 229 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გადის. მილსადენს აქვს 8

სატუმბო სადგური, მათ შორის ორი საქართველოში. ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2005 წელს შევიდა. მისი წარმადობა დღეში 1მლნ ბარელია.

დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) ბაქო-სუფსის მილსადენის სახელითაა ცნობილი. დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი BP-ის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში და 1999 წლიდან ფუნქციონირებს. ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობის მილსადენის მშენებლობა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიამ დააფინანსა. მილსადენის მშენებლობის ფარგლებში ასევე მოხდა სუფსის ტერმინალის მშენებლობაც. ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის სიგრძე 830კმ-ია (საქართველოს მონაკვეთი 375კმ). მილსადენის წარმადობა დღეში 145 ათასი ბარელია (http://bit.ly/2uQqfxH).

რუკა N3.1

კავკასიის რეგიონში არსებული გაზ და ნავთობსადენები

წყარო: http://bit.ly/2ESzP8E

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით აზერბაიჯანში, შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული გაზის თურქეთში ტრანზიტი ხორციელდება. გაზსადენის სიგრძე 692 კმ, საქართველოს მონაკვეთის სიგრძე კი - 249 კმ-ია. სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი უმეტესწილად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის

გაყვანილი. სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის გამოცდისა და ამუშავებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაზი 2006 წლის სექტემბერში გაუშვეს. მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, საქართველომ მილსადენიდან პირველი გაზი 2007 წლის იანვარში მიიღო. მილსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა წელიწადში 22-24 მილიარდ კუბური მეტრია (http://bit.ly/2u8Gg4f).

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. გაზსადენით, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება და საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება (221 კმ), შესაძლებელია ბუნებრივი აირის მიწოდება საქართველოსა და სომხეთისთვის. "საქართველოს ათასწლეულის ფონდის“ პროექტის ფარგლებში, გაზსადენს ძირეული რეაბილიტაცია 2006-2009 წლებში ჩაუტარდა. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა წელიწადში 10 მილიარდი კუბური მეტრია.

ნავთობის ტრანსპორტირება 2009 წლამდე ძირითადად BTC ნავთობსადენით ხორციელდებოდა (იხ. დანართი N6), შემდგომ წლებში კი დატვირთვა საგრძნობლად გაიზარდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენში და საშუალოდ წლიურად 30 მლნ. ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება. ჯეიჰანის მილსადენის დატვირთვა საშუალოდ 70%-ს შეადგენს. საერთო ჯამში მილსადენებით განხორციელებულმა ნავთობის ტრანსპორტირებამ მაქსიმუმს 2009-2010 წლებში მიაღწია.

ჩრდილოეთი-სამხრეთის გაზსადენით, რომელიც სომხეთს აწვდის გაზს საშუალოდ ყოველწლიურად 2 მლრდ. $მ^3$ მიეწოდება და მილსადენის მთლიანი დატვირთვა 1/5-ს არ აღემატება. სამხრეთ კავკასიური მილსადენით გაზის ტრანსპორტირება უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ზრდას განიცდის (დანართი N7), რაც აზერბაიჯანის მხრიდან მოპოვების გაზრდას უკავშირდება. გაზსადენის მთავარი მომხმარებლები აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთია და შესაბამისად სანახევრო დატვირთვითაც არ ფუნქციონირებს. 2016 წლის მონაცემებით, როდესაც ტრანსპორტირებამ არსებობის მანძილზე მაქსიმუმი 6,23 მლრდ. $მ^3$ შეადგინა, სრული მოცულობის 26-28% გადაიზიდა.

საქართველოს გავლით გაზის ტრანსპორტირების რამდენიმე პროექტი არსებობდა და არსებობს, რომლის განხორციელებაც გაზის მომწოდებლების ზრდაზე შუა აზიიდან,

ეკონომიკური მომგებიანობის დასაბუთებაზე და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე არის დამოკიდებული.

ევროპაში გაზის ტრანზიტის პირველ პროექტს „ნაბუკო“-ს მილსადენი წარმოადგენდა, რომელიც უკვე არსებულ სამხრეთ კავკასიის მილსადენს შეუერთდებოდა და გაზს ცენტრალურ ევროპას მიაწვდიდა, ავსტრიას, უნგრეთს და ბალკანეთს, თუმცა პროექტი ეკონომიკურად წამგებიანი აღმოჩნდა და რუსეთიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მის განხორციელებას, რის შედეგადაც პროექტი ჩავარდა.

„თეთრი ნაკადი“ კიდევ ერთ განუხორციელებელ პროექტს მიეკუთვნება და ნაკლებად რეალისტურად გამოიყურება (http://bit.ly/2vcc0lS). ის საქართველოს პორტების გავლით ორი მარშრუტით უნდა ჩასულიყო ევროპაში: პირველი რუმინეთის გავლით მოიცავდა ევროპისთვის გაზის მიწოდებას, მეორე კი უკრაინის, კერძოდ ყირიმის გავლით გაზს უკრაინას და პოლონეთს მიაწვდიდა.

რუკა N3.2

დაგეგმილი ენერგოპროექტები



წყარო: ბანკები და ფინანსები http://bit.ly/2nMfBpD

მეორე პროექტი ყირიმის ოკუპაციის შემდეგ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. რაც შეეხება რუმინეთის გავლით ევროპისთვის გაზის მიწოდებას (რუკა N3.2), ის რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: პირველი, უნდა განხორციელდეს თურქმენული გაზის მიწოდება ტრანსკასპიური მილსადენით აზერბაიჯანისთვის, რადგან მხოლოდ

აზერბაიჯანს არ შეუძლია თავისი რესურსებით მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც თავდაპირველად 45 მლრდ. $მ^3$-ს მოიცავს და მზარდია. მეორე კი ფინანსური საკითხია, აუცილებელია ინვესტორების მოძიება, რადგან საკმაოდ მსხვილი პროეტია და საქართველოდან შავი ზღვის ფსკერის გავლით რუმინულ პორტ კონსტანცაში უნდა ჩავიდეს (http://bit.ly/2vcc0lS).

TAP (ტრანს-ადრიატიკის მილსადენი) და TANAP (ტრანს-ანატოლიის მილსადენი) სხვა განხილულ პროექტებთან შედარებით მეტი მხარდაჭერა მოიპოვეს. ეს პროექტი აზერბაიჯანული გაზის საბერძნეთის და იტალიისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს. მისი განხორციელების შემთხვევაში უკვე არსებული სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება იგეგმება, ერზერუმიდან კი დამატებით ახალი მილსადენები აშენდება, რომელთა ნაწილიც ადრიატიკის ზღვის ფსკერზეც გაივლის. მისი დატვირთვა პირველ ეტაპზე აზერბაიჯანული გაზით იგეგმება, რომელსაც შაჰ-დენიზის საბადოდან განხორციელდება და წარმადობა 16-31 მლრდ. $მ^3$ იქნება.

ტრანსანატოლიის და ტრანსადრიატიკის პროექტები, ისევე როგორც თეთრი ნაკადი სამხრეთის გაზის დერეფნის (SGC) ნაწილია. ამ ტერმინს ევროკავშირი იმ დაგეგმილი პროექტების აღსაწერად იყენებს, რომელიც კასპიური და ახლო აღმოსავლეთის გაზის ევროპაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს და ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოებას გააუმჯობესებს. აღნიშნული პროექტების ამოქმედებით ევროპა რუსეთის, ჩრდილოეთის ზღვის და ჩრდილოეთი აფრიკის მიმართ დამოკიდებულების შემცირებას მოახერხებს.

ამ პროექტების ამოქმედებით საქართველოს როლი და მნიშვნელობა, როგორც გეოპოლიტიკური, ისე გეოეკონომიკური მოთამაშის მკვეთრად გაიზრდება, გაიზრდება ენრგოუსაფრთხოებაც და სატრანზიტო-ეკონომიკური პოტენციალის ათვისება მოხდება.

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის გახსნა, ანაკლიის პორტის ამოქმედება და ახალი აბრეშუმის გზის პროეტების განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის გეოეკონომიკურ როლს ქვეყნისას. აღნიშნული პროექტების განხორციელებით შესაძლებელი იქნება ირანიდან, ინდოეთიდან და ჩინეთიდან წამოსული ტვირთების თურქეთში და ევროპაში უმოკლესი მარშრუტით გადაზიდვა.

რუკა N3.3

სამხრეთ კავკასიაში არსებული რკინიგზის ხაზები

წყარო: საქართველოს რკინიგზა http://bit.ly/2nMvj44

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა თურქეთს საშუალებას მისცემს რკინიგზის საშუალებით მოახდინოს ტვირთების გადაზიდვა აზერბაიჯანის, შუა აზიის და რუსეთის მიმართულებით (რუკა N3.3). პროექტის განხორციელებით, პირველ ეტაპზე მოხდება დაახლოებით 6,5 მლნ. ტონა ტვირთის გატარება, რაც შემდომში 17 მლნ.-მდე გაიზრდება. რკინიგზის მშენებლობის დასრულების და გახსნის თარიღი რამდენჯერმე გადაიდო.

ახალი აბრეშუმის გზის პროექტი, რომლის ინიციატორიც ჩინეთია, კიდევ ერთ პოტენციურ მომხმარებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის. მისი პროექტი 2 ძირითად მარშრუტთან ერთად, ჩრდილოეთი, რომელიც ციმბირის გავლით მიდის ევროპაში და სამხრეთი, შუა აზიის და ირანის გავლით უკავშირდება ევროპას, განიხილება მესამე სატრანსპორტო გზაც, რომელიც კავკასიას და საქართველოს გაივლის. აღნიშნული განიხილება „კასპიის სატრანზიტო დერეფნის“ შემადგენელ კომპონენტად, რომელიც ჩინურ ტვირთებს შუა აზიური და კავკასიური (აზერბაიჯანი-საქართველო) ქვეყნების გავლით თურქეთში და ევროპაში გადაზიდავს და პირიქით,

ევროპული და თურქული საქონელი ჩინეთში მოხვდება. საქართველოს შეუძლია ტვირთების გადაზიდვა წაახალისოს ქართულ პორტებამდე და შემდეგ შავი ზღვის გავლით მოხვდეს ევროპაში, რაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ამოქმედების შემდეგ, რომლის მთავარ უპირატესობას საშუალო და დიდი ზომის (პანამაქსის ტიპის, 8000-8500 კონტეინერს იტევს) გემების მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს, რეალობად იქცევა.

სამხრეთ კავკასიაზე გამავალი თანამედროვე აბრეშუმის გზის ძირითად მარშრუტად თამოსაყალიბებლად საჭიროა ყველა მონაწილე სახელმწიფომ განავითაროს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ჩამოაყალიბოს საერთო სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკა, შეამცირონ ბიუროკრატია, რაც ახალი აბრეშუმის გზის ამ პროექტს სანდოს, მოსახერხებელს, სწრაფს და კონკურენტულს გახდის სხვებთან მიმართებაში (http://bit.ly/2vd0FCl).

3.4 საქართველოს ძირითადი გამოწვევები - გეოეკონომიკური უსაფრთხოება

საქართველოს არსებული გეოეკონომიკური მდგომარეობის და გამოწვევების უკეთ გასაანალიზებლად საჭიროა მოვახდინოთ მისი მონაცემების შედარება სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან. ამ ქვეყნების ნაწილმა უკვე მოახერხა დაესრულებინა ტრანსფორმაციის ეტაპი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიგს შეუერთდნენ, გახდნენ ევროკავშირის წევრები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ყოფილი სოციალისტური ბლოკის წევრი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპული ქვეყნები: ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ხორვატია, სლოვენია, რუმინეთი და ბულგარეთი. რუსეთი და ჩინეთი გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთამაშეებს წარმოადგენენ და გეოეკონომიკური თუ სხვა კუთხით ამ ქვეყნებთან საქართველოს შედარება ნაკლებად რეალისტური და პროდუქტიული იქნება.

შესადარებლად ყველაზე გამართლებული ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ყოფილი სოციალისტური და პოსტ-საბჭოთა ქვეყნები გამოდგება: ალბანეთი, სერბეთი, მაკედონია, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მოლდოვა, უკრაინა, ბელარუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი.

გეოეკონომიკური მდგომარეობის შესადარებლად საჭიროა ვიცოდეთ თუ რამდენად არის თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყანა ჩართული მსოფლიო ვაჭრობაში, რა დონეზეა კორუფციის დონე, კონკურენცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური თავისუფლება, სავაჭრო ბალანსი, სახელმწიფო საგარეო ვალი, სავალუტო კურსის სტაბილურობა, ფულადი გზავნილები და კრიმინალი.

საქართველოს გეოეკონომიკური პოზიციები პოსტსოციალისტური ქვეყნების ფონზე

ცხრილი N3.6

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
საქართველო	41	44	67	11.6%	13	-36%	108%	59.3%	12%	48
ალბანეთი	60	83	75	9.5	65	-22.3	73	19.7	12.3	75
აზერბაიჯანი	71	123	35	11.9	68	4.5	20	129%	1.8	51
სომხეთი	68	113	73	3.2	33	-14.4	56	25.5	13.9	94
უკრაინა	95	131	81	3.6	166	-3	122	237.5	7.2	86
ბელარუსია	-	79	-	2.6	104	-8.7	83	137.1	2.2	30
მოლდოვა	79	123	89	2.1	110	-29.3	98	69.7	21.1	59
ყაზახეთი	88	131	57	6.6	42	8.7	117	125	0.2	70
ყირგიზეთი	113	136	102	7.1	89	-36.2	120	48.8	37.1	90
უზბეკეთი	-	156	-	10	148	-2.2	24	79.7	3.9	101
ტაჯიკეთი	114	151	79	6.2	109	-31.8	35	64.8	28.0	129
თურქმენეთი	-	154	-	12.5	170	11	1	22.8	0	4
ბოსნია-ჰერცეგოვინა	83	83	103	1.7	92	-22.9	31	23.2	11.4	172

სერბეთი	64	72	78	6	99	-11.6	78	45.2	9.0	111
მონტენეგრო	62	64	77	5.2	83	-46.6	66	-	9.6	80
მაკედონია	56	90	-	3.7	31	-18	74	23	2.6	99

მაჩვენებლები

1. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის დონე (2016 წ), http://bit.ly/2gBjtom ;
2. კორუფციის აღქმის ინდექსი (2016 წ), http://bit.ly/2jvgDCt ;
3. გლობალური კონკურენციის ინდექსი (2017-2018 წ), http://bit.ly/2fQWeb7 ;
4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, (% წილი მშპ-ში 2016 წ), http://bit.ly/2sXtDWj ;
5. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (2017 წ), http://bit.ly/1dMVxVe ;
6. სავაჭრო ბალანსი (% წილი მშპ-ში, + დადებითი, - უარყოფითი, 2016 წ), http://bit.ly/2CXm9LC ;
7. სახელმწიფო საგარეო ვალი (% წილი მშპ-სთან, 2017 წ), http://bit.ly/1e4Frgz ;
8. სავალუტო კურსები (ეროვნული ვალუტების % ცვლილებები აშშ $ 01.01.2012-დან 01.01.2017-მდე პერიოდში), http://bit.ly/2CQfuz2 ;
9. ფულადი გზავნილიები (% წილი მშპ-სთან 2017 წ), http://bit.ly/2CMW26c ;
10. პატიმართა რაოდენობა მთლიან მოსახლეობაში კლებადობის მიხედვით, (ადგილი რეიტინგში 2016 წ), http://bit.ly/1plWDg3 .

წყარო: საქსტატი

საერთაშორისო ვაჭრობის, კორუფციის, კონკურენციის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა განხილულ 15 ქვეყანას ან მოწინავე პოზიციებზე იმყოფება (ცხრილი N3.6). საქართველო საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე უფრო მეტად არის ჩართული და მრავალი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების თაობაზე, როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, აგრეთვე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან. ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველო ლიდერია კორუფციის დაბალი დონის მიხედვით, რაც საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალურად მობილიზების საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, კონკურენციის ინდექსში კი საქართველო რეგიონში მესამე კონკურენტუნარიან სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ყოველივე კარგ ბიზნეს კლიმატზე,

მეტად თავისუფალ ბაზარზე მიუთითებს და მსოფლიო გეოეკონომიკურ პროცესებში უფრო მაღალი ჩართულების დონედ შეიძლება მივიჩნიოთ.

მიუხედავად რეიტინგებში მაღალი პოზიციისა ქვეყნის რეალური მაჩვენებლები, რაც მოიცავს უარყოფით სავაჭრო ბალანსს და სახელმწიფო საგარეო ვალს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალია გარდამავალ ქვეყნებში. სავაჭრო დეფიციტი, რომელიც მშპ-ს მესამედს აღემატება, მნიშვნელოვან თავის ტკივილს წარმოადგენს ქართული ეკონომიკის. დადებითი სავაჭრო ბალანსი მხოლოდ ნავთობით და გაზით მდიდარ ქვეყნებს გააჩნიათ და სხვა ქვეყნები სავაჭრო დეფიციტის პირობებში იმყოფებიან, მაგრამ საქართველოს მაინც გამორჩეულად მაღალი სავაჭრო დეფიციტი გააჩნია. საგარეო ვალი, რომელიც მთლიან ქართულ ეკონომიკას აღემატება რთულ გეოეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვა გეოეკონომიკურ მოთამაშეებზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

ფულადი გზავნილების და უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წილიც მოცემული რეგიონის ეკონომიკებს შორის, გეოეკონომიკურად საქართველოს როგორც დამოკიდებული მოთამაშის როლს უსვამს ხაზს. ქვეყნის სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მეტწილად საგარეო შემოდინებებზე არის დამოკიდებული, შიდა ინვესტიციები კი საკმაოდ მცირეა. ყოველივე ეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, ეროვნულ ვალუტაზე და მის სავალუტო კურსზე ახდენს გავლენას, რომელიც ბოლო პერიოდში არასტაბილურობით და მკვეთრი გაუფასურებით გამოირჩევა. გაუფასურების მსგავსი დონე გარკვეულწილად აშშ დოლართან მიმართებაში სხვა რეგიონული გეოეკონომიკური მოთამაშეების (ძირითადად პოსტ საბჭოთა) ვალუტების დაცემითაც არის განპირობებული.

კრიმინალის და შესაბამისად პატიმართა მაღალი დონე მუდმივად წარმოადგენდა საქართველოს, როგორც მიმზიდველი ქვეყნის იმიჯის დამაზარალებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ბოლო პერიოდში პატიმართა რიცხოვნების სერიოზული კლების მიუხედავად ქართული სახელმწიფო რეგიონის ლიდერებში კვლავ ირიცხება და სერიოზულ მინუსს წარმოადგენს მშვიდობიანი და კრიმინალისგან თავისუფალი გეოეკონომიკური მოთამაშის იმიჯის შესაქმნელად.

საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კიდევ უფრო მეტი სიცხადის შემოსატანად მართებული იქნება SWOT ანალიზის შედგენა (იხ. დანართი N8), რომელიც ნათლად წარმოაჩენს ყველა იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს, რაც ქვეყანას გაანია დღეს და მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებსაც გამოკვეთს.

საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ძლიერ მხარეებად მიჩნეული საკითხების მეტად გამოყენებით და წინ წამოწევით შესაძლებლობების სრულად გამოყენება და გეოეკონომიკური ვითარების სასიკეთოდ ცვლილებაა მოსალოდნელი. სუსტი მხარეების მიმართ კი ყურადღების მოდუნება საფრთხეების მთელ ჯაჭვს აამოქმედებს და ქვეყნის პოტენციალს, იქცეს რეგიონის მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ მოთამაშედ, შეუძლებელს გახდის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია:

- უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების მაქსიმალურად გამოყენების გზით არის შესაძლებელი;
- საგარეო ვალის მუდმივი კონტროლი, მიზნობრივი და ეფექტური სესხების სისტემის ამოქმედება და მშპ-ს ზრდასთან მისი პროპორციული ბმა, რათა არ მოხდეს სავალო მაჩვენებლების გაუარესება;
- ინვესტიციების მაქსიმალური დივერსიფიკაცია, როგორც ქვეყნების, ასევე სექტორების მიმართულებით. მისი მატება, მაგრამ არა დამოკიდებულების ზრდის ხარჯზე;
- უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების შემცირება, რაც ქვეყნის შიგნით დასაქმების და ეკონომიკის ზრდის ხარჯზე მიიღწევა;
- ეროვნული ვალუტა და მისი სტაბილური კურსი ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რაც მათ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის;
- კრიმინალის შემცირება და კორუფციის დაბალი დონე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია;
- სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტების მაქსიმალურად განხორციელება, რაც გაცილებით უფრო გააძლიერებს საქართველოს გეოეკონომიკურ გავლენას და როლს რეგიონში.

ისტორიულ წარსულში საქართველო იკავებდა გადამწყვეტ პოზიციას აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ვაჭრობასა და სხვა სახის ურთიერთობებში, როგორც გადაკვეთის წერტილი. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ საქართველოს შეეეძლო საკუთარი გეოსტრატეგიული, ისევე როგორც გეოეკონომიკური ინტერესების გაზიარება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დომინანტური უფლებამოსილებით.

სამხრეთ კავკასიაში არსებული სამი გაყინული კონფლიქტიდან ორი საქართველოსთან არის დაკავშირებული. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გრძელვადიანი კონფლიქტები ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოებრიობას. საქართველოს სურს ევროატლანტიკური სივრცეში ინტეგრირება, რაც რუსეთთან პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა. საქართველოს სამეზობლო პოლიტიკა უნდა იყოს ზომიერი. საქართველო იღებს ენერგორესურსებს აზერბაიჯანიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია კარგი ურთიერთობების შენარჩუნება აზერბაიჯანთან. ამავე დროს, საქართველო სომხეთთან კარგი ურთიერთობა აქვს. არანაირი სიკეთე არ მოაქვს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის დაძაბულობასა და ბრძოლას. კონფლიქტები მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოგვარდეს იმისათვის, რომ ახალი მოკავშირეობა ჩამოყალიბდეს, რომელიც საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობის გაითვალისწინებს. ამ სამმა სახელმწიფომ უნდა ითანამშრომლოს კავკასიის რეგიონიში საერთო ეკონომიკურ სივრცის შესაქმნელად: უზრუნველყონ იმპორტი და ექსპორტი როგორც აზიის ქვეყნებიდან, ასევე დასავლეთიდან.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკურად ინტეგრაციისთვის. საქართველოსთვის ვიზების ლიბერალიზაცია დასავლეთის ეკონომიკურ ინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. საქართველოში სულ უფრო ხშირად ავიწყდებათ ტრადიცია, რომელიც ერის საფუძველს წარმოადგენს: გეოსტრატეგიული პოზიციის ეფექტური და სისტემური გამოყენება გეოეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

გეოეკონომიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემატურია სახელმწიფო ელიტისა და ბიუროკრატიის დაბალი გეოეკონომიკური აქტიურობა (ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე ზრუნვა, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, უცხოური ბაზრების გახსნა შიდა მწარმოებლებისთვის, გეო-ეკონომიკური ომების თავიდან აცილება ან ასეთი ომების ხელოვნების ცოდნა და ა.შ.), რაც ხშირად უკავშირდება გამოცდილების ნაკლებობას და ნათლად ჩანს ცხრილიდან N3.7

ცხრილი N3.7

მთავარ პრობლემათა მაჩვენებლების დინამიკა, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს გეოეკონომიკურ მდგომარეობაზე (2004-2014)

წლები	მაჩვენებლები	რანგი/ინდექსი
2004	კორუფციის კონტროლი	29
	კანონის უზენაესობა	31
	ხარისხის მართვა	36
2009	კორუფციის კონტროლი	52
	კანონის უზენაესობა	49
	ხარისხის მართვა	68
2014	კორუფციის კონტროლი	75
	კანონის უზენაესობა	64
	ხარისხის მართვა	79

წყარო: მსოფლიო ბანკი http://bit.ly/1e7qLWK

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთავარი პრობლემები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ საქართველოს გეოეკონომიკურ მდგომარეობაზე არის: კონტროლი კორუფციაზე, კანონის უზენაესობისა და ხარისხის მართვის წესი. ეს აქტორები გაუმჯობესებულია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის ძირითადი გეოეკონომიკური პრობლემები შემდეგში მდგომარეობს: ქვეყნის სტრატეგიული რესურსების ნაკლებობა (თუ არ ჩავთვლით გეოგრაფიულ ფაქტორებს), მცირე ზომის შიდა ბაზარი, საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას პრიორიტეტების არარსებობა, ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურა, საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული გართულებები (კონკურენტის გამოჩენა, ტექნოლოგიების ჩანაცვლება, ბაზრის გაჯერება და მრავალი სხვა), სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, სამრეწველო პროდუქციის წარმოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების არასაკმარისი განვითარება, პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც ქვეყანას უცხოურ ინვესტიციებისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის, ბაზრების არასტაბილურობა, ექსპორტზე კაპიტალის დამოკიდებულების მაღალი დონე.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის პრინციპები ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული საქართველოში კონკრეტულ პოლიტიკურ და საკანონმდებლო გარემოში, რაც იწვევს აცთუისე ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს, ეკონომიკურ არასტაბილურობას, სიღარიბეს და სოციალურ უთანასწორობას. საკუთრების უფლებების გასაუმჯობესებლად და მთავრობის ეფექტურობის გასაზრდელად, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, გასული წლის განმავლობაში არასაკმარისი პროგრესი განხორციელდა და ხელისუფლება სრულად კვლავაც არ სცემს პატივს სასამართლოს დამოუკიდებლობას. საქართველო კვლავ იბრძვის საბჭოთა ეპოქის კორუფციის აღმოსაფხვრელად.

OECD-ის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საჯარო ადმინისტრაციაში წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრაში და ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალი დონის და კომპლექსური კორუფციის წინააღმდეგ. მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოები (მცირე და საშუალო ბიზნესი) საწარმოთა

დაახლოებით 90%-ს შეადგენენ და დასაქმების 50%-ზე მეტი სწორედ მსგავს საწარმოებში მუშაობს. განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ხერხემალია და სამუშაოს შექმნისა და ეკონომიკური ზრდის ცენტრალურ როლს ასრულებს. ჯერჯერობით არ არსებობს განმარტება მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში განსაზღვრავს მცირე და საშუალო ბიზნესად ითვლება ის კომპანია, სადაც 250-მდე თანამშრომელია დასაქმებული.

მზარდი სავაჭრო დეფიციტი არის რუსეთის სავაჭრო ემბარგოს შედეგი. საქართველომ ვერ შეძლო თავისი ექსპორტის დივერსიფიკაცია და ეყრდნობოდა სოფლის მეურნეობას და დაბალი ღირებულების მქონე რესურსებს. საქართველოს ძირითად იმპორტს წარმოადგენს ნავთობი, მანქანები, ფარმაცევტული საქონელი, ხორბალი, შაქარი და ელექტრო ტექნიკა. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გერმანია, რუსეთი, აშშ და ბულგარეთი.

საქართველო თავის მომავალს რეგიონულ კონტექსტში უფრო გეოეკონომიკურ პირობებში უნდა ხედავდეს, ვიდრე გეოპოლიტიკურში. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აღნიშნავს, რომ აუცილებელია სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პირობების შექმნა, რაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს თავისუფალ ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, კონსერვატიულ ფისკალურ და მკაცრ მონეტარულ პოლიტიკის და ენერგოუსაფრთხოებას. ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოსთვის პრიორიტეტულია ენერგო წყაროების და სატრანსპორტო მარშრუტების შემდგომი დივერსიფიკაცია.

საქართველო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სატრანზიტო როლის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, საქართველო მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კომუნიკაციის პროექტებში.

საქართველოს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი შიდა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას.

დასკვნა

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გეოეკონომიკის პრობლემატიკა უკვე ძალიან აქტიურდება. ლისტის გეოეკონომიკური შეხედულებები თავისებურად ეხმიანება თანამედროვეობას. მასში ყურადღება მახვილდება თანამედროვე გეოეკონომიკის ისეთ აქტუალურ საკითხებზე როგორიცა: მწარმოებელ ძალთა განვითარება; ერის ეკონომიკური პროგრესი და განვითარების კონკრეტულ ეტაპზე შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება; სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთება, ეკონომიკური უსაფრთხოება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. გარდა სახელმწიფოს როლის გადაფასებისა, ფ. ლისტი თანამედროვე გეოეკონომიკის წინაპრად იმიტომაც ითვლება, რომ მან გამოავლინა პროტექციონიზმსა და ეკონომიკური განვითარების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება და იწინასწარმეტყველა მსოფლიო ბაზრების გლობალიზაცია. მისი აზრი, რომ სიმდიდრეზე მნიშვნელოვანი მისი შექმნის უნარია, ნიშნავს მაღალი ტექნოლოგიების, ცოდნის და კომპეტენციის ფართოდ დანერგვა-

გავრცელებას, რაც თანამედროვე გეოეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

ძნელია ბოლომდე დაეთანხმო ამ მეცნიერის კონცეფციებს და მით უმეტეს, მათ აქტიურ გამოყენებას დღევანდელ ეპოქაში, რომლის ძირითადი ნიშანი გლობალიზაცია და ახალი გეოეკონომიკური სივრცის ფორმირება გახდა. მაგალითად ის აზრი, რომ თავისუფალი ვაჭრობა განვითარებადი ქვეყნებისათვის საერთო ჯამში საზარალოა, საკმაოდ სადავო საკითხია, რამდენადაც მათი იმპორტის გადახდის უნარი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით განუხრელად იზრდება.

ლუტვაკის დიდი დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ მან ჩამოაყალიბა ფუნდამენტური თეზისი, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს გეოეკონომიკის დიფერენცირება მასთან დაკავშირებული ტრადიციული დისციპლინებიდან. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკიდან, პოლიტეკონომიიდან, ეკონომიკური გეოგრაფიიდან, მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიიდან; განსაზღვრა გეოეკონომიკის კვლევის საგანი და მეთოდები; ჩამოაყალიბა სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის ზოგადი კონცეფცია.

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, ზოგადად აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მიმაჩნია, რომ:

ა) ე.ნ. ლუტვაკს ზედმეტად თამამად გადააქვს სამხედრო სტრატეგია ეკონომიკის სფეროში და ნაკლებად ინტერესდება თნამედროვე ბაზრის ნიუანსებით;

ბ) მხოლოდ ნაწილობრივაა გასაზიარებელი მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია სტიმული მისცეს კვლევით საქმიანობას და წარმოების განვითარებას ეკონომიკური ომების ეფექტურად წარმოების მიზნით;

გ) სადავოა საკითხი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ვაჭრობის უნარი აუცილებლად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ვინაიდან სახელმწიფოს სიმდიდრე და მოსახლეობის მაღალი სტანდარტები ასევე მნიშვნელოვნად განისაზღვრება შიდა ფაქტორებით;

დ) ნაკლებ მართებულად მიმაჩნია ის რომ კონკურენტუნარიანობის საკითხების გადატანას პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში შეიძლება არასასურველი შედეგები

მოყვეს. ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ ამგვარმა მიდგომამ შეიძლება სერიოზულად გაამწვავოს საერთაშორისო დაპირისპირება და მოახდინოს სასტიკი ეკონომიკური ომების პროვოცირება, რომელიც ყველასათვის დიდი ზარალით შეიძლება დასრულდეს;

ე) გეოეკონომიკა არ ნიშნავს, პოლიტიკური ძლიერების დასასრულს. ეს ნიშნავს მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობების ახლებურ შეფასებას. იგი ხასიათდება სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების მნიშვნელობის შემცირებით და ეკონომიკის მნიშვნელობის ზრდით;

ვ) ე. ლუტვაკის პროგნოზი გეოპოლიტიკის დასრულების თაობაზე ზედმეტად ოპტიმისტურია. შეიძლება ითქვას, რომ 1990-იანი წლების დასაწყისშიც კი ის არცთუ რეალურად გამოიყურებოდა. ბოლო ათწლეულების მოვლენებმა კი დაამტკიცა, რომ მსგავსი ვარაუდი ძალზედ ნაადრევი იყო;

ზ) რაც შეეხება გეოეკონომიკის ინტერესების განხორციელების სივრცით შეზღუდვებს (ე. ლუტავაკისთვის ის მხოლოდ პოსტინდუსტრიული ქვეყნებით შემოიფარგლება), ამ შემთხვევაში მე ვიზიარებ ფრანგი გეოეკონომისტ პასკალ ლოროს მოსაზრებას, რომ დღეს გეოეკონომიკა უკვე გახდა პლანეტარული მოვლენა. იგი წარმოადგენს კონკურენციის ახალ დარგს არა მხოლოდ დასავლეთში არამედ განვითარებად საბაზრო ეკონომიკებშიც. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ დღეს გეოეკონომიკური სტრატეგიის გამოყენება ყველაზე მეტად განვითარებადი, უფრო კონკრეტულად კი ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის ხდება დამახასიათებელი.

კლასიკური ეკონომიკური თეორიები გლობალური ეკონომიკის პირობებში ვერ ასახავენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტს. განსაკუთრებით სტრატეგიის და ტაქტიკის კონტექსტში. ეკონომიკური ძლიერების მისაღწევად მხოლოდ საბაზრო აქტორების ცოდნა ვერ იძლევა წარმატების გარანტიას, ვინაიდან არასაბაზრო ფაქტორები დღეს არანაკლებ როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. ამ მოცემულობაში გაცილებით რელევანტური ხდება გეოეკონომიკური ანალიზი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა არასაბაზრო ფაქტორს. ამასთან, გეოეკონომიკის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მთავარი მიზნით-სახელმწიფოს მოქმედების სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის

ამაღლებისათვის გლობალურ ბაზარზე. სწორედ გეოეკონომიკა იძლევა საშუალებას მოახდინოს თანამედრო სახელმწიფოს და სხვა მძლავრი ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო ფუნქციის ეფექტური რეალიზაცია.

ამჟამად, არა მხოლოდ განვითარებული ჩრდილოეთის, არამედ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში მყოფი სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ გეოეკონომიკურ მეთოდებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გეოეკონომიკური კონცეფცია გაცილებით მასშტაბურია და მთელ მსოფლიოს მოიცავს, ანუ არ შემოიფარგლება მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოებით (ეს უკანასკნელი ე.ნ. ლუტვაკის ვერსიას წარმოადგენს და გეოეკონომიკის პირველი განსაზღვრებაა);

გეოეკონომიკის ფუნდამენტური თეზისი პირდაპირ ეხმიანება გეოპოლიტიკისათვის დამახასიათებელ კლასიკურ სქემას. როგორც უკვე ავღნიშნე, გეოეკონომიკის ძირითადი აქტორი სახელმწიფოა, რომელიც ამ კონტექსტში ორმაგ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, ეს საკუთარი ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვაა, მეორე მხრივ კი ექსპანსია. ამასთან, ეკონომიკური სუვერენიტეტი მოიაზრება როგორც ქვეყნის და საზოგადოების უნარი (განსაკუთრებით როცა საქმე ეხება საკუთარი ქვეყნის ბედს), დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ეკონომიკის სფეროში და წინ აღუდგეს ყველა დაბრკოლებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას აღნიშნული უფლების რეალიზაციის პროცესში. რაც შეეხება ექსპანსიას, მასში მოიაზრება სახელმწიფოს უნარი, გააფართოოს საკუთარი ეკონომიკური გავლენა საკუთარი ტერიტორიების საზღვრებს მიღმა და დაამყაროს კონტროლი გარე გეოეკონომიკურ სივრცეში არსებულ მთავარ გეოეკონომიკურ ელემენტებზე (ბუნებრივი რესურსები, სატრანსპორტო და ფინანსური ინფრასტრუქტურის ელემენტები, ფინანსური და სავაჭრო ნაკადები და ა.შ.). ეს ორი მიზანი ემსახურება ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის საბოლოო მიზნის მიღწევას - დაიმკვიდროს ხელსაყრელი პოზიცია გლობალურ ბაზრებზე. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თანამედროვე გეოეკონომიკა ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ეკონომიკის ზრდის და სამამულო ბიზნესის ექსპანსიის მხარდამჭერი საქმიანობა, საერთაშორისო ბაზრებზე სივრცის გაწმენდის მიზნით.

რაც შეეხება საქართველოს გეოეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის იმ ვექტორებს რომელსაც უნდა დაეფუძნოს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კურსი. გამოვყოფდი: ეკონომიკისა და ექსპორტის დივერსიფიცირების მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ თუ ქვეყანა მოახერხებს საკუთარი ეკონომიკის და ექსპორტის დივერსიფიცრებას იგი ეკონომიკურად უფრო თვითკმარი გახდება. ამასთან, ნაკლებად იქნება დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე და მასში მიმდინარე უარყოფით პროცესებზე; საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ბაზრების რიცხვის გაზრდას, არამედ დაახლოებით ერთი სიდიდის ბაზრების მოძიებას; საგარეო ვაჭრობისას გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნა უნდა ცდილობდეს საგარეო ვაჭრობა პატარა (სუსტ) პარტნიორებთან წარმართოს. თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ამ უკანასკნელთა მხრიდან გადახდისუნარიანობის პრობლემის გაჩენა; საკვლევი ტიპის ქვეყნებისათვის საშიშია მხოლოდ ერთ პარტნიორთან ვაჭრობა, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე გვაქვს ეკონომიკურად გაცილებით ძლიერ სახელმწიფოსთან; შედარებითი უპირატესობის იმ ელემენტების გამოყენება, რომელიც ნოვაციის მატარებელი და იმავდროულად პოტენციურად მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება საკომუნიკაციო სისტემებს, ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის დროულ დამუშავებას და ანალიზსს. ასევე ტექნოლოგიურ სიახლეების ეფექტურად გამოყენებას. გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნები უცხო ქვეყნების მხრიდან ეკონომიკური ზეწოლის, შანტაჟის, ბლოკადის და ეკონომიკური ემბარგოს შესაძლებლობებს უნდა აცნობიერებდეს და მოემზადოს იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს გამოწვევებს. ან უმჯობესია საერთოდ თავიდან აიცილოს მსგავსი ნეგატივები

ამდენად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება დამოკიდებულია მისი სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარიხის ცვლილებაზე. რაც უფრო იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზღუდება მსგავსი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი და პირიქით, რაც უფრო მცირდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზრდება პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური

თავისუფლების ხარისხი. ამ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად აუღებს ალღოს შექმნილ სიტუაციას სახელისუფლებო ელიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნამ (მხედველობაშია ბალტიისპირეთის ქვეყნები) მნიშვნელოვანი ადგილი და როლი დაიმკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. ალბათ ამიტომ ისინი ნაკლებად აქტიურნი არიან მსოფლიო პოლიტიკის ურთულეს და კონფლიქტურ გარემოში და თავიანთ რეგიონში მეზობლებთან კარგი ურთიერთობების დაამყარებას ცდილობენ. ამავდროულად მაქსიმალურად აქტიურდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში და მონაწილეობას იღებან საერთაშორისო ჰუმანიტარულ და მშვიდობისმყოფელ აქციებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვინიკაძე, გ.(2008). *გეოეკონომიკა.* თბ.: უნივერსალი
2. კვინიკაძე. გ. (2016). *გეოეკონომიკური ნარკვევები.*თბ.: თსუ გამომცემლობა
3. რონდელი ა. (1998). *პატარა სახელმწიფოს ორი როლი: ბუფერი და ნეიტრალიტეტი.*
4. რონდელი ა. (2003). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.* თბ.: მეცნიერება.
5. რონდელი ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები.* მესამე განახლებული გამოცემა. თბ.: ნეკერი.
6. რონდელი, ა. (2014*). რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა.* თბ.: ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N 7.
7. Bergstem, C. (1992). The Primacy of Economics . Washington: *Washington post.* Newsweek Interactive, LLCForeign Policy.
8. Blanchard, J. (1987). Reagonomics. *Economic Policy* ,2(5). p.15-54.

9. Formation: United States, German, and Japanese Exports 1968-1992. Clark university: *Economic Geography*, vol. 72, no 2. p. 131-160.
10. Jean, C. (1995). *Geopolitic.* Luterza. Roma: Bari.
11. Kagan, R. (September/October 2008). The September 12 paradigm. *Foreign Affairs* №5
12. Kennan, G. (February 22, 1946). The Long Telegram. Published in *Foreign Relations of the United States*, vol. VI.
13. Kennan, G. (1947). The Source of Soviet Conduct. *Foreign Affairs*, Vol. 25, No. 4.
14. Kennedy, P. (1987). *The Rise and Fall of Great Powers*. New York: Vintage Books.
15. Kvinikadze,G.(2017). *Geo-Economics: Theory and Practice for Small Countries with Transition Economy /View from Georgia/.* Germany, Dusseldorf: LAMBERT Academic Publishing.
16. Krugman, P. (ed.). (1991 *).* *Geography and Trade.* Mit, Cambridge, Massachusetts : Leuven University Press , MIT Press.
17. Loughlin J., & Anselin, L. (April 1996). Geo-economic *Competition and Trade Bloc*
18. Luttwak, E. (2012). *China's rise against the logic of the strategy*. Cambridge: Belkhap Press of Harvard University Press.
19. Luttwak,E. (2001). *Strategy: The Logic of War and Peace*. Harvard: Harvard University Press.
20. Luttwak, E. (1999). *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. New York : HarperPerennial. p. 128-129.
21. Luttwak, E. (1993). *The endangered American Dream.* New York: Simon & Schuster. Press, Cambdidge (Mass.). p. 83—90.
22. Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce.* The National Interest.
23. Luttwak, E. (February, 1984). *The Grand Strategy Of The Soviet Union*. New York: Martin's Pres.
24. Luttwak, E. (1979). *Coup d'État: A Practical Handbook*. Cambridge, MA: Harvard University Press.

25. Niskanen, W. (1992). *Reaganomics.* In David R. Henderson (ed.). Concise Encyclopedia of Economics (1st ed.). Library of Economics and Liberty, OCLC 317650570, 50016270 and 163149563.
26. Porter, M. (1990). The Competitive Advantage of Nations. New York: The Free Press. p-123-124.
27. Philip C.(1990) , *The Changing Architecture of World Politics: Structure, Agency, and the Future of the State, Newbury Park*, Sage, 1990.
28. Raffiot, M. (1993), *La Dette des tiers-mondes*, Paris, La Découverte.
29. Reed, T. (2004). *At the Abyss: An Insider's History of the Cold War*. New York: Presidio Press.
30. Roberts, P. (1990). Up from Mereantilism-Solving the Latin Debst mess. *National interest*. p. 63-70.
31. Robin,C. *The Ex-Cons: Right-Wing Thinkers Go Left.*
32. Rondeli, A. (2008). Georgia's search for itself. *"Open Democracy",* 07.08.
33. Rosenau, J.(1990), *Turbulence in World Politics: A Theory of Change and Continuity,* New York, Harvester Wheatsheaf.
34. Samuelson, R. (2007). China's Wrong Turn on Trade. *Newsweek,* May,Vol,149 14.
35. Strange, S.(1996), *The Retreat of the State. The Diffusion of Power in the World Economy,* Cambridge, Cambridge University Press.
36. Strange,S.(1998, Mad Money, Manchester, Manchester University Press, 1998. SUR Serge, Les relations internationales, 3e éd., Montchrestien, 2003. TERREY Emmanuel, Clausewitz, Paris, Fayard, 1999.
37. Vernon,R. (1993). *Unclear and present danger: review of 'The endangered American dream.* The National Interest (34).
38. Yamamura, K. (1986). *Caveat Emptor: the Industrial Policy of Japan*. In Paul Krugman. ed. Strategic Trade Policy and the New International Economics. Cambridge, MA: The MIT Press.

39. Кочетов, Э. (1999). *Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства.*

40. Моро Дефарж, Ф. (1996). *Введение в геополитику.* М: Конкорд

ინტერნეტ რესურსები:

ეკონომიკის სამინისტრო:

საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. http://bit.ly/2u2VzMm;

გიორგი გახარიამ ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობის კვლევის დაწყების დოკუმენტს მოაწერა ხელი, http://bit.ly/2tjRP5K;

საგარეო ვაჭრობა, http://bit.ly/2tFGhfz.

ეროვნული ბანკი:

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები, http://bit.ly/2tUGLyM;

სტატისტიკური მონაცემები, http://bit.ly/1N3PxLy;

მიგრაციის სამთავრობო კომისია: ფულადი გზავნილები, http://bit.ly/2u60ifV.

საქსტატი:

საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2016 წელს, http://bit.ly/2tszBSs;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2016 წელს, http://bit.ly/2tAHYJc;

სისხლის სამართლის სტატისტიკა, http://bit.ly/2BZ3tde.

საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო:

კორუფციის აღქმის ინდექსი 2016, http://bit.ly/2D8I7XY.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია:

სტატისტიკა, http://bit.ly/2u9rmuT.

ფინანსთა სამინისტრო: სახელმწიფო ვალი, http://bit.ly/2ueGzKP.

შსს: რეგისტრირეული დანაშაულის სტატისტიკა, http://bit.ly/2Bq7AeV, http://bit.ly/2oAARAG.

Fact-Check: საქართველოში C ჰეპატიტის უპრეცედენტო პროგრამა ხორციელდება, http://bit.ly/2ttl1Kq.

Forbes. http://bit.ly/2u0Uh4q.

აბრეშუმის გზის მოლოდინში, http://bit.ly/2vd0FCl

Geoeconomic. Available at: http://www.merriam-webster.com/dictionary/autarky.

Geoeconomic. Available at: https://en.wikipedia.org/wiki/Geoeconomics

Geoeconomic. Available at: http://www.dictionary.com/browse/geo-economic

Geoeconomic. Available at: https://www.thefreedictionary.com/geo-economics

Geoeconomic. Available at: https://en.oxforddictionaries.com/definition/us/geoeconomics

Geoeconomic. Available at: http://www.yourdictionary.com/physical-geography

Geoeconomic. Available at: https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/geoeconomics.

Foreign affairs: The September 12 Paradigm, http://fam.ag/2F5xu96

The World Bank: The World Bank in Georgia, http://bit.ly/2ua6Ny3;
About the World Bank, http://bit.ly/1NUp0lU;
Worldwide governance indivators, http://bit.ly/1e7qLWK.

Transparancy international. http://bit.ly/2u5U3bi

TRADING economies: http://bit.ly/2mMzJYS

Heritege: Index of Economic freedom,(2017), http://www.heritage.org/index/country/georgia

IMF: Transition Economies: An IMF Perspective on Progress and Prospects, http://bit.ly/2sZK5ZZ

NSDD: National Security Decision Directives Reagan Administration,

http://fas.org/irp/offdocs/nsdd

OECD: Georgia should focus on combating high-level and complex corruption,

http://bit.ly/2nu7cHa

Post-soviet watch: http://bit.ly/2uQqfxH

UN: Country classification, http://bit.ly/1VctxnS

WPB: Highest to Lowest - Prison Population Rate, http://bit.ly/1plWDg3

WOA: И один в поле дипломат, http://bit.ly/2F4SJI6

Terra America: Рейган доверял только интеллектуалам,http://bit.ly/2nDGjR5

დანართები

დანართი N1

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2012-2016 წლებში (მლნ $/% წილი)

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016**
რუსეთი	46.8/2%(11*)	190.7/6,6%(4)	274.7/9,6%(3)	162.9/7,4%(5)	206.2/9,8%(1)
თურქეთი	142.7/6%(5)	182.8/6,3%(5)	239.3/8,4%(4)	186.8/8,5%(3)	173.6/8,2%(2)
ჩინეთი	25.6/1%(16)	33.8/1,2%(17)	90.4/3,2%(8)	125.8/5,7%(6)	169.6/8%(3)
ბულგარეთი	69.6/3%(7)	150.7/5,2%(6)	167.1/5,8%(6)	214.2/9,7%(2)	167.2/7,9%(4)
აზერბაიჯანი	625.8/26%(1)	709.9/24,4%(1)	544.5/19%(1)	241/10,9%(1)	153.5/7,3%(5)
სომხეთი	260.9/11%(2)	315.4/10,8%(2)	288.1/10,1%(2)	180.2/8,2(4)	150.6/7,1%(6)
გერმანია	38.5/2%(13)	73.2/2.5%(11)	69.2/2,4%(12)	75.8/3,4%(9)	85.3/4%(7)
შვეიცარია	12.8/0,5%(26)	3.3/0,1%(45)	13.6/0,5%(26)	30.8/1,4%(18)	81.8/3,9%(8)
უკრაინა	167/7%(4)	192.7/6,6%(3)	139.9/4,9%(7)	59.9/2,7%(12)	73.3/ 3,5%(9)
იტალია	53.3/2%(10)	81.5/2,8%(10)	86.1/3%(10)	74.6/3,4%(10)	72.5/3,4%(10)

*ექსპორტიორი ქვეყნის ადგილი შესაბამისი წლის რეიტინგში

**წინასწარი მონაცემები, საქსტატი http://bit.ly/2EaTfbv

დანართი N2

საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნები 2012-2016 წლებში (მლნ $/% წილი)***

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016**
თურქეთი	1392.9/17.6%(1)*	1 408.9/17.6%(1)	1 728.8/20.1%(1)	1 327.4/18.2%(1)	1351.4/18.5%(1)
რუსეთი	476.8/6.0%(6)	583,6/7.3%(5)	575.6/6.7%(4)	625.1/8.6%(2)	675/9.3%(2)
ჩინეთი	565.9/7.2%(3)	611,5/7.6%(3)	733.5/8.5%(2)	587.4/8%(3)	547.5/7.5%(3)
აზერბაიჯანი	690.2/8.7%(2)	652,8/8.1%(2)	638.1/7.4%(3)	539/7.4%(4)	495.4/6.8%(4)
გერმანია	541.9/6.9%(5)	449,2/5.6%(6)	466.1/5.4%(6)	431/5.9%(6)	419/5.7%(5)
უკრაინა	597.1/7.6%(4)	601,3/7.5%(4)	548.6/6.4%(5)	455.5/6.2%(5)	417.4/5.7%(6)
იტალია	270.9/3.4%(8)	220.7/2.8%(10)	221.8/2,6%(10)	197.6/2.7%(11)	262.8/3.6%(7)
ჰოლანდია	142.5/1.8%(13)	125/1.6%(16)	148.6/1.7%(14)	128.2/1.7%(14)	217.1/3%(8)
სომხეთი	70.8/0.9%(25)	182.3/2.3%(13)	210.1/2.5%(11)	175.1/2.4%(12)	216.8/3%(9)
აშშ	213.5/2.7%(11)	254.3/3.2%(9)	287.2/3.4%(9)	253.0/3.5%(7)	214.6/2.9%(10)

*იმპორტიორი ქვეყნის ადგილი შესაბამისი წლის რეიტინგში

**წინასწარი მონაცემები, საქსტატი http://bit.ly/2EaTfbv

***არ მოიცავს C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტს

დანართი N3

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2012-2016 წლებში (ათასი $)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, http://bit.ly/2ueGzKP

დანართი N4

ფულადი გზავნილები 2012-2016 წლებში (მლნ $)



წყარო: ეროვნული ბანკი, http://bit.ly/2BgWA6q

დანართი N5



წყარო: შსს, http://bit.ly/2oAARAG

დანართი N6



წყარო: ნავთობისა და გაზის კორპორაცია, http://bit.ly/2u9rmuT

დანართი N7



წყარო: ნავთობისა და გაზის კორპორაცია, http://bit.ly/2u9rmuT

დანართი N8

საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები; 2. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; 3. ინვესტიციების მზარდი დონე; 4. სახელმწიფო საგარეო ვალის დაბალი მაჩვენებელი; 5. კორუფციის დაბალი დონე; 6. ხელსაყრელი გეოსტრატეგიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; 7. საერთაშორისო ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებში ჩართულობის მაღალი დონე; 8. ხელსაყრელი ბიზნესგარემო.	1. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პრეფერენციების გამოუყენებლობა; 2. მცირე ზომის შიდა ბაზარი; 3. უარყოფითი სავაჭრო ბალანსის სტაბილურად მაღალი დონე; 4. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ოფშორული ინვესტიციების მაღალი წილი; 5. სახელმწიფო ვალის ზრდა მ.შ.პ.-სთან მიმართებაში; 6. არასტაბილური ეროვნული ვალუტა; 7. უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების მაღალი დონე; 8. კრიმინალის მაღალი მაჩვენებელი.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების სასიკეთოდ გამოყენება, ექსპორტის ზრდა და დივერსიფიკაცია; 2. რეალური ინვესტორების მხრიდან ინვესტიციების ზრდა; 3. სახელმწიფო საგარეო ვალის დაბალი დონის შენარჩუნება; 4. მყარი და სტაბილური სავალუტო კურსი; 5. სახელმწიფო ბიუროკრატიის შემცირება; 6. დიპლომატიური კორპუსის აქტიური მონაწილეობა უცხოეთში საკუთარი გეოეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად; 7. სატრანზიტო როლის გაძლიერება; 8. ეკონომიკის კერძო სექტორის წილის ზრდა;	1. პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში; 2. იმპორტის ზრდა და არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მინიმუმ შენარჩუნება, ბაზრების არასტაბილურობა; 3. რეალური ინვესტიციების დაბალი დონის შენარჩუნება და ინვესტორი ქვეყნების ვიწრო წრე; 4. სახელმწიფო ბიუროკრატიის ზრდა; 5. სახელმწიფო საგარეო ვალის წილის ზრდა მშპ-სთან მიმართებაში; 6. ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო გაუფასურება და ნდობის დაკარგვა; 7. უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების შენარჩუნება; 8. კრიმინალის და კორუფციის ზრდა;

9. უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების შემცირება; 10. კრიმინალის შემცირება და კორუფციის თითქმის სრულად აღმოფხვრა; 11. ენერგოდამოკიდებულების შემცირება; 12. გეოეკონომიკური ომების თავიდან აცილება; 13. სატრანსპორტო-ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება.	9. ენერგოდამოკიდებულების მაღალი დონე; 10. სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტების ჩავარდნა; 11. სატრანზიტო როლის შემცირება; 12. გეოეკონომიკური სტრატეგიების ნაკლებობა ან/და არარსებობა გეოეკონომიკური ომების თავიდან ასაცილებლად.

Ivane Javakhishvili Tbilisi State

University

Giga Dalakishvili

Modern Geo-Economical Paradigm in the Countries with Transitional Economy (in terms of Georgia)

Social Geography

THE WORK IS EXECUTED IN ORDER TO ACQUIRE THE ACADEMICAL MASTER'S DEGREE OF THE HUMAN GEORGRAPHY

Academic Advisor: PhD, Associated Professor
Giorgi kvinikadze

Tbilisi

2018